

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი
პრაქტიკა

ბარამიძე მარიამი

ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია
(I, II, III, IV და V (C ქვეთავის ჩათვლით) თავების
თარგმანი და თარგმანის ანალიზი)

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ირინა გველესიანი
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაციის („ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“) სათარგმნელად შერჩეულ ტექსტსა და ტექსტის თეორიულ ანალიზს. წიგნი 2014 წელს გამოიცა და შედგება 5 თავისა და ქვეთავებისაგან. ჩემი ნაშრომი პირველი 5 თავის თარგმანია(C -ქვეთავის ჩათვლით).

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და გაეროს ერთ-ერთი ღირებულება. მიუხედავად ამისა, ქალები მთელ მსოფლიოში მუდმივად განიცდიან თავიანთი უფლებების დარღვევას და, სამწუხაროდ, ქალთა უფლებების დაცვა ყველგან და ყოველთვის არ წარმოადგენს პრიორიტეტს.

გაერო დიდი ხანია ჩართულია ქალთა უფლებების დაცვის საქმეში და ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხით. წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ქალთა უფლებების შესავალს, იწყებს რა ადამიანის საერთაშორისო უფლებების ძირითადი დებულებებით და აგრძელებს განსაკუთრებით აქტუალურ კონცეფციებზე მსჯელობით ქალთა უფლებების სრულად გაგებისათვის. სამაგისტრო ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა, ქალთა უფლებებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა და მისი ქართველი მკითხველისათვის გაცნობა. ამასთანავე, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და მთარგმნელობითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ვფიქრობ, სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი გვაწვდის ახალ ინფორმაციას და საინტერესოა არა მხოლოდ იურისტებისთვის, არამედ ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლებისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისათვის.

Annotation

MA thesis represents the translation and translational analysis of the United Nation's publication "Women's rights are Human Rights". The book was published in 2014 and consists of 5 chapters and sub-chapters. My thesis represents five chapters (including the Vth C subchapter).

Attaining equality between women and men and eliminating all forms of discrimination against women are fundamental human rights and the values of United Nations. Women around the world nevertheless regularly suffer violations of their human rights throughout their lives; However, realizing women's human rights has not always been a priority.

The United Nations has a long history of addressing women's human rights and much progress has been made in securing women's rights across the world in recent decades. The publication provides the introduction to women's human rights, beginning with the main provisions in the international human rights law and going on to the explanation of particularly relevant concepts for full understanding of women's human rights. The purpose of my MA's thesis is raising the awareness of women's rights, implement action of theoretical knowledge in practice and showing translational skills.

The facts and analysis presented in the MA thesis give new information, which is interesting not only for lawyers, but for any specialists, especially, for women.

სარჩევი

შესავალი	5
შენიშვნა.....	10
წინასიტყვაობა	11
I. ქალთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში	12
A. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები	12
B. რეგიონალური მექანიზმები	17
II. გლობალური ვალდებულებები	19
A. ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა	19
B. საერთაშორისო კონფერენცია პოპულაციასა და განვითარებაზე	20
C. პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა.....	21
D. ათასწლეულის განვითარების მიზნები	22
E. გაერთიანებული ერების კონფერენცია მდგრად განვითარებაზე.....	24
III. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოები	25
A. ადამიანის უფლებათა საბჭო და მისი მექანიზმები.....	25
B. უშიშროების საბჭო	27
C. ქალთა მდგომარეობის საკითხებზე შექმნილი კომისია	27
IV. საკვანძო ცნებები	29
A. კერძო და საჯარო დაყოფა	29
B. ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა	31
C. ანტი-დისკრიმინაცია და თანასწორობა ქალთა და მამაკაცთა შორის	33
D. თანასწორობა და სამართლიანობა	38
E. გენდერი	41
F. ინტერსექციონალურობა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმა.....	43
V. ადამიანის უფლებათა დაცვის სტრუქტურა პრაქტიკაში	45
A. ქალთა უფლებები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში	46
B. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები	55
C. ქალთა უფლება ცხოვრების ადეკვატური სტანდარტით	69

ანალიზი.....	83
დასკვნა.....	104
გამოყენებული ლიტერატურა.....	105
დანართი 1	
დანართი 2. Women's Rights are Human Rights	

შესავალი

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ ობიექტად აღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაცია „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება. მიუხედავად ამისა, ქალები მთელ მსოფლიოში მუდმივად განიცდიან თავიანთი უფლებების დარღვევას. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევა მოითხოვს იმ გზების სწორად და სრულყოფილად გაანალიზებას, რომელთა ფარგლებში ქალები განიცდიან დისკრიმინაციას და მათ უარს ეუბნებიან თანასწორობაზე. სწორედ ამის საფუძველზე უნდა შეიქმნას შესაბამისი სტრატეგიები ამგვარი დისკრიმინაციის თავიდან აღმოსაფხვრელად. დამეთანხმებით, 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ ესაა.

გაერო დიდი ხანია ჩართულია ქალთა უფლებების დაცვის საქმეში და ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხით. *"2010 წლის ივლისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) - გაეროს სააგენტო დააფუძნა, რომლის დანიშნულება გენდერული თანასწორობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობაა. ამ გადაწყვეტილებით გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა გენდერული თანასწორობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით ისტორიული ნაბიჯი გადადგეს."* [UN WOMEN საქართველო] თუმცა, რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები. ქალთა რეალიები მუდმივად იცვლება და დისკრიმინაციის ახალი გამოვლინებები იჩენს თავს მათთან მიმართებაში. ქალთა ზოგიერთი ჯგუფი განიცდის დისკრიმინაციის დამატებით ფორმებს ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რელიგიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, უნარ-შეზღუდულობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. შესაბამისად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციებია:

- *"სამთავრობათაშორისო უწყებებისთვის, მათ შორის ქალთა მდგომარეობის კომიტეტისთვის, პოლიტიკის, გლობალური სტანდარტებისა და ნორმების ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევა;*

- წვერი სახელმწიფოების დახმარება აღნიშნული სტანდარტების განხორციელებაში, ასევე შესაფერისი ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა და სამოქალაქო საზოგადოებაში ქმედითი პარტნიორობების ხელშეწყობა იმ ქვეყნებში, რომლებიც ამას ითხოვს;
- გაეროს სისტემის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა გენდერული თანასწორობის სფეროში საკუთარ ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათ შორის, მთელი სისტემის მასშტაბით მიღწეული წინსვლის რეგულარული მონიტორინგი." [UN Women საქართველო]

"გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საქართველოში საქმიანობა 2001 წლიდან (UNIFEM-ის სახელით), პირველი რეგიონული პროექტის - „ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში“ - განხორციელებით დაიწყო. 2000-იანი წლების დასაწყისში გენდერული თანასწორობის თემა სახალხო დიპლომატიისა და კონფლიქტის მხარეებს შორის არაფორმალური დიალოგის წახალისების ძლიერი, ზოგჯერ კი ერთადერთი საშუალება იყო. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი ქალების საჭიროებების შესახებ ჩატარებულმა კვლევამ გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული გამოწვევებისა და ჰუმანიტარული თვალსაზრისით საჭირო ჩარევების მკაფიო ხედვის ჩამოყალიბება უზრუნველყო. შემდეგ წლებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი პროგრამული მიმართულება ქალთა გაძლიერება და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების პოსტკონფლიქტურ პროცესებში აქტიური ჩართვა გახდა. 2013 წელს, ორგანიზაციის ახალი სტრუქტურის დამტკიცების შემდეგ გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საქართველოში თავისი წარმომადგენელი დანიშნა და ოფისი ჩამოაყალიბა." (UN Women საქართველო)

"გაეროს ქალთა ორგანიზაციის ამჟამინდელი საქმიანობა მიზნად ისახავს სახელმწიფო და არასამთავრობო პარტნიორებისთვის დახმარების გაწევას საქართველოში გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია მუშაობს პოლიტიკისა და კანონმდებლობის, ინსტიტუტებისა და ფართო საზოგადოების დონეებზე, რათა

მიაღწიოს ხელშესახებ შედეგებს გენდერული თანასწორობის გაზრდისა და ქალების უფლებათა დაცვის გაუმჯობესების თვალსაზრისით." (UN Women საქართველო)

“გაეროს ქალთა ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს შემდეგი მიმართულებებით მუშაობაზე: ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, ქალთა ინტერესების დაცვა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული საკითხის ჩართვა ეროვნული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესებში. აღნიშნულ ძირითად პრიორიტეტულ სფეროებთან ერთად, რომლებიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მანდატს წარმოადგენს, ორგანიზაციის ინტერვენციები საქართველოში ეყრდნობა გაეროს გეგმას განვითარების ხელშეწყობისთვის, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ხორციელდება.“ [UN Women საქართველო]

გაეროს პუბლიკაცია „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“ გვიქმნის ზოგად წარმოდგენას ქალთა უფლებებზე.

I თავი - ქალთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში - ვეცნობით ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს - 1948წელს საყოველთაო დეკლარაციის მიღება, ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ორ ხელშეკრულებაზე მუშაობა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანია 1979 წელს მიღებული ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია.

II თავი - გლობალური ვალდებულებების ფარგლებში ვეცნობით მთელ რიგ საერთაშორისო კონფერენციებს, რომლებშიც ქალთა უფლებების საკითხი იყო დაყენებული. აღსანიშნავია 1993 წელს ვენის დეკლარაციის დამტკიცება, რომელიც მოყვა ვენაში ჩატარებულ კონფერენციას. ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტები მაქსიმალურად იყვნენ მობილიზებულნი, რათა ქალთა უფლებები სრულად ყოფილიყო შესული საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში ლოზუნგით „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პეკინის დეკლარაცია, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული ქალთა საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე. მოიცავს ქალთა უფლებების განხორციელების 12 სფეროს.

საინტერესოა ათასწლეულის განვითარების მიზნები - 2000წელს საერთაშორისო თანამეგობრობა შეთანხმდა 2015 წლისთვის მიეღწია განვითარების 8 მიზნისათვის, რომელთა შორის იყო გენდერული თანასწორობა და ქალებისთვის უფლებამოსილების მინიჭება, დედათა სიკვდილიანობის შემცირება.

თავის მხრივ, გაეთიანებული ერების კონფერენცია მდგრად განვითარებაზე მოუწოდებს სახელმწიფოებს დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისა და ქალების თანაბარი წვდომისკენ სამართლიანობაზე.

III თავში ვეცნობით გაეროს ადამიანთა უფლებათა დაცვის ორგანოებს:

ადამიანის უფლებათა საბჭოს, უშიშროების საბჭოსა და ქალთა მდგომარეობის საკითხებზე შექმნილ კომისიას.

ადამიანის უფლებათა საბჭო გაეროს მთავარი სამთავრობათშორისო ორგანოა ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში. გენერალური ასამბლეის მიერ არჩეულ 47 სახელმწიფოსთან ერთად, 2006 წლიდან ადამიანის უფლებათა საბჭო რეგულარულად მართავს სპეციალურ საბჭოებს ქალთა უფლებებისა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციის საკითხებზე. ამგვარად, ქალთა უფლებების დაცვის საკითხი მუდმივად დღის წესრიგშია საერთაშორისო არენაზე.

უშიშროების საბჭომ მიიღო ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული რეზოლუციების სერია. აღსანიშნავია რეზოლუცია 1325, რომლის ფარგლებშიც მოუწოდეს ქალთა მონაწილეობის გაზრდა კონფლიქტის პრევენციისა და რეგულირების ყველა ასპექტში, მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობასა და სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებაზე. უშიშროების საბჭოს შემდგომი რეზოლუციები მოუწოდებს ყველა მხარეს მიიღოს სპეციალური ზომები გენდერული ძალადობისგან ქალთა და გოგონათა დასაცავად შეიარეღებული კონფლიქტის ზონაში და იმავე დროს აღიარებს ქალთა მნიშვნელოვან როლს სამშვიდობო პროცესებში.

ქალთა მდგომარეობის საკითხებზე შექმნილი კომისია 1946 წელს ჩამოყალიბდა და მისი მიზანია რეკომენდაციებისა და მოხსენებების მომზადება ქალთა უფლებების

წამოწევაზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ,სამოქალაქო, სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში.

IV თავში განხილულია რამდენიმე საკვანძო ცნება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისათვის. ესენია კერძო და საჯარო დაყოფა, ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის გაგება, არადისკრიმინაცია და თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის, თანასწორობა და სამართლიანობა, გენდერული სტრუქტურის მახასიათებლები.

V თავი - ქალთა უფლებების დაცვის სტრუქტურა პრაქტიკაში აჯამებს პუბლიკაციის მიზანს. აქ აქცენტი კეთდება შემდეგზე: საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ადეკვატური სტანდარტის ცხოვრების მიღების უფლება, ქალთა მიმართ ძალადობა, მიგრაცია, კონფლიქტები, კრიზისები და სამართლიანობის ხელმისაწვდომობა.

ვფიქრობ, პუბლიკაციაში წამოჭრილი პრობლემები საკმაოდ აქტუალურია და საინტერესოა არა მხოლოდ იურისტებისთვის, არამედ ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლებისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, ქართველი მკითხველისთვის საინტერესო მასალის მიწოდება, მეორე მხრივ კი თარგმნისას წარმოქმნილი სირთულეების ანალიზი.

შენიშვნა

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული აღნიშვნები და წარმოდგენილი მასალა არ წარმოადგენს რაიმე აზრის გამოხატვას გაერთიანებული ერების სამდივნოს მხრიდან რომელიმე ქვეყნის სამართლებრივ სტატუსთან, ტერიტორიებთან, ქალაქთან, რაიონთან ან მის ხელისუფლებასთან, ასევე საზღვრებთან დაკავშირებით. გაეროს დოკუმენტაციის სიმბოლოები შედგება მთავრული ასოების და ციფრების კომბინაციისაგან. ასეთი ციფრის არსებობა მიუთითებს გაეროს დოკუმენტზე.

HR/PUB/14/2

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაცია

გაყიდვის NO. E.14.XIV.5

ISBN 978-92-1-154206-6

E-ISBN 978-92-1-056789-3

© 2014 გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ყველა უფლება დაცულია

წინასიტყვაობა

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ერთ-ერთი ღირებულება. მიუხედავად ამისა, ქალები მთელს მსოფლიოში მუდმივად განიცდიან თავიანთი უფლებების დარღვევას მთელი ცხოვრების განმავლობაში და, სამწუხაროდ, ქალთა უფლებების დაცვა ყველგან და ყოველთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევა მოითხოვს იმ გზების სწორად და სრულყოფილად გაანალიზებას, რომელთა ფარგლებშიც ქალები განიცდიან დისკრიმინაციას და მათ უარს ეუბნებიან თანასწორობაზე; სწორედ ამის საფუძველზე უნდა შეიქმნას შესაბამისი სტრატეგიები ამგვარი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დიდი ხანია ჩართულია ქალთა უფლებების დაცვის საქმეში და ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხით. თუმცა, რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები, ქალთა რეალიები მუდმივად იცვლება და დისკრიმინაციის ახალი გამოვლენები რეგულარულად იჩენს თავს მათთან მიმართებაში. ქალთა ზოგიერთი ჯგუფი განიცდის დისკრიმინაციის დამატებით ფორმებს ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რელიგიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, უნარშეზღუდულობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და რეაგირების ზომების მიღებისას, უნდა მოხდეს დისკრიმინაციის ამ გადამკვეთი ფორმების გათვალისწინება.

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ქალთა უფლებების შესავალს, იწყებს რა ადამიანის საერთაშორისო უფლებების ძირითადი დებულებებით და აგრძელებს განსაკუთრებით აქტუალურ კონცეფციებზე მსჯელობას ქალთა უფლებების სრულად გაგებისთვის. დაბოლოს, ქალთა უფლებების შერჩეული სფეროები განხილულ იქნა გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის მექანიზმების ინფორმაციასთან და სხვა, ამასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად. პუბლიკაციის მიზანია მოგვცეს ზოგადი წარმოდგენა ქალთა უფლებებზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ქალთა უფლებებთან დაკავშირებულია ბევრი სხვადასხვა საკითხი, ეს პუბლიკაცია მაინც ვერ ჩაითვლება ამომწურავად.

I. ქალთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდან, ქალების და მამაკაცების თანასწორობა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად ითვლება. 1945 წელს მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომლის ერთ-ერთი მიზანიც გახდა "რწმენის აღდგენა ადამიანის უფლებებში, პიროვნების ღირსებასა და ფასეულობაში და მამაკაცებისა და ქალების თანასწორობაში". გარდა ამისა, წესდების პირველი მუხლი ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანია, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემას "მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა ან რელიგიისა". სქესობრივი დისკრიმინაციის ეს აკრძალვა მეორდება მე-13 (გენერალური ასამბლეის მანდატი) და 55-ე (ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა) მუხლებში.

1948 წელს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ეს უკანასკნელიც ასევე აცხადებდა ქალებისა და მამაკაცების თანაბარ უფლებიანობას „ყოველგვარი განსხვავების (მათ შორის სქესობრივი) გარეშე“;

დეკლარაციის შედგენისას მნიშვნელოვანი დისკუსია გამოიწვია ტერმინ „ყველა კაცის“ გამოყენებამ, გენდერ-ნეიტრალური ტერმინის ნაცვლად.¹ საბოლოოდ, დეკლარაციაში დამკვიდრდა ტერმინი „ყველა ადამიანი“; „ყველა“ იყო დასტური იმისა, რომ საყოველთაო დეკლარაცია განკუთვნილი იყო ყველასთვის, როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის.

A. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ, ადამიანის უფლებათა კომისიამ დაიწყო ადამიანის უფლებათა ორ ხელშეკრულებაზე მუშაობა - ესენია საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. საყოველთაო

¹ იოჰანეს მორსინკი, „ქალთა უფლებები საყოველთაო დეკლარაციაში“, ადამიანის უფლებათა კვარტალური ანგარიშები, ტომი 13, No. 2 (მაისი 1991).

დეკლარაციასთან ერთად, ისინი ქმნის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს. ორი ხელშეკრულების დებულებები, ისევე, როგორც სხვა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები, იურიდიულად სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ამტკიცებს და უერთდება მას. სახელმწიფოები, ამ ხელშეკრულების რატიფიცირების ფარგლებში, პერიოდულად აწვდის ინფორმაციას ექსპერტებს, რომლებიც გასცემენ რეკომენდაციებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელ ნაბიჯებთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მონიტორინგის ეს ორგანოები ასევე უზრუნველყოფს ხელშეკრულების ავთენტურ ინტერპრეტირებას და, სახელმწიფოების თანხმობის შემთხვევაში, ისინი განიხილავენ უკანონო დარღვევების ინდივიდუალურ საჩივრებსაც.²

ორივე პაქტი იყენებს ერთი და იგივე ფორმულირებას, რათა აკრძალოს დისკრიმინაცია, მათ შორის სქესობრივი და უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა და დოკუმენტში მოყვანილი უფლებებით თანაბრად სარგებლობა. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სხვა უფლებების გარდა უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებას, წამებისგან თავისუფლებას, მონობისგან თავისუფლებას, თავისუფლებისა და პიროვნების უსაფრთხოებას, სისხლის სამართალსა და სათანადო სამართალწარმოების პროცესთან დაკავშირებულ უფლებებს, თანასწორობას, გადაადგილების თავისუფლებას, აზრის თავისუფლებას, რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, გაერთიანების თავისუფლებას, ოჯახურ ცხოვრებასა და შვილებთან დაკავშირებული უფლებებს, მოქალაქეობის და პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ უფლებებს და უმცირესობათა ჯგუფების უფლებებს, რომელიც უკავშირდება მათ კულტურას, რელიგიასა და ენას.

პროცედურები გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულებების ფარგლებში.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ უზრუნველყოფს მაგალითად მუშაობის უფლებას, სავაჭრო კავშირების შექმნის

² ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფოებო სისტემაზე მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ OHCHR (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი), ფაქტ-ლისტი No. 30: ადამიანის უფლებათა შეთანხმებების სისტემა და OHCHR (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი), ფაქტ-ლისტი No. 7: ინდივიდუალური საჩივრის

უფლებას, ქორწინებასთან, დედობასთან და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებულ უფლებებს, ადეკვატური საცხოვრისის უფლებას, ჯანდაცვის უფლებას, განათლების უფლებას და კულტურასა და მეცნიერებასთან დაკავშირებულ უფლებას.

1967 წელს გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, რომლის თანახმადაც ქალთა დისკრიმინაცია წარმოადგენს ადამიანის ღირსების შეურაცხყოფას და მოუწოდებს სახელმწიფოებს, გააუქმოს არსებული კანონები და რეგულაციები, რომელიც დისკრიმინაციულია ქალებისთვის და უზრუნველყოს მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის ადეკვატური სამართლებრივი დაცვა. ერთი წლის შემდეგ, მომზადდა იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი ქალთა უფლებების შესახებ. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია მიღებულ იქნა 1979 წელს გენერალური ასამბლეის მიერ. მისი პრეამბულა განმარტავს, რომ მიუხედავად სხვა ინსტრუმენტების არსებობისა, ქალები ჯერ კიდევ არ სარგებლობენ თანაბარი უფლებებით მამაკაცებთან.

კონვენცია განმარტავს სქესობრივი დისკრიმინაციის ბუნებასა და მნიშვნელობას და აყალიბებს სახელმწიფო ვალდებულებებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და არსებითი თანასწორობის მისაღწევად. ადამიანის უფლებათა ყველა დოკუმენტის რატიფიცირებით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას. თუმცა, კონვენცია არეგულირებს სახელმწიფოს ვალდებულებებს არა მხოლოდ დისკრიმინაციული კანონების, არამედ, მათი პრაქტიკაში განხორციელების კუთხით, რაც ასევე ითვალისწინებს ქალთა დისკრიმინაციას, რომელიც ხორციელდება კერძო პირების მიერ და წეს-ჩვეულებების საფუძველზე.

ამ საერთო პრინციპების, როგორც ყოვლისმომცველი ჩარჩო-გეგმის, გათვალისწინებით სახელმწიფოების კონკრეტული ვალდებულებები ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში გაწერილია 16 შესაბამის მუხლში. კონვენცია მოიცავს როგორც სამოქალაქო, ასევე პოლიტიკურ უფლებებს (ხმის მიცემის უფლება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ეროვნების მიღების, შეცვლის ან შენარჩუნების უფლება, თანასწორობა კანონის წინაშე და გადაადგილების თავისუფლება), ასევე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს (განათლების, მუშაობის,

ჯანდაცვის და საკრედიტო უფლება). კონვენცია ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ ფენომენს, როგორცაა ტრეფიკინგი და ქალთა კონკრეტული ჯგუფები (მაგალითად სოფლის მაცხოვრებელი) და განსაკუთრებულ საკითხებს, რომელთა ფარგლებშიც არსებობს ქალთა უფლებათა დარღვევის გარკვეული რისკები, მაგალითად ქორწინება და ოჯახი.

კონვენციის მუხლი 1-ის თანახმად დისკრიმინაცია განისაზღვრება, როგორც „ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისი ან შეზღუდვა სქესის საფუძველზე, რომლის მიზანია შეასუსტოს ან გააუქმოს ქალების მიერ (მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა) ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან სხვა სფეროში. ასეთი დისკრიმინაცია მოიცავს სქესობრივ ნიადაგზე განხორციელებულ ნებისმიერ განსხვავებულ მოქცევას, რომელიც:

- განზრახ ან უნებლიედ აკნინებს ქალს;
- ზღუდავს საზოგადოებას ქალთა უფლებების აღიარებისგან როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროებში;
- ზღუდავს ქალებს ადამიანის უფლებებით და თავისუფლებით სარგებლობისგან, რომლის უფლებაც მათ გააჩნიათ.

კონვენცია ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა გზას, რომლითაც მონაწილე-სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან დისკრიმინაცია;

მაგალითად, როგორცაა დისკრიმინაციის ამკრძალავი შესაბამისი კანონების შემოღება, ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვა, თავის შეკავება დისკრიმინაციული ქმედებებისგან, ქალების დაცვა ნებისმიერი დისკრიმინაციისგან, იქნება ეს ჩადენილი კერძო თუ იურიდიული პირის მხრიდან, დისკრიმინაციული კანონმდებლობის შეცვლა ან გაუქმება, სპეციალური რეგულაციებისა და სანქციების შემოღება. კონვენცია ითვალისწინებს, რომ თანასწორობის მიღწევისათვის შეიძლება საჭირო გახდეს სახელმწიფოს მხრიდან დადებითი მოქმედებების განხორციელება ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ქალთა სრულუფლებიანობის უფრო სწრაფად მისაღებად (ცხოვრების ყველა სფეროში) სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს სპეციალური დროებითი ზომები მანამდე, ვიდრე

გაგრძელდება ზემოხსენებული არათანასწორობა. აქედან გამომდინარე, კონვენცია სცდება ფორმალური თანასწორობის ვიწრო კონცეფციის ჩარჩოებს და მიზნად ისახავს შესაძლებლობებისა და შედეგების თანასწორობას. დროებითი სპეციალური ზომები არის როგორც კანონიერი, ასევე აუცილებელი ამ მიზნის მისაღწევად. მას შემდეგ რაც თანასწორობა იქნება მიღწეული, ეს ზომები უნდა გაუქმდეს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ისიც რომ კონვენცია ამატებს ახალ, არსებით დებულებებს სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც ასევე ემსახურება თანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემებს. მუხლი 5 ადგენს, რომ ქალთა სამართლებრივი თანასწორობის აღიარების და მათი დე ფაქტო თანასწორობის ხელშეწყობის გარდა, სახელმწიფოები უნდა ეცადოს აღმოფხვრას სოციალური, კულტურული და ტრადიციული გენდერული სტერეოტიპები და შექმნას საზოგადოებაში ზოგადი ჩარჩოები, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა სრულუფლებიანობის რეალიზებას.

ბავშვთა უფლებების კონვენცია (მუხლი 2) და მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის კონვენცია (მუხლი 7) კრძალავს სქესობრივ ნიადაგზე დაფუძნებულ დისკრიმინაციას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (მუხლი 6) აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ქალთა ყოველმხრივი განვითარების, წინსვლის, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და წინამდებარე კონვენციით მათთვის მინიჭებული უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გარანტირებისათვის. ზოგად რეკომენდაციაში No.25 (2000), რომელიც ეხება რასული დისკრიმინაციის გენდერულ ასპექტებს, რასული დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, რომელიც ახორციელებს დაკვირვებას ყველა ფორმის რასული დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციასთან შესაბამისობაზე, ასევე აღიარებს რასული დისკრიმინაციის გენდერულ ასპექტებს და ამბობს, რომ „თავის საქმიანობაში ის ცდილობს გაითვალისწინოს გენდერული საკითხები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული რასულ დისკრიმინაციასთან.“ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, რომელიც ახორციელებს დაკვირვებას წამების საწინააღმდეგო კონვენციაზე და სხვა სასტიკ, არაკუმანურ ან დამამცირებელ მოპყრობაზე ან სასჯელზე, ასევე

რეგულარულად მუშაობს ძალადობის საკითხებზე ქალთა და გოგონათა მიმართ.

B. რეგიონალური მექანიზმები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების გარდა, რეგიონალური ადამიანის უფლებათა კონვენციები მოიცავს მნიშვნელოვან დებულებებს, რომელიც მიმართულია ქალთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისკენ.³

ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია მიღებულ იქნა 1981 წელს ორგანიზაცია აფრიკული ერთობის მიერ. ქარტიის მუხლი 2 კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას, მათ შორის სქესობრივს, რათა ქალებმა შეძლონ წესდებით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა. მუხლი 18 კონკრეტულად აღნიშნავს აფრიკის სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და საერთაშორისო დეკლარაციებსა და კონვენციებში გათვალისწინებული ქალისა და ბავშვის უფლებების დაცვა. ქარტიის პროტოკოლი აფრიკის ქალთა უფლებების შესახებ (მაკუტოს პროტოკოლი) მიღებულ იქნა 2003 წელს.

ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის ქარტიის მე-2 თავის, მე-3 მუხლში და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მუხლ 1-ში შეტანილია ანტი-დისკრიმინაციული დებულება. გარდა ამისა, 1994 წელს ორგანიზაციამ მიიღო ინტერ-ამერიკული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, დასჯისა და მისი აღმოფხვრის შესახებ (ბელემ დო პარას კონვენცია).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერ საფუძველზე, მათ შორის სქესობრივზე, რათა ქალებმა შეძლონ წესდებით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა (მუხ. 14). 1998 წლიდან ადამიანებს უფლება აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრონ კონვენციის დარღვევის შემთხვევები. 2011 წელს ევროპის საბჭომ მიიღო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი კონვენცია (სტამბოლის კონვენცია).

³ადამიანის უფლებათა რეგიონულ შეთანხმებებს ასევე გააჩნია კონტროლის მექანიზმები, სახელმწიფოს (რომელმაც დოკუმენტის რატიფიკაცია განახორციელა) მიერ მათი დებულებების დაცვის შეფასებისთვის. მათ განეკუთვნება ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული კომისია, ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისი კომისია და ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისი სასამართლო, ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; მათი ზოგიერთი ნაშრომი გაშუქებულია წინამდებარე პუბლიკაციაში.

ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებშია

რეგიონალურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციამ, რეგიონალური თანამშრომლობის სამხრეთ აზიის ასოციაციამ, დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურმა გაერთიანებამ და სამხრეთ აფრიკის განვითარების თანამეგობრობამ, მიიღო პროტოკოლები და რეზოლუციები და გამოაქვეყნა დეკლარაციები ქალთა უფლებების შესახებ.

II. გლობალური ვალდებულებები

ქალთა უფლებების საკითხი იყო რიგი საერთაშორისო კონფერენციების ცენტრში, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ვალდებულებები ქალთა უფლებებისა და თანასწორობის მიმართ. 1975 წელს, რომელიც ასევე იყო ქალთა საერთაშორისო წელი, მეხიკომ უმასპინძლა მსოფლიო ქალთა საერთაშორისო კონფერენციას, რის შედეგადაც შედგა მსოფლიო სამოქმედო გეგმა და 1975-1985 წლების გამოცხადება ქალთა ათწლეულად. 1980 წელს კოპენჰაგენში გაიმართა ქალებისთვის მიძღვნილი სხვა საერთაშორისო კონფერენცია და ხელმოსაწერად მომზადდა კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად. მესამე მსოფლიო კონფერენცია ჩატარდა ნაირობში, რომლის კომიტეტმაც (რომლის მიზანიც ასევე იყო ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრა) მუშაობა დაიწყო 1982 წელს. ამ სამი კონფერენციის ფარგლებში აღინიშნა ქალთა საოცარი აქტივობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო კონფერენციებს 1990 წლებში, რომელიც მიმართული იყო ქალთა უფლებების დაცვისკენ. მათ შორის იყო 1995 წელს პეკინში ჩატარებული მსოფლიო კონფერენცია ქალთა თემაზე (იხ. ქვემოთ).

გარდა ამისა, სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტები მიეძღვნა კონკრეტულ ჯგუფებს მიკუთვნილი ქალების უფლებებს (ასაკოვანი ქალები, ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და ა.შ), მაგ. საერთაშორისო სამოქმედო გეგმა დაბერების საკითხებზე (ვენა, 1982 და მადრიდი, 2002), დურბანის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა (2001) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული მსოფლიო მოქმედების პროგრამა (1982).

A. ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა⁴

1993 წელს ვენაში ჩატარდა ადამიანის უფლებების თემისთვის მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა იმ დროს მოქმედი, ადამიანის უფლებათა დამცველი მექანიზმის მიმოხილვა. ქალთა უფლებების

⁴ A/CONF.157/24 (ნაწილი I), თავი III.

დამცველი აქტივისტები მაქსიმალურად იყვნენ მობილიზირებულნი, რათა ქალთა უფლებები სრულად ყოფილიყო შესული საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში ლოზუნგით „ქალთა უფლებები, ადამიანის უფლებებია.“ სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, მაქსიმალური მობილიზაციით, შეეცადნენ მიექციათ საზოგადოების ყურადღება და ფართოდ გაემუქებინათ ისეთი ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც ადრე არ შეუქდებოდა იმის გამო რომ ითვლებოდა პირად საკითხად, ტაბუდადებულად ან ქალის ცხოვრების გარდაუვალ ნაწილად. კონფერენციაზე წარმატებულად დამტკიცდა ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა, რომლის მიხედვითაც “ქალებისა და გოგონების უფლებები ადამიანის უფლებათა განუყოფელ ნაწილად” გამოცხადდა (პარაგ. 18). განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა გენდერული ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედების პროგრამით მოხდა მოწოდება იმ „ნებისმიერი კონფლიქტის აღმოფხვრაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ქალთა უფლებებსა და კონკრეტული მავნე ტრადიციის ან ჩვეულების ზემოქმედებას, კულტურულ ცრურწმენებს ან რელიგიურ ექსტრემიზმს შორის” (პარ. 38).

B. საერთაშორისო კონფერენცია პოპულაციასა და განვითარებაზე

საერთაშორისო კონფერენცია პოპულაციისა და განვითარების საკითხებზე ჩატარდა 1994 წელს და მასზე წარმოდგენილ იქნა ქალთა უფლებების განხორციელების ეტაპები და გეზი. მაშინ როცა კონფერენცია მიმართული იყო პოპულაციის საკითხებზე, კაიროში გამართულ დელეგატთა შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ პოპულაცია ეხება არა მხოლოდ დემოგრაფიას, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხალხს.

მოქმედების პროგრამაში⁵ წამოჭრილი საკითხები ძირითადად ეხება ქალთა უფლებებს, მათ შორის სქესობრივ თანასწორობას, ოჯახს, რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, კონტრაცეფციას და ოჯახის დაგეგმვას, ასევე ქალთა ემიგრაციასა და განათლებას. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქმედების პროგრამა მყარად⁵ ეფუძნება ადამიანის უფლებებს და აცხადებს, რომ „გენდერული თანასწორობა და

⁵ მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის ანგარიში, კაირო, 5–13 სექტემბერი 1994 (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაცია, გაყიდვის No. E.95.XIII.18), თავი I, რეზოლუცია 1, დანართი.

II. გლობალური ვალდებულებები

სამართლიანობა, ქალებისთვის უფლებამოსილების მინიჭება, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა და მათთვის შესაძლებლობის მიცემა აკონტროლონ თავიანთი შობადობა არის მოსახლეობის ქვაკუთხედი და განვითარების აუცილებელი პირობა. კონფერენცია ასევე მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მის ფარგლებში მოხდა მკაფიო განცხადებების გაკეთება რეპროდუქციულ უფლებებზე და განიმარტა, რომ "ეს არის წყვილებისა და პიროვნებების ძირითადი უფლების აღიარება და რომ ისინი უნდა იყვნენ თავისუფალნი თავის გადაწყვეტილებებში, რომელიც უკავშირდება შვილების რაოდენობას, შობადობის დროსა და ინტერვალებს და ასევე წვდომას ინფორმაციისა და საშუალებებზე და უფლებას მიიღონ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტი. აქ ასევე იგულისმება უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალ რეპროდუქციას, რაც ადამიანის უფლებათა დოკუმენტებშია გამოხატული."

სამოქმედო პროგრამა განსაზღვრავს სპეციალურ მიზნებს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას: საყოველთაო განათლება, ჩვილისა და დედის სიკვდილიანობის შემცირება, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვა, მშობიარობის ხელშეწყობა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის შიდსის, პროფილაქტიკა, 2015 წლისთვის. შემდგომი კონფერენციები ორგანიზებული იყო ამ მიზნების პროგრესის შესაფასებლად. როგორც აღმოჩნდა, უთანასწორობა და ანგარიშგების ნაკლებობა ის პრობლემებია, რომელიც ამ მიზნების მუდმივ გამოწვევად რჩება.

C. პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა⁶

მიღებულ იქნა ქალთა საკითხებზე გამართული მეოთხე მსოფლიო კონფერენციის დროს, 1995 წლის სექტემბერში. პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა მოიცავს ქალთა უფლებების და განხორციელების 12 სფეროს და აყალიბებს გეგმას ქალებისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. იგი ეფუძნება წინა სამი

⁶ ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის მოხსენება, პეკინი, 4-15 სექტემბერი 1995 (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაცია, გაყიდვის No. E.96.IV.13), თავი I, რეზოლუცია 1, დანართები I და II.

მსოფლიო კონფერენციის შედეგებს, რომელიც ეძღვნებოდა ქალთა უფლებებს, თუმცა, ითვლება სერიოზულ მიღწევად ქალთა უფლებების, როგორც ადამიანის უფლებების, ნათლად და მკაფიოდ გამოხატვაში. მოქმედების გეგმა მოიცავს რიგ სტრატეგიულ მიზნებს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მიღწევის კუთხით. იგი მოიცავს პოლიტიკურ და სამართლებრივ სტრატეგიებს (გლობალური მასშტაბით) ადამიანის უფლებათა ფარგლებში. მოქმედების გეგმა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებათა სრულყოფილ გამოხატულებას ქალთა უფლებების მხრივ.

პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის განხორციელების შემდგომმა მიმოხილვებმა გამოავლინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აშკარად შეინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი ქალთა უფლებების გარკვეულ სფეროებში, „დისკრიმინაციული კანონმდებლობა ისევე, როგორც მავნე ტრადიციული პრაქტიკა და უარყოფითი სტერეოტიპები კვლავ არსებობს“, განსაკუთრებით ოჯახურ, სამოქალაქო, შრომითა და კომერციულ კანონებში და ადმინისტრაციულ წესებსა თუ რეგულაციებში.⁷ გეგმის როგორც 2005, ასევე 2010 წლის მიმოხილვების მიხედვით დადგინდა, რომ დე იურე და დე-ფაქტო თანასწორობა არ იქნა მიღწეული მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. 2010 წლის მიმოხილვის მიხედვით დადგინდა ისიც, რომ მიუხედავად სამართლებრივი რეფორმების ჩატარებისა, ზოგიერთ ადგილებში, ხშირ შემთხვევებში ისინი არაეფექტური გამოდგა.⁸

D. ათასწლეულის განვითარების მიზნები

2000 წელს საერთაშორისო თანამეგობრობა შეთანხმდა 2015 წლისთვის მიეღწია რვა განვითარების მიზნისათვის, რომელთა შორის იყო გენდერული თანასწორობა და ქალებისთვის უფლებამოსილების მინიჭება, დედათა სიკვდილიანობის შემცირება. აქედან შვიდ მიზანთან დაკავშირებით არსებობს პროგრესის შეფასების კონკრეტული გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ გარკვეული ნაკლოვანებები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ათასწლეულის განვითარების მიზნები მნიშვნელოვან

⁷ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია S-23/3, დანართი, პარაგ. 27.

⁸ E/2010/4-E/CN.6/2010/02, paras. 307–310.

II. გლობალური ვალდებულებები

პოლიტიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელმაც მსოფლიოს ყველაზე რთული პრობლემებისთვის საერთაშორისო მხარდაჭერა მოიპოვა.

ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, ათასწლეულის განვითარების მიზანი 3 წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას და ქალებისთვის უფლებამოსილების მინიჭებას. თუმცა, მისი ამოცანა ეხება მხოლოდ გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას განათლებაში 2015 წლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გოგონებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა აუცილებელია გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ეს მიზანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეფასდეს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესი. მიზანი 3 მოიცავს არასასოფლო-სამეურნეო სექტორში და ეროვნულ პარლამენტებში დასაქმებულ ქალთა წილის მაჩვენებლების განსაზღვრას, მაგრამ მას არ გააჩნია ვადები და კრიტერიუმები. კრიტიკული საკითხები, როგორცაა ქალთა მიმართ ძალადობა და დისკრიმინაციული კანონები, არ განიხილება.

ათასწლეულის განვითარების მიზანი 5 მიმართულია დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებაზე სამი მეოთხედით 1990-დან 2015 წლამდე პერიოდში. სამწუხაროდ, ათასწლეულის განვითარების მიზნების გენერალური ასამბლეის 2010 წლის მაღალი დონის პლენარულ სხდომაზე გამოვლინდა, რომ სხვა მიზნებთან შედარებით ამ საკითხში ჩამორჩენა ყველაზე დიდია, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია და ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია იმისათვის რომ ქალებს ჰქონდეთ ორსულობისა და მშობიარობის უსაფრთხო გამოცდილება. 2010 წელს გენერალურმა მდივანმა დაიწყო ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის გლობალური სტრატეგიის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიოში ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის ინტეგრაცია ათასწლეულის განვითარების მიზნების 2015 წლის შემდგომი პერიოდის დღის წესრიგში არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი სერიოზული პროგრესის მისაღწევად.

E. გაერთიანებული ერების კონფერენცია მდგრად განვითარებაზე

გაეროს კონფერენციამ მდგრადი განვითარების თემაზე (“Rio+20”) შეკრიბა სახელმწიფოს მეთაურები ბრაზილიაში 2012 წელს, რათა შეეფასებინათ რიო დე ჟანეიროში 1992 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციის საეტაპო მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმების პროგრესი. რიოს კონფერენციაზე ქვეყნებმა განაახლა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკური ვალდებულებები და შეთანხმდა დაესახა მდგრადი განვითარების მიზნები. გაიმართა მდგრადი განვითარებისთვის მიძღვნილი მაღალი დონის პოლიტიკური სხდომაც. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ შემაჯამებელი დოკუმენტი სახელწოდებით „მომავალი, რომელიც ჩვენ გვინდა“⁹ ადასტურებს სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომლებიც ეხება “ქალთა თანასწორობას, მათ წვდომასა და შესაძლებლობებს მონაწილეობა მიიღონ და წამყვან პოზიციებზე იყვნენ ეკონომიკაში, საზოგადოებასა და პოლიტიკაში“. დოკუმენტში ასევე მოყვანილია პირდაპირი მითითებები პეკინის კონვენციითა და ათასწლეულის დეკლარაციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დასაჩქარებლად. მითითებები დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას ემსახურება. შემაჯამებელ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „გენდერული თანასწორობა და ქალთა ეფექტური მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ყველა ასპექტის წარმატებული განხორციელებისთვის“. დოკუმენტი მოუწოდებს დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისა და ქალების თანაბარი წვდომისკენ სამართლიანობაზე.

⁹ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 66/288, დანართი.

III. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოები

A. ადამიანის უფლებათა საბჭო და მისი მექანიზმები

ადამიანის უფლებათა საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი სამთავრობათაშორისო ორგანოა ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში. 2006 წლიდან გენერალური ასამბლეის მიერ არჩეულ 47 სახელმწიფოსთან ერთად, ადამიანის უფლებათა საბჭო რეგულარულად მართავს სპეციალურ საბჭოებს ქალთა უფლებებისა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრაციის საკითხებზე. საბჭოსა და მისი წინამორბედის, ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ შექმნილია ასევე სხვა მრავალი რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს, განახორციელოს ვალდებულებები ქალთა უფლებებთან დაკავშირებით. ეს დისკუსიები და რეზოლუციები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ქალთა უფლებების დაცვის საკითხი მუდმივად იყოს დღის წესრიგში საერთაშორისო არენაზე.

ადამიანის უფლებათა საბჭოს აქვს უფლებამოსილება, მოიწვიოს სპეციალური სხდომები ადამიანის უფლებათა დარღვევებთან და საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით. ეს სპეციალური სხდომები, ზოგიერთ შემთხვევაში, ქალთა უფლებების დარღვევის შესწავლის შესაძლებლობებს წარმოადგენდა. მაგალითად, სპეციალური სესია მიემდგნა დარფურში (სუდანი) ადამიანის უფლებების საკითხს, სადაც კონკრეტული შემფოთება გამოითქვა სექსუალური ძალადობის და ამ დანაშაულისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის არარსებობის შესახებ (A/HRC/4/80, პუნქტი 39). კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო სხდომის ფარგლებში ასევე მოხდა ანგარიშგება სექსუალურ ძალადობასა და გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებული შემფოთების საგანია (A / HRC / 10/59, paras. 35-42 და A / HRC / 13 / 63, paras. 26-34). გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა საბჭომ ცოტა ხნის წინ ჩამოაყალიბა ლიბიის და სირიის არაბთა რესპუბლიკის საკითხებზე მომუშავე კომისიები, რათა მათ გამოიძიონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები იმ კონფლიქტზე, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი სამოქალაქო არეულობის დროს, რაც ორივე ქვეყანაში 2011 წლიდან დაიწყო. გამოძიების კომისიებმა ჩართეს სექსუალური და გენდერული ძალადობის ექსპერტები. მათი ანგარიშები მოიცავს დასკვნებს გენდერული ძალადობის შესახებ და

რეკომენდაციებს ანგარიშვალდებულებების და გარდამავალი სამართლის გენდერული ასპექტების შესახებ (A / HRC / 19/68 და A / HRC) / 19/69).

საყოველთაო პერიოდული მიმოხილვა (საბჭოს ჩამოყალიბებისას შექმნილი პროცედურა), წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, შეფასდეს სახელმწიფოების მიერ ქალთა უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. ამ მექანიზმის ფარგლებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა განიხილება ყოველ ოთხ წელიწად ნახევარში. ქალთა უფლებების თემა ყველაზე ხშირად არის წამოჭრილი საყოველთაო პერიოდული მიმოხილვის რეკომენდაციებში.

ადამიანის უფლებათა საბჭო ნიშნავს სპეციალური პროცედურების მანდატის მფლობელებს, რათა მათ შეისწავლონ თემატური საკითხები, რომლებიც უკავშირდება ადამიანთა უფლებების მდგომარეობას კონკრეტულ ქვეყანაში.¹⁰ ისინი ახორციელებენ თემატურ კვლევებს, უძღვებიან მისიებს, ერთვებიან მოლაპარაკებებში მთავრობებთან, როგორც ინდივიდუალურ, ისე გლობალურ საკითხებზე, ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარებას. სპეციალური პროცედურების მანდატები მოიცავს ქალთა უფლებების ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სპეციალური მოხსენებები ქალთა მიმართ ძალადობაზე, მის მიზეზებსა და შედეგებზე, ადამიანებით ვაჭრობაზე, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების საკითხებზე და ჯგუფი, რომელიც მუშაობს ქალთა დისკრიმინაციის საკითხებზე, როგორც კანონის კუთხით, ისე პრაქტიკაში. სხვა მანდატები ყურადღებას ამახვილებს ქალთა უფლებებსა და გენდერულ საკითხებზე. თავიანთ სამუშაოში ისინი ატარებენ თემატურ კვლევებს ქალთა და კონკრეტული ადამიანების უფლებებზე, სხვადასხვა ქვეყნებში ვიზიტისას ყურადღებას ამახვილებენ ამ საკითხებზე და ინფორმაციას აწვდიან მთავრობებს უკანონო ძალადობის კონკრეტულ შემთხვევებზე.

სპეციალური პროცედურების მანდატის მფლობელთა მუშაობა ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონის უკეთ გაგებას და ხალხისთვის მარტივად გასაგებ ენაზე გადმოგვცემს ქალთა გამოცდილებას და მათი უფლებების უფლებებელყოფას. ქვემოთ მოყვანილია ამ წვლილის სხვადასხვა მაგალითი.

¹⁰ დამატებითი ინფორმაცია სპეციალური პროცედურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ohchr.org/EN/HRBodies/SP/Pages/Welcomepage.aspx (წვდომა განხორციელდა 2013 წლის 29 ნოემბერს).

B. უშიშროების საბჭო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული რეზოლუციების სერია. 2000 წელს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია 1325, რომლის ფარგლებშიც წახალისა ქალთა მონაწილეობის გაზრდა კონფლიქტის პრევენციისა და რეგულირების ყველა ასპექტში, მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობასა და სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებაზე. რეზოლუცია 1325 (2000), უშიშროების საბჭოს შემდგომი რეზოლუციები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებები იმავე თემაზე მოუწოდებს ყველა მხარეს მიიღოს სპეციალური ზომები გენდერული ძალადობისგან ქალთა და გოგონათა დასაცავად შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში და, ამავე დროს, აღიაროს ქალთა, როგორც ცვლილებების აგენტების როლის მნიშვნელობა სამშვიდობო პროცესებში.¹¹

C. ქალთა მდგომარეობის საკითხებზე შექმნილი კომისია

კომისია ქალთა მდგომარეობის საკითხებზე ჩამოყალიბდა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 2/11-ის ფარგლებში, 1946 წელს. კომისიის მიზანს წარმოადგენდა “რეკომენდაციების და მოხსენებების მომზადება ქალთა უფლებების წამოწევაზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამოქალაქო, სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში”.

კომისიამ უნდა მიაწოდოს რეკომენდაციები საბჭოს "გადაუდებელ პრობლემებზე, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ ყურადღებას ქალთა უფლებების სფეროში". კომისია წელიწადში ერთხელ იკრიბება და აქვეყნებს შეთანხმებულ დასკვნებს კონკრეტული წლისთვის დასახულ პრიორიტეტულ თემებზე. შეთანხმებული დასკვნები მოიცავს პროგრესის, ხარვეზებისა და გამოწვევების შეფასებას, კონკრეტულ რეკომენდაციებს მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ. კომისია იღებს რეზოლუციებს ქალთა უფლებების სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ქალთა უფლებების ხელშეწყობის თვალსაზრისით, კომისიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა

¹¹ ეს საკითხი უფრო დეტალურად განხილულია მე-5 თავში, განყ. F, ქვემოთ.

ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია

და აქტიურად შეუწყო ხელი ისეთ საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებას, როგორებიცაა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა.

IV. საკვანძო ცნებები

წარსულში ადამიანის უფლებათა კონცეპტუალიზაცია ხდებოდა ისე, რომ ყურადღება არ იყო გამახვილებული ქალთა სიცოცხლეზე და ძალადობასა და დისკრიმინაციაზე მათ მიმართ. შესაბამისად, ბოლო დრომდე ქალთა პრობლემების გაშუქება ადეკვატურად არ ხდებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებში. აქტივისტების საქმიანობამ, ადამიანის უფლებათა მექანიზმებმა და სახელმწიფოების ჩართულობამ უზრუნველყო ადამიანის უფლებათა სტრუქტურის განვითარება და ორიენტაცია გენდერული ძალადობის საკითხებზე ქალთა უკეთ დაცვის მიზნით. ქალთა უფლებათა დაცვის სრულფასოვანი უზრუნველყოფა მოითხოვს ბაზისური სოციალური სტრუქტურის სრულფასოვან გაგებას და ძალაუფლებათა ურთიერთობას, რომლებიც განსაზღვრავს და გავლენას ახდენს ქალის უნარზე ისარგებლოს თავისი უფლებებით. ძალაუფლების ამ სტრუქტურებს გავლენა აქვს ცხოვრების ყველა სფეროზე, იქნება ეს პოლიტიკა, სამართალი, ეკონომიკა, ოჯახი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება.

ქვემოთ განხილულია რამდენიმე საკვანძო ცნება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისათვის.

A. კერძო და საჯარო დაყოფა

ადამიანის უფლებათა კანონი მოითხოვს სახელმწიფოსგან პატივი სცეს, დაიცვას და გაამდიდროს ადამიანის უფლებების სტანდარტები და წესები დადგენილ საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.

ისტორიულად, წესების ეს კრებული და მისი კონტროლი მიმართული იყო მოქმედებებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებოდა სახელმწიფო აგენტების მიერ თვალის დახუჭვას ისეთ დარღვევებზე, როგორებიცაა მკვლელობა, წამება და უკანონო დაკავებები. სახელმწიფოს ვალდებულება, პატივი სცეს ადამიანის უფლებებს, მათ შორის ქალთა უფლებებს, მიეკუთვნება ვალდებულებას, თავი შეიკავოს ისეთი ქცევისგან, რომლითაც შეიძლება დაირღვეს ეს უფლებები. კერძო სექტორის მიერ ჩადენილი არასწორი ქმედებები, სახელმწიფო აგენტების პირდაპირი ჩარევის გარეშე, ადამიანის უფლებათა დარღვევად არ განიხილებოდა. თუმცა, 1980-იანი წლების და 1990-იანი წლების შემდეგ, ქალთა უფლებების მოძრაობა უფრო მეტად აკრიტიკებდა

ადამიანის უფლებების ამ ფორმულირებას და მიიჩნევდა მას მიკერძოებულად მამაკაცების მიმართ დამოკიდებულებასთან მიმართებაში.¹²

ამჟამად აღიარებულია, რომ სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის და შესრულების ვალდებულება ცალსახად ითვალისწინებს ქალების დაცვას მესამე მხარის მიერ ჩადენილი ძალადობისგანაც, მათ შორის, კერძო სფეროში და პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო აქტებს. მუხლი 2 (e) კონკრეტულად ეძღვნება სახელმწიფოს ვალდებულებას ებრძოლოს ქალთა დისკრიმინაციას, ჩადენილს კერძო პირის ან ორგანიზაციის მიერ. მუხლი 2 (ვ) ეხება არა მხოლოდ დისკრიმინაციული კანონებისა და წესების, არამედ ჩვეულებებისა და პრაქტიკის მოდიფიკაციას და გაუქმებას. მუხლი 5 (a) მოითხოვს სახელმწიფოებისგან "შეცვალონ ქალთა და მამაკაცთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები, რათა თავიდან იქნას აცილებული ყველანაირი ცრურწმენა და ჩვეულება, რომელიც ეფუძნება სქესთა შორის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულ როლებს".

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი და გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველი სხვა ორგანოები და მექანიზმები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოებს აქვს ვალდებულება, მიხედოს კერძო პირების მიერ ჩადენილ ქმედებებს, კერძოდ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №19-ის (1992) მიხედვით, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს, "სახელმწიფოები შეიძლება იყოს პასუხისმგებელი კერძო ქმედებებზე, თუ ვერ უზრუნველყოფს უფლებების დარღვევების პრევენციას ... ". ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავისი ზოგადი ხასიათის კომენტარში №31 (2004), რომელიც ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოთათვის დაკისრებულ ზოგად სამართლებრივ ვალდებულებებს, რომ სახელმწიფოებს აქვს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ვალდებულებები- თავი შეიკავოს ადამიანის უფლებების დარღვევისგან და დაიცვას ეს უფლებები, მათ შორის, კერძო პირების ან ორგანიზაციების მიერ ჩადენილი

¹² შეილა დაუერი, "განუყოფელი და უჩინარი: ქალთა უფლებები კერძო და საჯარო სფეროში", ქალის, გენდერის და ადამიანის უფლება: გლობალური პერსპექტივა, მარჯორი აგოსინ (რუტგერსის უნივერსიტეტი, 2001).

ქმედებისგან. ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში, სათანადო სტანდარტები ემსახურება იმის განსაზღვრას, ახორციელებს თუ არა სახელმწიფო ეფექტურ ზომებს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესრულების კუთხით, განსაკუთრებით ეს ეხება უფლებათა დაცვის ვალდებულებას.

B. ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა

საყოველთაო დეკლარაციის მიღების დღიდან, სახელმწიფოები არაერთხელ აღნიშნავდა ადამიანის უფლებათა უნივერსალურობასა და განუყოფლობას. ვენაში გამართულ მსოფლიო კონფერენციაზე თითოეული სახელმწიფო განსაკუთრებული ხაზგასმით აღიარებდა, რომ ქალთა უფლებები ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვენის სამოქმედო პროგრამაში ხაზგასმით აღინიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია "ნებისმიერი კონფლიქტის აღმოფხვრა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ქალთა უფლებებსა და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს და ასევე კულტურულ ცდომილებებსა და რელიგიურ ექსტრემიზმს შორის".

სახელმწიფოს ამ ვალდებულებების მიუხედავად, უნივერსალურობის საკითხი ხშირად მაშინ წამოიწევა ხოლმე, როდესაც სახელმწიფოები ცდილობს ქალთა უფლებების დარღვევის გამართლებას კულტურის სახელით. სპეციალური მომხსენებელი თავის მოხსენებაში, რომელიც ეხება ქალთა მიმართ კულტურულ ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის საკითხებს (E / CN.4 / 2002/83) ხაზს უსვამს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ქალებში სასქესო ორგანოებზე განხორციელებული ქირურგიული ჩარევები, ე.წ. ქალის ღირსების ჩაკვლა, ბიჭი შვილის უპირატესობა ოჯახში და ე.წ. ჯადოქრებზე ნადირობა. ეს ის მავნე წეს-ჩვეულებებია, რომლებიც თითქოსდა არსებული კულტურის ნაწილია და მათი გამართლება ამით ხდება. სტერეოტიპები და კულტურული ნორმები, რომლებიც საზოგადოებაში ქალთა როლს განსაზღვრავს, უარყოფით გავლენას ახდენს ქალთა უფლებების დაცვაზე. მაგალითად, გოგონების ხელმიუწვდომლობა განათლებაზე ზოგჯერ გამართლებული იყო პრეზუმფციით, რომ როგორც დედები და ცოლები, ისინი არ მიიღებიათ სამუშაო

ადგილებზე და, შესაბამისად, მათ განათლება არ სჭირდებათ.

ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა და მოცემულ ადგილობრივ კონტექსტში მათი ვალიდურობა ხშირად დავის საგანი ხდებოდა რელატივიზმის კონტექსტში, რაც მოიაზრებდა მათ როგორც ადგილობრივ კულტურასთან შეუსაბამო უცხოურ იდეას.¹³ თუმცა, სპეციალური მომხსენებელი კულტურული უფლებების სფეროში გაფრთხილებას აკეთებდა დისკურსის იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ კულტურა არ არის სტატიკური და დროთა განმავლობაში იცვლება. ის ასევე ხაზს უსვამდა ქალთა გავლენის ნაკლებობას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რაც განსაზღვრავს ნებისმიერი საზოგადოების კულტურას (A / 67/287).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ითხოვს სახელმწიფოებისგან "მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეიცვალოს მამაკაცებისა და ქალების ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები, რათა თავიდან იქნას აცილებული ყველანაირი ცრურწმენა და ჩვეულება, რომელიც ეფუძნება სქესთა შორის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულ როლებს".

კომიტეტმა, თავის ზოგად რეკომენდაციაში №19 (1992), კომენტარი გააკეთა მე -2, მე -5 და მე -10 (გ) მუხლებზე და ისაუბრა იმ დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც ქალები კაცების დაქვემდებარებაში იმყოფებიან, რითაც ილახება ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა. რეკომენდაციაში ასევე ნახსენებია ოჯახური ძალადობის პრაქტიკა, იძულებითი ქორწინება, მზითვის თემასთან დაკავშირებული პრობლემები, მჟავის გადასხმა და ქალების წინადაცვეთის პრაქტიკა. კომენტარია ასევე გაკეთებული მე -12 მუხლზე, ეს არის ჯანდაცვის უფლება, სადაც აღნიშნულია, რომ ზოგიერთი მავნე წეს-ჩვეულება, რომელიც განპირობებულია კულტურითა და ტრადიციით ზიანს აყენებს ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობას. ეს პრაქტიკები მოიცავს ორსულ ქალთა დიეტურ შეზღუდვებს, მამრობითი სქესის ბავშვების უპირატესობას, ქალების წინადაცვეთასა და გენიტალიურ დაზიანებებს.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სპეციალური მომხსენებელი, თავის მოხსენებაში, რომელიც ეხება კავშირს კულტურასა და ქალთა მიმართ ძალადობას

¹³ იხ. „ კულტურისა და ქალთა მიმართ ძალადობის გადაკვეთა” (A/HRC/4/34).

შორის, ამტკიცებს, რომ შესაძლებელია ადამიანის უფლებათა შეთავსება კულტურასთან, კულტურის დისკრიმინაციული და სასტიკი ასპექტების გაუქმებით და დადებითი ასპექტების შენარჩუნებით. მან დაასკვნა, რომ " ქალთა უფლებების შელახვა არ არის გამოსავალი. აქედან გამომდინარე, ჩვენი დღევანდელი გამოწვევაა პატივი ვცეთ და დავაფასოთ განსხვავებული კულტურები და, ამავდროულად, შევიმუშავოთ საერთო სტრატეგიები, რათა წინ აღვუდგეთ კულტურის სახელით განხორციელებულ სისასტიკეს და ადამიანის საყოველთაო უფლებებს ეთნოცენტრულ აზროვნებაზე დაფუძნებული ჩარევის უარყოფით "(A / HRC). / 4/34, გვ 71) .¹⁴

სპეციალურმა მომხსენებელმა კულტურული უფლებების სფეროში ასევე განიხილა ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის პრინციპის ურთიერთქმედება, კულტურული უფლებების აღიარება და განხორციელება და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის აუცილებლობა (A / HRC / 14/36). სპეციალური მომხსენებელი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებები, მათ შორის კულტურული უფლებები და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა ურთიერთშემავსებელი ფაქტორებია. იგი იხსენებს ვენის დეკლარაციას და სამოქმედო პროგრამას საყოველთაო დეკლარაციას კულტურული მრავალფეროვნების საკითხზე და ადამიანის უფლებათა საბჭოს 10/23 რეზოლუციას იმის დასამტკიცებლად, რომ კულტურული უფლებების ან კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემით არ შეიძლება შეილახოს ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა.

C. ანტი-დისკრიმინაცია და თანასწორობა ქალთა და მამაკაცთა შორის

ანტი-დისკრიმინაცია და თანასწორობა ქალთა და მამაკაცთა შორის ადამიანის უფლებათა კანონის ძირითადი პრინციპებია. როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ასევე საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კრძალავს სქესობრივ

¹⁴ იხილეთ ასევე OHCHR (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი), ფაქტ-ლისტი No. 23: მავნე ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც ზიანს აყენებს ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობას, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია No. 14 (1990) ქალთა წინადაცვეთაზე.

დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცების უფლებრივ თანასწორობას. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს კანონის წინაშე თანასწორობას და კანონის თანაბარ დაცვას.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ განმარტავს სხვადასხვა დისკრიმინაციულ ქმედებას (ნებისმიერი განსხვავება, გამონაკლისი ან შეზღუდვა), როგორც გამოხატულ მიზანს ან დისკრიმინაციის ფაქტობრივ შედეგს, განხორციელებულს ქალის წინააღმდეგ. კონვენცია უფრო ღრმად იჭრება ამ საკითხში, ვიდრე ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტები და დეტალურად აღწერს სახელმწიფო ვალდებულებებსა და ქმედებებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული გენდერული თანასწორობის მისაღწევად პრაქტიკაში. ის არა მარტო მოითხოვს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას, არამედ კრძალავს პრაქტიკას, რომელიც ქალთა უთანასწორობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. არსებითი გენდერული თანასწორობა და ფორმალური გენდერული თანასწორობა, ისევე, როგორც დე-ფაქტო დისკრიმინაცია და დე-იურე დისკრიმინაცია, წარმოადგენს კონვენციის თანასწორობის ფარგლებში არსებულ ცენტრალურ კონცეფციებს.

დისკრიმინაცია და უთანასწორობა შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს. დისკრიმინაცია შეიძლება წარმოიშვას პირდაპირი ან დე-იურე დისკრიმინაციული ქმედებებით, მაგალითად, როდესაც კანონი ან პოლიტიკა ზღუდავს, ანიჭებს უპირატესობას ან გამოყოფს გარკვეულ ჯგუფებს, მაგალითად, უკრძალავს ქალებს მანქანის მართვას, მიწის საკუთრების ან მემკვიდრეობითი ქონების მიღების უფლებას. ფორმალური თანასწორობის უზრუნველყოფა მოითხოვს დე-იურე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი პროგრესი იქნა მიღწეული დისკრიმინაციული კანონების აღმოსაფხვრელად, ბევრი კვლავ არსებობს და მათი რეფორმირება უნდა იყოს სახელმწიფოთა პრიორიტეტი, რათა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები შესრულდეს.¹⁵

¹⁵ გლობალურად, ქალთა დისკრიმინაციული კანონები კვლავ რჩება მნიშვნელოვან პრობლემად და მაშინაც კი, როდესაც არსებობს კანონი, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა თანასწორობას, მათი პრაქტიკაში გამოყენება არ ხდება. იხილეთ გაეროს ორგანიზაცია გენდერულ თანასწორობასა და ქალებისთვის უფლებამოსილების მინიჭებაზე (გაეროს-ქალები), მსოფლიოს ქალთა პროგრესი 2011–2012: სამართლის ძიებაში (2011) და “ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარის ოფისის მოხსენება

კანონებს, პოლიტიკასა და პროგრამებს ასევე შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ქალებზე, მიუხედავად მათი თითქოს გენდერულ-ნეიტრალური ხასიათისა. სწორედ ეს არის დე-ფაქტო დისკრიმინაცია. მაგალითად, დახმარების პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა უპირატესობას "ოჯახის უფროსზე" ანაწილებს, არ შეიძლება გახდეს სარგებელი ქალებისათვის, რადგან ხშირად სწორედ მამაკაცები განიხილებიან ოჯახის უფროსებად. ანალოგიურად, სიღარიბეში მცხოვრებთა შორის ქალთა არაპროპორციულმა წარმომადგენლობამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ სახელმწიფოს მიერ ინიცირებული მიწების შეძენის სქემა, მიუწვდომელი გახდეს ქალებისათვის მაღალი ღირებულების გამო, მაშინაც კი, როდესაც ეს სქემა ღიაა როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის.

რეალური თანასწორობის მიღწევა მოითხოვს როგორც ისტორიული კონტექსტის, ასევე არსებული რეალობის გათვალისწინებას. რეალურმა თანასწორობამ შეიძლება მოითხოვოს სახელმწიფოსგან იმ დადებითი ქმედებების განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება ქალების საჭიროებებისკენ.¹⁶ კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მოიცავს რეალურ თანასწორობას და აღიარებს, რომ გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურ კანონებს შეიძლება ჰქონდეს დისკრიმინაციული შედეგები და რომ ფორმალური თანასწორობა არ არის საკმარისი ამის სამართავად. მუხლი 4, რომელიც მოიცავს სპეციალურ დროებით ზომებს, ასევე კომიტეტის ზოგადი შენიშვნა No. 25 (2004), რომელიც იგივე თემას ეხება, და მუხლი 5 ქალთა და მამაკაცთა ქცევის კულტურული და სოციალური ასპექტების ცვლილების შესახებ, სადაც ხაზგასმულია რეალური თანასწორობის ვალდებულება.¹⁷

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მცდელობებზე” (A/ HRC/17/23). იხილეთ ასევე მუშა ჯგუფი საკითხზე -ქალთა მიმართ დისკრიმინაცია კანონის ფარგლებში და პრაქტიკაში; ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ohchr.org/EN/Issues/Women/WGWomen/Pages/WGWomenIndex.aspx (წვდომა განხორციელდა 2013 წლის 6 ნოემბერს).

¹⁶ იხილეთ ლეილანი ფარა, “ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი”, სოციალურ უფლებათა იურისპრუდენცია: ახალი ტენდენციები საერთაშორისო და შედარებით სამართალში, მალკოლმ ლანგფორდი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, 2008), გვ. 560–561.

¹⁷ Ibid., p. 562.

შედეგების ერთგვარობა და რეალური თანასწორობა

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა განმარტა, რომ რეალური თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია ქალთა უთანასწორობის ძირითადი მიზეზების აღმოფხვრა. თუმცა, ეს არ არის საკმარისი მამაკაცებთან იდენტური დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად. კომიტეტის აზრით, კონვენცია მოითხოვს, რომ ქალებს უნდა მიეცეთ თანაბარი დაწყების უფლება და ასევე სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი გარემო, სადაც ქალებს ექნებათ შესაბამისი უფლებამოსილება მიიღონ თანაბარი შედეგები (მოიხსენიება როგორც შედეგების ერთგვარობაც). კომიტეტის აზრით, ეს არის დე ფაქტო ან რეალური თანასწორობის ლოგიკური შედეგი. სპეციალური ზომების მეშვეობით, ისტორიული შეცდომები და უთანასწორობა გამოსწორებულია ქალებისადმი უპირატესობის მინიჭებით და მათთვის შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, რაც ადრე ასეთი შორეული იყო მათთვის. რეალური თანასწორობის მიღწევა საჭიროებს დამოკიდებულებების ცვლილებას გენდერული სტერეოტიპების მიმართ. ეს უნდა იყოს ფუნდამენტური საზოგადოებრივი ცვლილება, რომელიც სრულიად შეცვლის ქალთა რეალობას.

წყარო: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია No. 25 (2004) კონკრეტულ დროებით ზომებზე.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, თავის ზოგად შენიშვნაში No. 18 (1989), რომელიც ეხება ანტი-დისკრიმინაციას, ასევე კომიტეტმა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე თავის ზოგად შენიშვნაში # 16 (2005) (რომელიც ეხება ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წვდომას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე) და შენიშვნაში # 20 (2009) (რომელიც ეხება ანტი-დისკრიმინაციას, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებში) დაადგინა რეალური თანასწორობის იგივე პრინციპი, რაც უნდა იყოს ანტი-დისკრიმინაციის და ქალთა და მამაკაცთა მიერ თანასწორუფლებიანობით სარგებლობის უზრუნველყოფა.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა განმარტა თავის

ზოგად შენიშვნაში №16 (2005), რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია აღმოფხვრას პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, თავი უნდა შეიკავოს დისკრიმინაციულ ქმედებებში ჩართვისგან და უზრუნველყოს, რომ მესამე მხარემაც არ განახორციელოს აკრძალული დისკრიმინაციული ქმედებები და მიიღოს დადებითი ზომები ქალთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. კომიტეტი ასევე განმარტავს, თუ როგორ არის თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება დაკავშირებული პაქტის სხვადასხვა დებულებასთან. ზოგად შენიშვნაში #20 (2009) აღნიშნულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაციის მართვა კანონის, პოლიტიკისა და პრაქტიკის დონეზე, კრიტიკულია მრავალმხრივი დისკრიმინაციაც, რომელიც განსაკუთრებულად ვნებს ქალებს.

პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია

პირდაპირი დისკრიმინაცია წარმოიშობა, როდესაც განსხვავება მოპყრობაში პირდაპირ უკავშირდება უშუალოდ სქესობრივ სხვაობას და მამაკაცების ან ქალების მახასიათებლებს, რომლებიც ობიექტურად არ არის გამართლებული.

არაპირდაპირი დისკრიმინაცია წარმოიშობა, როდესაც კანონი, პოლიტიკა ან პროგრამა არ არის თითქოს დისკრიმინაციული, მაგრამ მისი განხორციელება იწვევს დისკრიმინაციულ შედეგებს. ასეთ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაგალითად როდესაც ქალები მამაკაცებთან შედარებით ვერ სარგებლობენ კონკრეტული შესაძლებლობით ან სარგებლით არსებული უთანასწორობის გამო ... გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურმა კანონმა შეიძლება უცვლელად დატოვოს ეს უთანასწორობა ან გააუარესოს კიდევაც ის.

წყარო: ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი; ზოგადი რეკომენდაცია No. 16 (2005).

თავის ზოგად შენიშვნაში No. 28 (2000), რომელიც ეხება თანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის, ადამიანის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ სახელმწიფოებმა არამხოლოდ თანასწორობის გზაზე არსებული დაბრკოლებების მოშორებაზე უნდა

იზრუნოს, არამედ განახორციელოს სპეციალური ზომები თანასწორობის უზრუნველსაყოფად. იგი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ "მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ ისტორიული, რელიგიური თუ კულტურული ტრადიციებით არ ხდებოდეს ქალთა უფლების დარღვევისა და კანონთან უთანასწორობის გამართლება". ის ასევე განსაზღვრავს კონკრეტულ ვალდებულებებს პაქტის სხვადასხვა მუხლებთან მიმართებაში.

D. თანასწორობა და სამართლიანობა

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია ითხოვს ქალებისთვის მამაკაცთა თანაბარი უფლებების მინიჭებას და ამ უფლებებით პრაქტიკაში სარგებლობის შესაძლებლობას. თუ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებში ძირითადად იყენებენ სიტყვას „თანასწორობა“, სხვა სექტორებში ხშირად გამოიყენება ტერმინი "სამართლიანობა".

ტერმინი "გენდერული სამართლიანობა" ზოგჯერ გამოიყენებოდა ისე რომ სტერეოტიპები ქალთა როლის შესახებ საზოგადოებაში რჩებოდა უცვლელი. ის გულისხმობდა, რომ დამოკიდებულება ქალების მიმართ უნდა ყოფილიყო "სამართლიანი" იმ როლების შესაბამისად, რომლებსაც ისინი ასრულებენ.¹⁸ პრობლემის ასეთი გაგება აჩენს უთანასწორო გენდერული ურთიერთობების უკვდავყოფის რისკებს და გენდერული სტერეოტიპების გაძლიერებას, რაც საზიანოა ქალებისთვის. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, თავის ზოგად რეკომენდაციაში No. 28 (2010) ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებებს (კონვენციის მუხლი 2) და მოუწოდებს „მონაწილე სახელმწიფოებს გამოიყენოს მხოლოდ ქალთა და

¹⁸ განვითარების თვალსაზრისით „სამართლიანობა“ არის ტერმინი, რომელიც ზოგადად გამოიყენება როდესაც საუბარია სხვადასხვა ნიადაგის (არამხოლოდ სქესობრივ) უთანასწორობაზე. ითვლებოდა, რომ სიტყვა „სამართლიანობა“ უფრო ხშირად იხმარება ფართო საზოგადოების მიერ და გაჩნდა შეთავაზება მისი გადანაწილების საჭიროებაზე. თუმცა, ზოგიერთის აზრით, ტერმინი უნდა გამოიყენებოდეს დიდი სიფრთხილით, რათა არ მოხდეს დისკრიმინაციასა და უთანასწორობაზე უფრო ღიად საუბრის სურვილის არქონის შენიღბვა. მაგალითად, ვნახოთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წყალმომარაგებისა და სანიტარული ნორმების ერთობლივი მონიტორინგის პროგრამა და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), სამართლიანობისა და არა-დისკრიმინაციის მუშა ჯგუფი, განსაკუთრებით, ათასწლეულის განვითარების მიზნების ჩანაწერი არადისკრიმინაციაზე და მინიშნებები წყალსა და სანიტარულ ნორმებზე”, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.wssinfo.org/post-2015-monitoring/working-groups/equity-and-non-discrimination/ (წვდომა განხორციელდა 2014 წლის 19 მაისს).

მამაკაცთა თანასწორობის ან გენდერული თანასწორობის კონცეფცია და არა გენდერული სამართლიანობის კონცეფცია კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესრულებისას. "კონვენციით გათვალისწინებული სამართლებრივი ტერმინი „გენდერული თანასწორობა“ არ შეიძლება შეიცვალოს ტერმინით „სამართლიანობა“, რომელიც სუბიექტური კრიტერიუმით ნაკარნახევი ცნებაა..¹⁹

ზოგიერთი დაინტერესებული მხარე უჭერს მხარს ამ ორი ტერმინის გამიჯვნას, რადგანაც გენდერული თანასწორობა ნიშნავს იდენტურ დამოკიდებულებას და მოპყრობას ქალებისა და მამაკაცების მიმართ, ხოლო სამართლიანობა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეალური თანასწორობა, რომელიც ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის ქვეშ არსებული სტანდარტი უნდა იყოს, მოითხოვს შესაბამის ზომებს თანასწორობის მისაღწევად. ეს ნიშნავს, რომ ქალებსა და მამაკაცებს ყოველთვის არ ექცევიან ერთნაირად და, რომ აუცილებელია ისტორიული დისკრიმინაციის აღმოფხვრა ან/და ქალთა ბიოლოგიური განსხვავებების გათვალისწინება.

¹⁹ “მიღწევებზე დაყრდნობით: ქალთა უფლებები, პეკინიდან ხუთი წლის შემდეგ”, მაისი 2000, paras. 9–22. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.ohchr.org.

თანასწორობა, სამართლიანობა და გენდერული სამართლიანობა

“ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ან გენდერული თანასწორობის პრინციპებს საფუძვლად უდევს ცნება, რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად სქესისა, თავისუფალია თავისი შესაძლებლობების განხორციელებაში, პროფესიულ საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში სტერეოტიპებით, გენდერული ნიშნითა და ცრურწმენებით გამოწვეული შეზღუდვების გარეშე.“ თანასწორობის ცნება მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე რეალურ თანასწორობას.

“სამართლიანობა არის მორალური იმპერატივი, სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული უსამართლო დიფერენციაციის აღმოსაფხვრელად. იგი მოითხოვს ფოკუსირებას ყველაზე უფრო დაჩაგრულ და ღარიბ ინდივიდებზე. ბევრმა, განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციამ თანასწორობა აქცია თავისი სამოქმედო გეგმის მთავარ ნაწილად. თუმცა, ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, მხოლოდ თანასწორობაზე დაყრდნობა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული, რადგანაც ამ განსაღვრებას არ აქვს იურიდიული ძალა. რაც შეეხება სამართლიანობას, აქ საქმე სხვაგვარადაა - ამით შეიძლება უფლებებთან დაკავშირებული დავების შერყევა თუ მას განვიხილავთ დამოუკიდებლად თანასწორობისგან და არადისკრიმინაციისგან, პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.”^ბ

ტერმინი გენდერული სამართლიანობა “გამოიყენება ზოგიერთ იურისდიქციაში ქალისა და მამაკაცის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულების აღსანიშნავად, შესაბამისი საჭიროებებიდან გამომდინარე. აქ შეიძლება მოიაზრებოდეს თანასწორი დამოკიდებულება ან განსხვავებული დამოკიდებულება, რომელიც თანასწორად ითვლება უფლებების, სარგებლის, ვალდებულებების და შესაძლებლობების თვალსაზრისით. .”^ა

^ა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია No. 28 (2010) სახელმწიფოთა ძირითადი ვალდებულებების შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში, პარ. 22.

^ბ კატარინა დე ალბუქუერქო, “მომავალი უკვე დადგა: უთანასწორობის აღმოფხვრა წყალსა და ჰიგიენაში“, ოქტომბერი 2012. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.ohchr.org.

E. გენდერი

ტერმინი „გენდერი“ აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს, რომლებიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ტერმინ გენდერის ჩანაცვლება ტერმინით „ქალი“ არ შეიძლება. საზოგადოების მიერ ამ ბიოლოგიური სახესხვაობების სოციალურ და კულტურულ აღქმას მივყავართ იერარქიულ ურთიერთობებამდე ქალსა და კაცს შორის, ასევე ძალაუფლების და უფლებების განაწილებამდე კაცის სასარგებლოდ და ქალის დასაკნინებლად. ამ სოციალურ დაყოფას განაპირობებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური, იდეოლოგიური და გარემო ფაქტორები და ამის შეცვლა შეუძლია კულტურას და საზოგადოებას.

გენდერული სტრუქტურა დინამიური და ცვალებადია; ის დროთა განმავლობაში იცვლება და სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. სოციალურად შესწავლილი განსხვავებების მიხედვით, ქალის როლი ტრადიციულად მდგომარეობდა ოჯახისა და ბავშვების მოვლაში, ხოლო მამაკაცის როლი ითვალისწინებდა სამუშაოს სახლის გარეთ. ბევრ საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა როლების ტრადიციული აღქმა შეიცვალა და მუდმივად ვითარდება.

გენდერული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის გაანალიზება, რადგან გენდერული ანალიზი გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ განსხვავებულად განიცდიან ქალები და მამაკაცები ადამიანის უფლებების დარღვევასა და ასაკით, კლასით, რელიგიით, კულტურითა და ლოკაციით გამოწვეული განსხვავებების ზეგავლენას. ეს აშუქებს და იკვლევს იერარქიულ და უთანასწორო ურთიერთობებს მამაკაცებსა და ქალებს შორის, ქალის სამუშაოსთვის მინიჭებულ უთანასწორო ღირებულებას, ქალთა უთანასწორობას ძალაუფლებასა და უფლებამოსილებაში, სიღარიბისა და რესურსების საკითხებს. გენდერული მეინსტრიმინგი და ინტეგრაცია ხელს უწყობს სხვადასხვა კანონების, პოლიტიკისა და პროგრამების გავლენის შეფასებას, რაც განმარტებულია ქვემოთ.

გენდერული მეინსტრიმინგი

გენდერული მეინსტრიმინგი (ან ინტეგრაცია) არის იმ შედეგების შეფასების პროცესი, რომელსაც ქალები და მამაკაცები განიცდიან სხვადასხვა დაგეგმილი ქმედების, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკის თუ პროგრამების შედეგად ყველა სფეროში და ყველა დონეზე. ეს არის სტრატეგია მიმართული იმისკენ, რომ ქალებისა და მამაკაცების პრობლემები და გამოცდილება გახდეს პროექტის, განხორციელებისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილი ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, რათა აღარ არსებობდეს უთანასწორობა სქესთა შორის. სწორედ თანასწორობის მიღწევა ქალებსა და კაცებს შორის არის ძირითადი მიზანი. გენდერული ინტეგრაცია, როგორც სტრატეგია და მეთოდოლოგია, არ ნიშნავს თეორიაში ქალის გამოცდილებაზე აქცენტის გაკეთებას. თუმცა, სოციალურად განპირობებული განსხვავებები და ურთიერთობები ქალებსა და მამაკაცებს შორის, მსოფლიოს უმეტეს საზოგადოებებში, პრაქტიკაში როგორც წესი იწვევს კონცენტრაციას ქალებზე, რადგანაც სწორედ ისინი განიცდიან ყველაზე ხშირად გენდერულ უთანასწორობას.

გენდერი მნიშვნელოვანი ტერმინია გენდერული იდენტობის კონტექსტში გასაგებად.²⁰ გენდერული იდენტობა გულისხმობს საკუთარი გენდერის ღრმად შეგრძნებას, რომელიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს დაბადებისას მიღებულ ბიოლოგიურ სქესს. გენდერული იდენტობა დამოუკიდებელია სექსუალურ ორიენტაციაზე, რაც გულისხმობს თუ რომელ სქესს მიეკუთვნება ინდივიდი; მაგალითად, ბევრი ტრანსგენდერი შეიძლება იყოს ჰეტეროსექსუალი.

²⁰ იხილეთ ასევე OHCHR (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი), დაიბადო თავისუფლად და თანასწორად: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონში (HR/PUB/12/06).

F. ინტერსექციონალურობა და დისკრიმინაციის სხვადასხვა

ფორმა

მრავალმხრივი დისკრიმინაციის ფორმა ყოველთვის არსებობდა თუმცა, მათი უფრო ფართოდ აღიარება მხოლოდ ბოლო ათწლეულებში მოხდა. ასაკი, სოციალური სტატუსი, რასა და ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, ეროვნება, მოქალაქეობა, ჯანდაცვა - განსაკუთრებით შიდა და უნარშეზღუდულობა, სიღარიბე და სექსუალური ორიენტაცია არის ის ფაქტორები რომლებმაც შეიძლება გაამწვავოს ან სხვაგვარად იმოქმედოს ქალების დისკრიმინაციის ბუნებაზე.²¹

ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე სახელმწიფოებმა აღიარა, რომ "ბევრი ქალი თავიანთი უფლებებით სარგებლობის პროცესში აწყდება დამატებით ბარიერებს ისეთი ფაქტორების გამო, როგორცაა რასა, ენა, ეთნიკურობა, კულტურა, რელიგია, უნარშეზღუდულობა ან სოციალურ-ეკონომიკური კლასი. ამას ემატება იძულებით გადაადგილებულ პირთა ან შრომითი მიგრანტების სტატუსი. "დურბანის დეკლარაციაში სახელმწიფოები აცხადებს, რომ „რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცია, ქსენოფობია და სხვა შეუწყნარებლობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება ქალებისა და გოგონების მიმართ და ეს შეიძლება იყოს ის ფაქტორები, რომელთაც მივყავართ ქალების პირობების გაუარესებისკენ, სიღარიბისკენ, ძალადობისკენ, დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმებისკენ და მათი უფლებების შეზღუდვისკენ ან უარყოფისკენ". მათ ასევე აღიარეს გენდერული ფაქტორის ინტეგრირების საჭიროება შესაბამის პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და სამოქმედო პროგრამებში რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების მართვის მიზნით.

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი თავის ზოგად რეკომენდაციაში 25 (2000) ასევე შეეხო რასობრივი დისკრიმინაციის გენდერულ ასპექტებს და აღნიშნა, რომ „რასობრივი დისკრიმინაცია ყოველთვის ერთნაირად და

²¹ იხილეთ OHCHR (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი), "ქალები, დისკრიმინაციის მრავალმხრივი ფორმების წინაშე", აპრილი 2009, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.un.org/en/durbanreview2009/pdf/InfoNote_07_Women_and_Discrimination_En.pdf; და კოლენ შეფარდი, "მრავალმხრივი დისკრიმინაცია სამუშაოებზე", მუშა ფურცელი No. 66 (ქენევა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სექტემბერი 2010), ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/newsitem/wcms_170018.pdf.

თანაბრად არ ვრცელდება ქალებსა და მამაკაცებზე. არსებობს შემთხვევები, როდესაც რასობრივი დისკრიმინაცია უპირველესად (ან მხოლოდ) ვნებს ქალებს ან სხვაგვარად მოქმედებს მათზე ან განსხვავებული ხარისხით, ვიდრე მამაკაცებს. ასეთი რასობრივი დისკრიმინაცია ხშირად გადაურჩება მხილებას თუ არ მოხდება ქალებისა და მამაკაცების სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოცდილების (როგორც პირადი, ასევე საჯარო) ხმამაღლა აღიარება.”

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისათვის ზოგად რეკომენდაციაში 25 (2004) ასევე აღნიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფოები უნდა ებრძოლოს ქალთა მიმართ მრავალმხრივ დისკრიმინაციას დროებითი სპეციალური ღონისძიებების გატარებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია არის პირველი ვალდებულებითი ადამიანის უფლებათა დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ეთმობა ქალებისა და გოგონების მრავალმხრივ დისკრიმინაციას და რომელიც მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების მიერ უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით თანაბრად სარგებლობა.

ქალთა მიმართ ძალადობის სპეციალურმა მომხსენებელმა აღიარა ინტერსექციონალური ანალიზის საჭიროება სქესობრივი ძალადობის შესწავლისას, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სხვადასხვა კატეგორიების გამოსავლენად.²² ბოლო დროის მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა ქალთა მიმართ ძალადობას (A / HRC / 17/26), სპეციალური მომხსენებელი ამტკიცებს, რომ ძალადობის აღმოფხვრა მოითხოვს კომპლექსური ზომების გატარებას როგორც ინტერ-გენდერული, ასევე ინტრა-გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ გენდერული ძალადობის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ფაქტორები, რომლებიც ზრდის ქალთა და გოგონათა მოწყვლადობას, მაგალითად, გეოგრაფიული მდებარეობა, განათლების დონე, დასაქმება, ოჯახური ურთიერთობები, პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის ხელმისაწვდომობა, კანის ფერი, ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები, ასაკი, ენის ცოდნა, ეთნიკური იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია.

²² იხილეთ “გაეროს სპეციალური მომხსენებლის 15 წელი ქალთა ძალადობაზე, მიზეზებსა და შედეგებზე (1994–2009): კრიტიკული მიმოხილვა”. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://www2.ohchr.org/english/issues/women/rapporteur/docs/15YearReviewofVAWMandate.pdf> (წვდომა განხორციელდა 2013 წლის 6 ნოემბერს).

V. ადამიანის უფლებათა დაცვის სტრუქტურა პრაქტიკაში

მიუხედავად იმისა, რომ ქალები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარს და მათ სრული უფლება აქვთ ისარგებლონ ადამიანის ყველა უფლებით კაცების თანაბრად, ეს პუბლიკაცია არ ისახავს მიზნად ადამიანის უფლებების ყველა ასპექტის ასახვას, რომელიც ქალებს ეხება. აქ აქცენტი კეთდება შემდეგზე: საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ადეკვატური სტანდარტის ცხოვრების მიღების უფლება, ქალთა მიმართ ძალადობა, მიგრაცია, კონფლიქტები და კრიზისები და სამართლიანობის ხელმისაწვდომობა.

განათლების უფლება აღიარებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში (მუხლი 13), ბავშვთა უფლებების კონვენციაში (მუხლი 28), ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციაში (მუხლი 28) მუხლი 10) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში (მუხლი 24). გარდა მოწოდებებისა ანტი-დისკრიმინაციისკენ განათლების მიღების და უფასო დაწყებითი განათლებით სარგებლობის სფეროში, ადამიანის უფლებათა კანონი მოითხოვს სახელმწიფოებისგან მოხსნას ის კონკრეტული დაბრკოლებები, რომლებსაც ქალები და გოგონები აწყდებიან განათლების მიღების მცდელობისას. ეს ასევე ეხება ადრეულ ქორწინებას, ორსულობას, ბავშვთა შრომასა და ძალადობას. გასათვალსიწინებელია ის საჭიროებები, რომლებსაც განიცდიან უნარშეზღუდული, ღარიბი და უმცირესობის წარმომადგენელი გოგონები. განათლებაში თანასწორობის უზრუნველყოფა მოითხოვს ფინანსურ რესურსებს და უწყვეტ ინფორმირებულობას გოგონათა განათლების მნიშვნელობის შესახებ.

ქორწინებასა და ოჯახურ ცხოვრებაში მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში, ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციაში, დაქორწინებულ ქალთა მოქალაქეობის შესახებ კონვენციასა და კონვენციაში თანხმობით ქორწინების შესახებ, ქორწინების მინიმალური ასაკის და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. მიუხედავად ამისა, ქალები მაინც ჩამორჩებიან მამაკაცებს უფლებებით სარგებლობაში პირად ცხოვრებაში. ბევრ ქვეყანაში ქალებს

აიძულებენ ქორწინებას. ისინი ვერ სარგებლობენ თანაბარი უფლებით შვილად აყვანის ან მეურვეობის საკითხებში. მათ არა აქვთ უფლება გადასცენ თავისი მოქალაქეობა შვილებს ან ქმარს და არ აქვთ თანაბარი უფლება უნარიანობა. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის, რომელიც უკავშირდება ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობების ყველა საკითხს (მუხლი 16). აქ იგულისხმება თანხმობით ქორწინების უფლების უზრუნველყოფა, მეუღლის ნებაყოფლობითი არჩევა, თანაბარი უფლებებით და ვალდებულებებით სარგებლობა ქორწინებისა და განქორწინების პერიოდში, ბავშვებთან მიმართებაში, გვარისა და პროფესიის, ასევე საქმიანობის არჩევის დროს. ეს დებულება ასევე მოიცავს საკუთრებაზე წვდომის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის უფლებას, რაც ცალკე იქნება განხილული ამ თავში. ქორწინებისა და ოჯახურ ურთიერთობებში თანასწორობის შესახებ 21-ე (1994) ზოგადი რეკომენდაციის თანახმად, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მოუწოდა სახელმწიფოებს წინ აღუდგეს კანონით, რელიგიით ან ტრადიციით განპირობებულ უთანასწორობას ქალთა და მამაკაცთა შორის კერძო სექტორში. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა აკრძალოს პოლიგამიური ქორწინება, რადგან ის ეწინააღმდეგება ქალის თანასწორობას მამაკაცთან და შეიძლება სერიოზული ემოციური და ფინანსური შედეგები იქონიოს მასზე და მასზე დამოკიდებულ პირებზე.

A. ქალთა უფლებები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში

ისტორიულად ქალები ვერ იღებდნენ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. კამპანიები, მიმართული ქალების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად იწყება მე-19, მე-20 საუკუნეებიდან და დღესაც გრძელდება.

პირველი მსოფლიო ომის დროს, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი საპარლამენტო დემოკრატიებისგან აღიარებდა ქალების მიერ ხმის მიცემის უფლებას. 1945 წელს, როდესაც შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნახევარზე მეტი 51 ქვეყნიდან (რომლებმაც ქარტიის რატიფიცირება მოახდინა) არ აძლევდა ქალებს ხმის მიცემის

უფლებას ან ეს უფლება იყო საკმაოდ შეზღუდული.²³

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ყველას აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში. ქალთა სტატუსის კომისიის ერთ-ერთი პირველი ამოცანა იყო დაეწერა კონვენცია 1952 ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ.²⁴ კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ აგებულია წინა კონვენციებზე და მე-7 მუხლი ეხება ქალთა წვდომას პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გადაწყვეტებზე. მუხლი 7 უზრუნველყოფს ქალთა უფლებას მონაწილეობა მიიღონ და ხმა მისცენ არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმებში, იყარონ კენჭი, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს პოლიტიკის ფორმირებასა და მის განხორციელებაში, დაიკავონ მაღალი თანამდებობები საჯარო სექტორში და შეასრულონ საჯარო ფუნქციები სახელმწიფო დონეზე, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მე -8 მუხლი მოითხოვს მონაწილე-სახელმწიფოებისგან "მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ქალების თანასწორობის უზრუნველყოფისთვის, ნებისმიერი დისკრიმინაციის გარეშე, მათთვის შესაძლებლობის მინიჭებისთვის წარმოადგინონ თავიანთი მთავრობა საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში."

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ხმის მიცემის უფლება უზრუნველყოფილია თითქმის ყველა ქვეყანაში, პრაქტიკაში, ხმის მიცემის უფლება ხანდახან კარგავს აზრს, როდესაც სხვა პირობები ამას შეუძლებელს ხდის ან ძალიან ართულებს, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის. ეს არის, მაგალითად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების არარსებობა, გამოხატვის თავისუფლების დარღვევა ან უსაფრთხოების ნაკლებობა, რაც ქალებს არაპროპორციულ ზიანს აყენებს. ზოგიერთ ქვეყანაში ქალებს არ შეუძლიათ რეგისტრაციის გავლა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რადგანაც მათ არ გააჩნიათ არც დაბადების და არც პირადობის მოწმობა, რომელიც მხოლოდ მამაკაცებზე გაიცემა. დამატებით დაბრკოლებას წარმოადგენს

²³ ფრანჩოის გასპარდი, "დაუსრულებელი ბრძოლები: პოლიტიკური და საზოგადო ცხოვრება", ძალაუფლების წრეში: ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის 25 წელი, Hanna Beate Schöpp-Schilling and Cees Flinterman, eds. (ნიუ-ორკი, ფემინისტური პრესა ნიუ-ორკის საქალაქო უნივერსიტეტი, 2007), pp. 145–153.

²⁴ Ibid., p. 148.

სტერეოტიპები და ტრადიციები ქალებისა და მამაკაცების როლზე საზოგადოებაში. წვდომის ნაკლებობა შესაბამის ინფორმაციასა და რესურსებზე ზღუდავს ქალების შესაძლებლობასა და სურვილს სრულად გამოიყენონ თავიანთი ხმის მიცემის უფლება.²⁵ ბევრი პოლიტიკური პარტიისა და სამთავრობო სტრუქტურების ტრადიციული სამუშაო სქემა კვლავაც აფერხებს ქალთა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ხშირად აიძულებენ ქალებს, უარი თქვან პოლიტიკური თანამდებობის დაკავებაზე ორმაგი დატვირთვის გამო და ასევე მაღალი თანამდებობების დაკავებისა და მოძიების მაღალი ღირებულების გამო, რასაც ემატება დისკრიმინაციული დამოკიდებულება და პრაქტიკა.²⁶ იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც განახორციელეს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის რატიფიცირება, მხოლოდ ზოგიერთს გააჩნია იურიდიულად დაკანონებული ქალთა კენჭისყრის უფლება და ქალები ჯერ კიდევ შეზღუდულად დაიშვებიან სახელმწიფოს ყველა დონეზე.

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა ეხება ძირითადად ქალების ხელისუფლებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში დაშვების საკითხებს. დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში, სახელმწიფოებს ევალება მიიღონ კონკრეტული ზომები, რათა უზრუნველყონ ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელისუფლებო სტრუქტურებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში და გაზარდონ ქალთა შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღონ მმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში დეტალური რეკომენდაციების შესაბამისად.

²⁵ Ibid.

²⁶ მეოთხე მსოფლიო კონფერენცია ქალთა თემაზე, თავი I, რეზოლუცია 1, დანართი II, პარ. 181–186 და ა 190.

კვლავ საჭიროა პროგრესი, რათა ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის მაჩვენებელი გაიზარდოს

პეკინის სამოქმედო პლატფორმა მიზნად ისახავს ბალანსის მიღწევას ქალებსა და მამაკაცებს შორის მაღალ, პოლიტიკურ თანამდებობებზე. თუმცა, თანასწორობა კვლავ მრავალი ქვეყნის ძირითადი მიზნის მიღმა რჩება. საპარლამენტთაშორისო კავშირის მიხედვით (IPU), ქალები საშუალოდ წარმოადგენენ მსოფლიოს 187 ქვეყნის პარლამენტარების 21.4 პროცენტს (2013 წლის მონაცემებით). საპარლამენტთაშორისო კავშირის მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ პეკინის კონფერენციის შემდეგ დამოკიდებულება და ინფორმირებულობა გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რათა ქალებს ჰქონდეს თანაბარი წვდომა საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

	სუბ-საპარული აფრ.	ამერიკა	აზია	ევროპა	ახლო აღმ. და ჩრდ. აფრიკა	წყნ. ოკეანის რეგ.
პარლ. ქალთა % მაჩვენ. 2000 წლის ივლისისთვის	12.4	15.3	14.5	16.2	3.8	11.9
პარლ. ქალთა % მაჩვენ. 2013 წლის ივლისისთვის	21.3	24.8	18.8	24.4	15.7	12.8

საინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.ipu.org.

გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნები და, განსაკუთრებით, მიზანი 3, რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებამოსილებას, ითვალისწინებს სახელმწიფოთა ვალდებულებას ხელი შეუწყოს იმ მექანიზმების განვითარებას, რომელიც მისცემს ქალებს ხმის უფლებას პოლიტიკურ და მმართველ ინსტიტუტებში. მიღწეული მიზნების პროგრესი აჩვენებს, რომ ქალები ნელ-ნელა იძენენ პოლიტიკურ ძალას, ძირითადად კვოტებისა და სპეციალური ღონისძიებების წყალობით. თუმცა, რეგიონული განსხვავებები რჩება.²⁷

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ზოგად რეკომენდაციაში №25 (2004) განმარტავს, რომ ტერმინი "სპეციალური ზომები" მოიცავს ფართო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული და სხვა რეგულირების ინსტრუმენტებს, პოლიტიკასა და პრაქტიკას, როგორცაა ურთიერთობის ან მხარდაჭერის პროგრამები, რესურსების გადანაწილება და/ან განთავსება, შეღავათიანი მკურნალობა, მიზნობრივი რეკრუტირება, დაქირავება და ხელშეწყობა, დროის გრაფიკებთან დაკავშირებული რიცხვითი მიზნები და კვოტის სისტემები. ეს ყოველივე უნდა იქნას მიღებული გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

სახელმწიფოებმა მიიღეს კვოტირების სისტემის სხვადასხვა ფორმა. ყველაზე გავრცელებულია პოლიტიკური პარტიების კვოტა, საკანონმდებლო კვოტა და რეზერვირებული ადგილები. პოლიტიკური პარტიების კვოტები, როგორც წესი, ნებაყოფლობითია, სპეციფიკურია ყოველი პარტიისთვის და გულისხმობს საარჩევნო სიაში ქალი კანდიდატებისთვის გამოყოფილი ადგილების გაზრდას. საკანონმდებლო კვოტები კანონით განსაზღვრული, სავალდებულო ეროვნული პოლიტიკაა და ის მოითხოვს ყველა პოლიტიკური პარტიისგან შეიტანოს არჩევნების კანდიდატების სიაში ქალების გარკვეული რაოდენობა. კიდევ ერთი მეთოდია ადგილების რეზერვაცია ქალებისთვის პარლამენტში, რაც უზრუნველყოფს კანონმდებელ ქალთა გარკვეულ რაოდენობას.²⁸ პეკინის მსოფლიო კონფერენციის შემდეგ, ქვეყნები სულ უფრო მეტად იყენებენ კვოტებს ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად, დისკრიმინაციის

²⁷ იხილეთ გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის განყოფილება, "მიზანი 3: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალებისთვის უფლებამოსილების მინიჭება", ფაქტ-ლისტი (DPI/2650 C), სექტემბერი 2010. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.un.org/millenniumgoals/pdf/MDG_FS_3_EN.pdf.

²⁸ ჰომა ჰუდფარი და მონა ტაჯალი, ელექტორალური პოლიტიკა: კვოტების ამუშავება ქალების სასარგებლოდ (ლონდონი, მუსულმანური კანონების ქვემცხოვრები ქალები, 2011), pp. 42–49.

საწინააღმდეგოდ და ქალთა მონაწილეობის ნელი ტემპის ასაჩქარებლად. ეს ზომები მიზნად ისახავს ზოგიერთი დაბრკოლების, განსაკუთრებით, ინსტიტუციონალური და სისტემური ბარიერების გამოსწორებას, რაც ჯერ კიდევ არღვევს ქალთა თანაბარი ხელმისაწვდომობის პოლიტიკას.

თუმცა, თუ ეს ზომები იზოლირებულად იქნება მიღებული, ეს არ იქნება საკმარისი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, ისინი საჭიროებენ ადაპტირებას ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად. ქალთა კვოტები ხშირად ხდება კრიტიკის საგანი სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგალითად, თუ ქალების არჩევა ხდება პოლიტიკური პარტიების ან ლიდერების მიერ პოლიტიკურ ინტერესების გამო, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თანასწორობის უზრუნველყოფას. მიზეზი შეიძლება ასევე იყოს ის, რომ კვოტები ნაკლებად აკეთებენ აქცენტებს ფაქტობრივ დამსახურებებზე.²⁹

ქალებისთვის შექმნილი კვოტები უნდა გაერთიანდეს სხვა ღონისძიებებთან, რათა შეიქმნას ქალების მონაწილეობის ხელშემწყობი გარემო, კერძოდ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის დადებითი შედეგები არ იქნება საგრძნობი, თუ ქალები, რომლებსაც აქვთ წვდომა, ასევე აქტიურად არ მიიღებენ მონაწილეობას დისკუსიებში და გადაწყვეტილებების მიღებაში.³⁰

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე არჩევნები ან სახელმწიფო თანამდებობებზე არჩევა. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა განმარტა, რომ კონვენციის მე -7 მუხლი ვრცელდება საზოგადოებისა და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროზე და, შესაბამისად, არ შემოიფარგლება ამ მუხლში განსაზღვრულით. კომიტეტის აზრით, ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ფართო ცნებაა და შეიძლება ეხებოდეს პოლიტიკური ძალის განხორციელებას, კერძოდ, საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ძალაუფლების, საჯარო ადმინისტრირების ყველა ასპექტს და პოლიტიკის განხორციელებას საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. ქალთა მონაწილეობის უფლება ითვალისწინებს

²⁹ Ibid., pp. 43–45 and 50–57.

³⁰ ფარზანა ბარი “ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა: საკითხები და გამოწვევები”, პროექტი - გაეროს განყოფილება ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის (EGM/WPD-EE/2005/EP.12), 3 ნოემბერი 2005, გვ. 6.

მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოებაში, საზოგადოებრივ საბჭოებში, ადგილობრივ საბჭოებსა და პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირებში, პროფესიულ ან ინდუსტრიულ ასოციაციებში, ქალთა ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციებში. კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია 23 (1997), რომელიც ეხება ქალების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხს, ხაზგასმით აღნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას დანიშნოს ქალები ხელმძღვანელ თანამდებობზე, ყველა დონეზე (ადგილობრივ, ეროვნულ, საერთაშორისო), ყველა სამთავრობო დაწესებულებაში, სასამართლოში და ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებს იგივე გააკეთონ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქალთა ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე და მიიღოს ზომები, რათა მოიხსნას დაბრკოლებები, როგორებიცაა გაუნათლებლობა, ენობრივი ბარიერები, სიღარიბე და ქალთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში, თუ პოსტკონფლიქტური საზოგადოებები უნდა შეიქმნას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის საფუძველზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 (2000) და მისი შემდგომი რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, აღიარებს ქალთა მნიშვნელოვან წვლილს მშვიდობის საკითხებში და მოუწოდებს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე, პრევენციის ყველა მექანიზმში, კონფლიქტების მართვასა და მოგვარებაში. ეს თემა უფრო დეტალურადაა განხილული ქვემოთ.

ქალი უფლებადამცველები

ცალკეულ პირთა, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანოების უფლებებისა და ვალდებულებების დეკლარაცია, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ, რომელიც ასევე ცნობილია ადამიანის უფლებათა დამცველების დეკლარაციის სახელით, აღიარებს ადამიანის უფლებათა დამცველების როლის მნიშვნელობას, მათ შორის ქალთა

დამცველების და ხაზს უსვამს ყველა ადამიანის უფლებათა დამცველის უფლებას და სახელმწიფოთა ვალდებულებებს.

სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის შესახებ ყურადღებას ამახვილებს ქალის უფლებათა დამცველების წინაშე მდგარ კონკრეტულ გამოწვევებზე და მათზე, ვინც მუშაობს ქალთა უფლებებსა ან გენდერულ საკითხებზე (A / HRC / 16/44). ქალთა უფლებადამცველები ექვემდებარებიან იგივე რისკებს, რომლებსაც სხვა უფლებადამცველები, მაგრამ როგორც ქალებს, მათ უფრო ხშირად ემუქრებათ გენდერული ძალადობის საშიშროება.³¹ ამის მიზეზი მრავალმხრივი და რთულია და დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე, რომელშიც კონკრეტული ქალი მუშაობს. ხშირად ქალი უფლებადამცველების მუშაობა განიხილება როგორც გამოწვევა საზოგადოებაში ოჯახისა და გენდერის როლის ტრადიციული მცნებების მიმართ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობისა და ხელისუფლების გაღიზიანება, ამიტომ მათ მიმართ ხშირია დევნა და სტიგმირება იმათ მხრიდან, ვინც თვლის, რომ თავიანთი სამუშაოთი ისინი საფრთხეს უქმნიან რელიგიას, ღირსებას ან კულტურას. გარდა ამისა, თვითონ სამუშაო ან ის რასაც ისინი ცდილობენ რომ მიაღწიონ (მაგ. ქალთა უფლებების რეალიზაცია ან სხვა გენდერული საკითხი) ხშირად ხდება მათზე თავდასხმის მიზეზი. ხშირია მუქარა და ძალადობა მათ ოჯახებზე,

რაც მიზნად ისახავს იმას, რომ ამ ადამიანებმა უარი თქვან თავიანთი სამუშაოს შესრულებაზე. სპეციალური მომხსენებელი ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს, რომ ძალადობის რისკი უფრო მაღალია ქალი უფლებადამცველების მიმართ, ვიდრე ეს მამაკაცი უფლებადამცველების შემთხვევაშია, ამიტომაც მნიშვნელოვანია გავაძლიეროთ დაცვის მექანიზმები და სხვა -ადგილობრივი თუ საერთაშორისო საპასუხო ქმედებები კონკრეტულ პრობლემებზე.

სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის პროგრამებში გენდერული საკითხების ინტეგრირება და ყურადღება გაამახვილონ ქალ უფლებადამცველთა კონკრეტულ საჭიროებებზე. ეს უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა დამცველების

³¹ ინმაკულადა ბარკია, "ადამიანის უფლებათა დამცველების გადაუდებელი პასუხები რისკის, რუკების და წინასწარი შეფასების დროს" (ქალთა უფლებების დაცვის ასოციაცია, 2011 წლის ივნისი), გვ. iii.

მიმართ, სახელმწიფო ან არასახელმწიფო სექტორის მიერ ჩადენილი დამინების, მუქარის, ძალადობისა და სხვა დარღვევების სწრაფ გამოძიებას. თუმცა, პრაქტიკაში ქალი უფლებადამცველები ხშირად რჩებიან ეფექტური დაცვის მექანიზმების გარეშე.

გარდა ამისა, სახელმწიფოს აქვს პირველადი ვალდებულება დაიცვას დამცველები მათზე მუქარის ან თავდასხმის შემთხვევაში. ანალოგიური ვალდებულება აქვს საერთაშორისო საზოგადოებებსა და გაეროს, კონფიდენციალობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, ზიანის მიყენების გარეშე და პიროვნების თანხმობის საფუძველზე.

მოქალაქეობის უფლება

ქალთა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, პირდაპირ კავშირშია მათ შესაძლებლობასთან მოითხოვონ მოქალაქეობა და მოქალაქეობასთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობა. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიანიჭონ "ქალებს მამაკაცის თანაბარი უფლებები, შეიძინონ, შეცვალონ ან შეინარჩუნონ თავიანთი მოქალაქეობა" და უზრუნველყონ, რომ „უცხოელზე ქორწინება ან ქორწინების დროს მეუღლის მიერ მოქალაქეობის ცვლილება ავტომატურად არ შეცვლის ცოლის მოქალაქეობასაც, დატოვებს მას მოქალაქის სტატუსის გარეშე ან იძულებით მიანიჭებს მეუღლის მოქალაქეობას"(მუხლი 9). კონვენცია ასევე მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან, რომ „მიანიჭონ ქალებს მამაკაცების თანაბარი უფლება ბავშვების მოქალაქეობის საკითხებში“. კომიტეტმა განმარტა, რომ მოქალაქეობა მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სრულუფლებიანი მონაწილეობისთვის და მოქალაქეობის არქონა სერიოზულ გავლენას ახდენს სხვა უფლებებით სარგებლობაზე, როგორცაა ხმის მიცემის უფლება, საჯარო სამსახურში ყოფნა, საზოგადოებრივი სარგებლის მიღება და საცხოვრებელი ადგილის არჩევა. მე -15 მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან "უზრუნველყოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა კანონის წინაშე", ისევე როგორც სამოქალაქო საკითხების იდენტური სამართლებრივი შესაძლებლობები. კომიტეტმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ამ სფეროში რაიმე შეზღუდვა სერიოზულად ზღუდავს ქალის შესაძლებლობას

უზრუნველყოს თავისი თავი და მის კმაყოფაზე მყოფნი. კომიტეტმა ასევე შეშფოთება გამოთქვა მე-9, მე-15 და მე-16 მუხლების შესწორებების მაღალ რაოდენობაზე და მოუწოდა სახელმწიფოებს გაიწვიოს ეს შესწორებები და განახორციელოს კანონმდებლობა ამ მუხლების შესაბამისად.

B. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამაში რეპროდუქციული ჯანმრთელობა განისაზღვრება, როგორც "სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა უბრალოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა, რეპროდუქციული სისტემის, მისი ფუნქციებისა და პროცესების ყველა საკითხში". 2004 წელს სპეციალური მომხსენებელი, ყოველი ადამიანის უფლებაზე ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი მიღწევებით, განმარტავს სქესობრივ ჯანმრთელობას, როგორც სექსთან დაკავშირებულ ფიზიკური, ემოციური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას და არა მხოლოდ დაავადების ან დისფუნქციის არარსებობას (E / CN.4 / 2004/49). ეს განმარტება ეფუძნება მოქმედების პროგრამის ფარგლებში იმის აღიარებას, რომ სექსუალური ჯანმრთელობის მიზანია "სიცოცხლისა და პირადი ურთიერთობების გაღრმავება და არა მხოლოდ კონსულტაციები რეპროდუქციასა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე".

ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა დაკავშირებულია ადამიანის სხვადასხვა უფლებებთან, მათ შორისაა სიცოცხლის უფლება, წამებისგან თავისუფლების უფლება, ჯანმრთელობის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, განათლების უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ნათლად მიუთითებენ, რომ ქალთა ჯანმრთელობის უფლება სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასაც მოიცავს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულებები პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს ქალთა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები. სპეციალური მომხსენებელი ჯანმრთელობის უფლების

საკითხებში მიიჩნევს, რომ ქალები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებითა და პროდუქციით, რომელიც: (a) არსებობს საკმარისი რაოდენობით, (b) არის ფიზიკურად და ეკონომიურად ხელმისაწვდომი, (c) ხელმისაწვდომია დისკრიმინაციის გარეშე და (d) კარგი ხარისხისაა (A/61/338).

მიუხედავად ამ ვალდებულებებისა, ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის უფლებების დარღვევა მაინც ხშირია. ესაა სერვისების (რომელიც მხოლოდ ქალებს სჭირდება) ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, უხარისხო მომსახურების შეთავაზება, პროცედურების წარმოება ქალის თანხმობის გარეშე, მათ შორის, იძულებითი სტერილიზაცია, ქალიშვილობის იძულებითი შემოწმება და იძულებითი აბორტი. ქალთა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას ასევე საფრთხეს უქმნის ადრეული ქორწინება და სასქესო ორგანოების დაზიანება/დასახიჩრება.

ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დარღვევა ხშირად უკავშირდება სოციალურ ღირებულებებს. ოჯახში ქალის როლის პატრიარქალური გაგება ნიშნავს, რომ ქალი ხშირად ფასდება მისი გამრავლების ფუნქციის მიხედვით. ადრეული ქორწინება ან განმეორებითი ორსულობები (ხშირად მოკლე ინტერვალით), რომლის მიზანიც ხშირად არის მამრობითი სქესის შვილის ყოლა, სავალალო და ხშირად დამღუპველიცაა ქალის ჯანმრთელობისთვის. ქალებს ხშირად უნაყოფობაშიც ადანაშაულებენ და მათი უფლებები აქედან გამომდინარეც ხშირად ირღვევა.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ქალთა თანასწორობის გარანტიად მიიჩნევს თავისუფლებას გადაწყვეტილების მიღებაში (თუ რამდენი შვილი ეყოლება და როდის), ასევე ინფორმაციის, განათლების და იმ საშუალებების ხელმისაწვდომობას, რომელიც ამ უფლებების განხორციელებისთვისაა საჭირო (მუხლი 16). კონვენცია განსაზღვრავს, რომ ქალის განათლების უფლება მოიცავს “წვდომას კონკრეტულ საგანმანათლებლო ინფორმაციაზე, რომელიც დაეხმარება ოჯახის კეთილდღეობის, მათ შორის ოჯახის დაგეგმვის უზრუნველყოფაში” (მუხ.10). გარდა ამისა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა მიიჩნევა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების მნიშვნელოვან ელემენტად. ქალის შვილოსნობის ფუნქციამ ასევე შეიძლება

გავლენა იქონიოს მის სხვა უფლებებზე, როგორცაა განათლება და მუშაობა.

პეკინის სამოქმედო პლატფორმა აღნიშნავს, რომ "ქალთა უფლებები მოიცავს მათ უფლებას, ჰქონდეთ კონტროლი და თავისუფალი გადაწყვეტილების უფლება თავიანთ სექსუალურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, რაც იქნება თავისუფალი იძულებისგან, დისკრიმინაციისგან და ძალადობისგან". ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, თავის ზოგად რეკომენდაციაში # 24 (1999), რომელიც ეხება ქალებსა და მათ ჯანმრთელობას, იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფოებმა პრიორიტეტად უნდა დასახოს "არასასურველი ორსულობის პრევენცია, ოჯახის დაგეგმვისა და სექსუალური განათლების გზით." ზოგად კომენტარში # 14 (2000), რომელიც ეხება ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტს, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა განმარტა, რომ დედათა ჯანმრთელობის სერვისების უზრუნველყოფა თავსებადია ძირითად ვალდებულებასთან, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს არანაირი გარემოებების ქვეშ და მონაწილე-სახელმწიფოებს გააჩნია დაუყოვნებლივი ვალდებულება განახორციელონ კონკრეტული და მიზანმიმართული ნაბიჯები ორსულობისა და მშობიარობის კონტექსტში ჯანდაცვის უფლების შესრულების მიზნით.

წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინფორმაციაზე

ქალის უფლებაა თავისუფლად და პასუხისმგებლობით გადაწყვიტოს შვილების რაოდენობა და ინტერვალი მშობიარობებს შორის და ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, განათლებასა და სამუალებებზე, რომ ისარგებლოს ამ უფლებით, რაც მოითხოვს წვდომას ინფორმაციაზე კონტრაცეფციის მეთოდებთან დაკავშირებით და შესაბამის სექსუალურ განათლებას.

ქალთა წვდომა კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე

გაეროს მოსახლეობის ფონდის მონაცემების მიხედვით 2008 წელს მსოფლიოში იყო რეპროდუქციული ასაკის (15-დან 49 წლამდე) 1.4 მილიარდი ქალი, რომელთაგან 818 მლნ ან ნახევარზე მეტს უნდოდა ორსულობის თავიდან აცილება. მათგან 603 მილიონი თანამედროვე კონტრაცეფციის მეთოდებს იყენებდა, ხოლო 215 მილიონი - არა. დაუგეგმავი ორსულობა ხშირად განპირობებულია თანამედროვე კონტრაცეფციის საშუალებების საჭიროების დაუკმაყოფილებლობით. იმ ქალების 66 პროცენტი, რომელთაც არასასურველი ორსულობა დაუდგა, არ იყენებდა კონტრაცეფციის არანაირ მეთოდს, 16% - ეყრდნობოდა ისეთ ტრადიციულ მეთოდებს, როგორცაა შეწყვეტილი სქესობრივი აქტი და კალენდარული მეთოდი, რაც გაცილებით დაბალეფექტურია, ვიდრე თანამედროვე მეთოდები. აივ ინფექციისა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრობლემა კიდევ ერთი სერიოზული შედეგია იმისა, რაც თანამედროვე კონტრაცეფციის უგულვებელყოფას მოსდევს.

ინფორმაციის ნაკლებობას კონტრაცეფციაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქალის უფლებაზე თავად გადაწყვიტოს შვილების რაოდენობა და დაგეგმოს ინტერვალები ორსულობებს შორის და ასევე ჯანმრთელობის უფლებაზე ზოგადად. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, თავის ზოგად რეკომენდაციაში No. 21 (1994) განმარტავს, რომ “უსაფრთხო და საიმედო კონტრაცეპტული მეთოდების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად ქალებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია კონტრაცეპტული მეთოდების და მათი გამოყენების შესახებ და გარანტირებული ხელმისაწვდომობა სქესობრივ განათლებასა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე -10 მუხლში. ეს ინფორმაცია უნდა იყოს მეცნიერულად ზუსტი და თავისუფალი ყოველგვარი დისკრიმინაციისგან. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამსახურში ნებისმიერ გაწვეულს აქვს უფლება უარი თქვას სამხედრო სამსახურზე მორალური პრინციპების გამო, ამ უფლების დაცვამ არ უნდა დაარღვიოს ქალის უფლება მიიღოს კონტრაცეფციაზე ზუსტი და ობიექტური

ინფორმაცია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მაგალითად დაადგინა, რომ ფარმაცევტს არ შეუძლია უარი თქვას კონტრაცეპტივების გაყიდვაზე თავისი პირადი რელიგიური მოსაზრებების გამო.³² ბავშვის უფლებათა კომიტეტმა, თავის ზოგად კომენტარში №4 (2003), რომელიც ეხება მოზარდთა ჯანმრთელობას და განვითარებას აღნიშნა, რომ "მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოზარდებს ჰქონდეთ წვდომა შესაბამის სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებზე, მათ შორის ოჯახის დაგეგმვაზე, კონტრაცეფციასა და სექსობრივი გზით გადამდები დაავადებების თავიდან აცილებაზე, მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა და მათი მშობლებისა თუ მეურვეების თანხმობისა".

წვდომა სერვისებსა და წამლებზე

ქალებისთვის იმ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც მხოლოდ ქალებს სჭირდება, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის უმთავრესი ასპექტია. ამ სერვისებისა და წამლების არსებობა, ხელმისაწვდომობა და ხარისხი მეტად მნიშვნელოვანია ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების უზრუნველსაყოფად. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, თავის ზოგად რეკომენდაციაში No. 24 (1999), განმარტავს: "დისკრიმინაციულია, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს ქალთათვის გარკვეული რეპროდუქციული ჯანდაცვის მომსახურების გაწევაზე". იგი ხაზს უსვამს, რომ "კანონები, რომლებიც კანონდარღვევად მიიჩნევენ მხოლოდ ქალთა მიერ მოთხოვნილი სამედიცინო პროცედურებით სარგებლობას და სჯის მათ ამის გამო, ნამდვილი ბარიერია ქალის ხელმისაწვდომობისა ჯანდაცვაზე.

სტატისტიკის მიხედვით, 2010 წელს მშობიარობის დროს 287 000 ქალი გარდაიცვალა. გარდა ამისა, ყოველწლიურად 10 მილიონი ქალი განიცდის ორსულობასთან დაკავშირებულ დაზიანებებს, ინფექციებს, დაავადებას ან ზოგჯერ შესაძლებლობების შეზღუდვას ხანგრძლივი პერიოდით. აუცილებელია საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მშობიარობაზე კვალიფიციური დაწესებულების

³² პიჩონი და საჯოუსი საფრანგეთის წინააღმდეგ, საქმე No. 49853/99, 2001 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ფარგლებში, სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე, მშობიარობის შემდგომ ზრუნვაზე. აუცილებელია არასანქცირებული აბორტის პრევენცია და კონტრაცეპტული არჩევანის გაფართოება. ეს ყოველივე არის ის ჩარევა, რომელიც შეამცირებს დედათა სიკვდილიანობასა და ავადობის მაჩვენებელს.

აღინე და სილვას შემთხვევა, ბრაზილია.³³ მსხვერპლი, აფრიკული წარმოშობის ქალი, რომელიც გარდაიცვალა მშობიარობის შემდგომი გართულებების შედეგად. არასწორი დიაგნოსტიკა, გართულებების დაგვიანებული მკურნალობა, დაგვიანებული გადაყვანა კარგ საავადმყოფოში და ავადმყოფის ისტორიების გადაცემის დისკოორდინაცია სამედიცინო დაწესებულებებს შორის, რასაც არ მოჰყვა ადეკვატური რეაგირება და ამ შეცდომების გამოსწორება, რის შედეგადაც კონვენცია დაირღვა.

კომიტეტმა დაადგინა, რომ მონაწილე სახელმწიფომ დაარღვია მუხლი 12-ით გათვალისწინებული ვალდებულებები (ჯანდაცვის წვდომასთან დაკავშირებით), მუხლი 2-ით გათვალისწინებული ვალდებულებები (c) (წვდომა სამართლიანობაზე), მუხლი 2-ის e პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები (სახელმწიფოს ვალდებულება აკონტროლოს კერძო ჯანდაცვის პროვაიდერების საქმიანობა) და კონვენციის მუხლი 1. თავის გადაწყვეტილებაში კომიტეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უშუალოდ პასუხს აგებს კერძო სამედიცინო დაწესებულებების ქმედებებზე, როდესაც იგი ახორციელებს თავისი სამედიცინო მომსახურების „აუტსორსინგს“ და ის ვალდებულია შეინარჩუნოს ვალდებულება აკონტროლოს კერძო სამედიცინო დაწესებულებები სათანადო ვალდებულებების შესაბამისად. კომიტეტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დედისთვის განკუთვნილი სამედიცინო მომსახურების თანხვედრა ქალთა კონკრეტულ საჭიროებებთან, რათა დედათა ჯანმრთელობის პოლიტიკა ხორციელდებოდეს პრაქტიკაში და ადეკვატური სასამართლო დაცვის საშუალებები და ეფექტური დაცვა ხორციელდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე.

უსაფრთხო სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ასევე მოიაზრებს უსაფრთხო აბორტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე

³³ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, შეტყობინება No. 17/2008, ივლისი 25, 2011.

კონტრაცეპტული მეთოდების ხელმისაწვდომობა და ოჯახის დაგეგმვა ამცირებს დაუგეგმავი ორსულობის რისკს, არცერთი კონტრაცეპტული მეთოდი არ არის 100% ეფექტური. ადამიანის უფლებათა მექანიზმების საქმიანობა მიუთითებს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აბორტის ხელმისაწვდომობა, როდესაც საფრთხეშია ქალის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, ან როდესაც ორსულობა დადგა გაუპატიურების ან ინცესტის შედეგად.³⁴ თავის ზოგად რეკომენდაციაში No. 24 (1999), ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი აღნიშნავს, რომ “შესაძლებელი უნდა იყოს აბორტის ამკრძალავი კანონმდებლობის შეცვლა (როდესაც შესაძლებელია), რათა თავიდან იქნეს აცილებული სადამსჯელო ღონისძიებები იმ ქალების მიმართ, რომელთაც სურთ აბორტის გაკეთება.” აბორტის დეკრიმინალიზაციის საკითხი ხაზგასმით გააშუქეს პეკინის სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში. გაიცა რეკომენდაცია, რომ სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ იმ კანონების გადასინჯვა, რომლებიც ითვალისწინებს ქალთა წინააღმდეგ სადამსჯელო ზომებს უკანონო აბორტებზე.³⁵ ნებისმიერი გარემოებების ფარგლებში, აბორტის შემდგომი სამედიცინო მომსახურება უნდა იყოს ხელმისაწვდომი და უსაფრთხო. სახიფათო აბორტი არის დედათა სიკვდილიანობის და ავადობის მთავარი მიზეზი და აბორტის სერვისების ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა არის ასევე სახელმწიფოს ვალდებულების მნიშვნელოვანი ნაწილი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებმა შეძლონ ორსულობის მართვა.

³⁴ იხილეთ, მაგ., ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია 28 (2000) ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის შესახებ, გვ. 11 და მისი 2012 წლის დასკვნები გვატემალაზე (CCPR / C / GTM / CO / 3, პუნქტი 20) და დომენიკის რესპუბლიკა (CCPR / C / DOM / CO / 5, პუნქტი 15).

³⁵ ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის ანგარიში, თავ. I, რეზოლუცია 1, დანართი II, პუნქტი. 106 (ლ). სპეციალურმა მომხსენებელმა ჯანდაცვის უფლებებზე წარუდგინა ანგარიში გენერალურ ასამბლეას 2011 წელს (A / 66/254) რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე კრიმინალიზაციისა და სხვა სამართლებრივი შეზღუდვების შესახებ, მათ შორის აბორტზე. მან დაასკვნა, რომ "სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლებრივი და უსაფრთხო აბორტის სერვისები, ხელმისაწვდომი და კარგი ხარისხის" და მოუწოდა სახელმწიფოებს "აბორტის დეკრიმინალიზაციისკენ" და რომ "განიხილოს როგორც დროებითი ღონისძიება, პოლიტიკის ფორმულირება და ოქმები პასუხისმგებელი ორგანოების მიერ დაკისრებული მორატორიუმი აბორტის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენების შესახებ". გარდა ამისა, მიუხედავად იმისა იქნება თუ არა აბორტი ლეგალური, ყოველთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი აბორტის შემდგომი სამედიცინო მომსახურება.

**სახელმწიფო ორგანოს დებულება აბორტთან დაკავშირებით
ლ.მ.რ. არგენტინის წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, საქმე No.
1608/2007, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 29 მარტს)**

ლ.მ.რ. იყო არასრულწლოვანი, ინტელექტუალური უნარშეზღუდვის მქონე გოგონა, რომელიც დაორსულდა ბიძის მიერ გაუპატიურების შედეგად. მას უარი უთხრეს ლეგალურ აბორტზე. კომიტეტმა დაადგინა პაქტის მე-7 მუხლის დარღვევა (წამება, სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა), რადგან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი უფლება ორსულობის შეწყვეტაზე (რაც ამ შემთხვევაში იქნებოდა არგენტინის კანონის შესაბამისად), რამაც გამოიწვია “ლ.მ.რ.-ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რაც იყო პაქტის მე-7 მუხლის დარღვევა, რასაც განსაკუთრებულად ამწვავებდა ის რომ გოგონა იყო არასრულწლოვანი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე.” კომიტეტმა მოსთხოვა სახელმწიფოს უზრუნველყო მსხვერპლისთვის სათანადო კომპენსაცია.

**კ.ლ. პერუს წინააღმდეგ (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, საქმე No. 1153/2003,
მოსაზრებები მიღებულია 2005 წლის 24 ოქტომბერს)**

კ.ლ. იყო 17 წლის გოგონა, რომლის ნაყოფსაც აღენიშნებოდა ისეთი მდგომარეობა, რომ დაბადებიდან რამდენიმე დღეში ის აუცილებლად დაიღუპებოდა. გოგონამ მოითხოვა აბორტი, თუმცა მას ეთქვა უარი, რადგანაც აბორტი ლეგალურად ითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ემუქრებოდა დედის სიცოცხლეს და არა ნაყოფთან დაკავშირებულ პრობლემებს. კ.ლ.-ს მოუწია ორსულობის ბოლომდე მიყვანა, შემდეგ ბავშვის ძუძუთი კვება, რომელიც დაბადებიდან ოთხ დღეში გარდაიცვალა. დაადგინეს რა მე-7 მუხლის დარღვევა, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაასკვნა რომ 17 წლის გოგონას დეპრესია იყო აშკარა და მოსალოდნელი შედეგი იმისა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ის თერაპიული აბორტის უფლებით. (მონაწილე სახელმწიფო არ მონაწილეობდა საქმის გარჩევაში)

ლ.კ. პერუს წინააღმდეგ (ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, საქმე No. 22/2009, მოსაზრებები მიღებულია 2011 წლის 17 ოქტომბერს)

ლ.კ. იყო არასრულწლოვანი გოგონა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, რომელმაც განახორციელა სუიციდის მცდელობა, როდესაც შეიტყო რომ დარჩა ორსულად ამ ძალადობის შედეგად. იგი გადარჩა, მაგრამ მიიღო სერიოზული დაზიანებები, მათ შორის ხერხემალზე, რაც საჭიროებდა სასწრაფო ოპერაციას. მან და დედამ მოითხოვეს ლეგალური აბორტი, რათა გაკეთებულიყო ოპერაცია ხერხემალზე. საავადმყოფომ ამაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ დაზარალებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. საბოლოოდ, 3.5 თვის შემდეგ, როდესაც გოგონას მოეშალა მუცელი, მას გაუკეთეს ოპერაცია ხერხემალზე, მაგრამ იგი ამჟამად პარალიზებულია კისრის ქვემოთ და მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია ხელების მოძრაობა. კომიტეტმა დაადგინა ჯანმრთელობის უფლების დარღვევა, ვინაიდან აბორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არ იყო მხედველობაში მიღებული პაციენტის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა. მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა წვდომა როგორც ქირურგიაზე, ასევე თერაპიულ აბორტზე, განსაკუთრებით არსებული გარემოებების გათვალისწინებით (მისი ასაკი, თვითმკვლელობის მცდელობა და სექსუალური ძალადობა).

რაც შეეხება წვდომას მედიკამენტებზე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ შეიყვანა კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, გადაუდებელი კონტრაცეფცია, აუცილებელი მედიკამენტების სამაგალითო ჩამონათვალში. იმის გათვალისწინებით, რომ მედიკამენტების ხელმისაწვდომობა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად ხანდახან შეიძლება შეზღუდული იყოს პოლიტიკური, კულტურული ან იურიდიული (ვიდრე სამედიცინო) მიზეზების გამო, სპეციალური მომხსენებელი ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მოუწოდებს სახელმწიფოებს "უზრუნველყოს წვდომა აუცილებელ მედიკამენტებზე მკურნალობისთვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის ...

ეფუძნებოდეს მხოლოდ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და მტკიცებულებებს და არ იყოს შეზღუდული იმ მოსაზრებების გამო, რომელიც არანაირად არ უკავშირდება ჯანმრთელობას.” (A/HRC/23/42, para. 73 (b)).

თანხმობა

ქალის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უზრუნველყოფა ნიშნავს, პატივი ვცეთ ქალის გადაწყვეტილებებს თავის სხეულთან დაკავშირებით. მოთხოვნას მესამე მხარის თანხმობაზე კონკრეტულ სერვისებზე წვდომასთან დაკავშირებით, თანმიმდევრულად აკრიტიკებდა ადამიანის უფლებათა მექანიზმები და ამას ქალთა უფლებების დარღვევად მიიჩნევდა.³⁶ მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, თავის ზოგად კომენტარში No. 28 (2000) თვლის, რომ სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვითაც ქალს სჭირდება ქმრის თანხმობა სტერილიზაციაზე, არის მისი (ქალის) უფლების დარღვევა.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ზოგად რეკომენდაციაში No. 19 (1992) ამბობს, რომ სავალდებულო სტერილიზაცია ან აბორტი უარყოფითად აისახება ქალთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და არღვევს მის უფლებას, თვითონ გადაწყვიტოს შვილების რაოდენობა და ინტერვალი მათ შორის.

ა.ს. უნგრეთის წინააღმდეგ³⁷ - ექიმმა, საჯარო საავადმყოფოში ჩაუტარა იძულებითი სტერილიზაციის პროცედურა პაციენტს ისე რომ არ მიაწოდა მას ადეკვატური ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით მისი თანხმობის მისაღებად. კომიტეტმა დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მოსარჩელის უფლების დარღვევას თანასწორუფლებიანობაზე ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით

³⁶ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია No. 24 (1999) ქალებსა და ჯანმრთელობაზე და მისი კომენტარი მონაწილე-სახელმწიფოთა მოხსენებაზე, მაგალითად ინდონეზიის შესახებ (CEDAW/C/IDN/CO/5, პარ. 16) და თურქეთზე (A/52/38/ რევ.1, პარ. 196), ბავშვთა უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 15 (2013) ბავშვთა უფლებებზე ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის შესახებ. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ მშობელის თანხმობის საჭიროება აბორტზე ზრდის მოზარდებში უკანონო აბორტების რიცხვს (იხ. მისი დასკვნა ყირგიზეთზე (CRC / C / 15 / Add.127, პარ. 45) და რამოდენიმე საკითხში იძლევა რეკომენდაციას რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს მოზარდები ახალგაზრდულ-მეგობრული რეაბილიტაციითა და საკონსულტაციო მომსახურებით.

³⁷ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, შეტყობინება No. 4/2004, მოსაზრებები მიღებულია 2006 წლის 14 აგვისტოს.

ოჯახის დაგეგმვის შესახებ. ეს ასევე ეხებოდა თანასწორობის უფლებას ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის კუთხით და ოჯახში თანასწორობის უფლებას, კერძოდ, შვილების რაოდენობის და ორსულობებს შორის ინტერვალის გადაწყვეტის საკითხებში.

განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, იძულებით სამედიცინო პროცედურებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება მათ სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის 23-ე მუხლი განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, მოიპოვონ და შეინარჩუნონ ოჯახი და შეინარჩუნონ შვილოსნობა თანაბარ დონეზე სხვებთან. მე-12 მუხლი კვლავ ადასტურებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას, იყვნენ აღიარებულნი კანონით და ისარგებლონ სამართლებრივი შესაძლებლობებით სხვების თანაბრად, მათ შორის ჰქონდეთ წვდომა მხარდაჭერაზე, რომელიც შეიძლება დასჭირდეთ თავიანთი სამართლებრივი შესაძლებლობების განსახორციელებლად. 25-ე მუხლი ცალსახად განმარტავს, რომ თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ჯანდაცვის უზრუნველყოფის საფუძველი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას რომ "ოპერაცია ან მკურნალობა უნდა გაუქმდეს პაციენტის სრული და ინფორმირებული თანხმობის გარეშე". ეს არის ერთ-ერთი პირველი დასკვნითი შენიშვნა, რომელსაც კომიტეტი აძლევს სახელმწიფოს.³⁸

³⁸ დასკვნითი შენიშვნა: ტუნისი (CRPD / C / TUN / CO / 1, პარ. 29). აგრეთვე იხილეთ "თემატური კვლევა ქალთა, გოგონათა და უნარშეზღუდულთა მიმართ ძალადობის საკითხებზე (A / HRC / 20/5).

**წამება, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა
ჯანდაცვის სფეროში**

ადამიანის უფლებათა საბჭოს 2013 წლის მოხსენებაში, სპეციალური მომხსენებელი წამებასა და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასა თუ დასჯის შესახებ ანალიზებდა ადამიანის უფლებების დარღვევას ჯანდაცვის საკითხებში, რომლებიც წამებას ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის იდენტურია. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ჩავარდნებს, რომლებიც არსებობს ამასთან დაკავშირებულ დაცვის მექანიზმებში. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რეპროდუქციული უფლებების დარღვევას. ის განმარტავს, რომ "იმულებითი სტერილიზაცია არის ძალადობის აქტი, სოციალური კონტროლის ფორმა და უფლების დარღვევა იყო თავისუფალი წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისგან ან სასჯელისგან". მან მოუწოდა სახელმწიფოებს "უზრუნველყოს ინფორმირებული და თავისუფალი თანხმობა თანაბარ საფუძველზე ყველასთან, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, სამართლებრივ ჩარჩოებში, სასამართლო და ადმინისტრაციული მექანიზმების მეშვეობით, მათ შორის პოლიტიკისა და პრაქტიკის გამოყენებით დარღვევებისგან დასაცავად."

იმავე მოხსენებაში ის ასევე ახსენებს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის იმ პრობლემას, რომელიც უკავშირდება აბორტებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, როგორც წამების და სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის დარღვევას. ის იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფოებმა "უნდა უზრუნველყოს ქალთა წვდომა გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე, მათ შორის აბორტის შემდგომ მოვლაზე, დევნისა და სამართლებრივი ჯარიმების შიშის გარეშე."

წყარო: A/HRC/22/53.

უსაფრთხო და ჯანსაღი ორსულობის უფლება

ორსულობასა და მშობიარობის დროს არსებული გართულებები ხშირად ხდება რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის მიზეზი განვითარებად ქვეყნებში. 15-44 წლის მამაკაცებში არ არსებობს ერთი კონკრეტული მიზეზი, რაც შეიძლება იყოს

სიკვდილის ან უნარშეზღუდულობის მიზეზი და ეს რიცხვი ახლოსაც არ არის ქალთა სიკვდილიანობის მაჩვენებელთან.³⁹ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია განსაზღვრავს დედათა სიკვდილიანობას, როგორც ქალის სიკვდილს ორსულობის პერიოდში ან 42 დღის განმავლობაში ორსულობის შეწყვეტიდან, მიუხედავად ორსულობის ხანგრძლივობისა და ადგილისა, მიუხედავად ორსულობის გართულებისა ან მისი მართვისა, მაგრამ არა უბედური შემთხვევის გამო. დედათა ავადობა არის ნორმალური ორსულობისგან და მშობიარობისგან გამოყოფილი მდგომარეობა, რომელიც ზიანს აყენებს ქალის ჯანმრთელობას ამ პერიოდში.⁴⁰

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს ადამიანის უფლებები დედათა ჯანმრთელობასთან, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით. როდესაც ქალები იღუპებიან მშობიარობის დროს, აცილებადი მიზეზების გამო, მოქმედებას იწყებს სახელმწიფოს ის ვალდებულებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას უკავშირდება. მაგალითად, ქალთა ცხოვრების უფლების დასაცავად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენება და განახორციელოს აუცილებელი ზომები რომ ქალებმა მიიღონ წვდომა კარგი ხარისხის სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანდაცვაზე. გარდა ამისა, ქალებს უნდა ჰქონდეს ამ სერვისების გამოყენების მატერიალური საშუალება. თავიდან აცილებადი დედათა სიკვდილიანობა ასევე იწვევს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მიღების უფლების დარღვევას, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა, ასევე თანასწორობის და არადისკრიმინაციის უფლებას, ინფორმაციისა და განათლების მიღების უფლებას და სამეცნიერო პროგრესით სარგებლობის უფლებას.

უფლებადაცვითი მიდგომის გამოყენებას დედათა სიკვდილიანობის და ავადობის მიმართ თან სდევს ამ საკითხის განხილვა ანტი-დისკრიმინაციული და თანასწორობის პერსპექტივების კუთხით, ასევე სახელმწიფოთა ვალდებულებების (ადამიანის

³⁹ იხილეთ დ. მაინე და ა.ე. იამინი “დედათა სიკვდილიანობა, როგორც ადამიანის უფლებათა საკითხი: საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების შეფასება”, ადამიანის უფლებათა კვარტალური შეფასება, ტომი. 21, №3 (1999 წლის აგვისტო).

⁴⁰ სუზან ა. ორსანი, დედათა, ახალშობილებსა და ქალის ჯანმრთელობაზე ზრუნვა: ყოვლისმომცველი ზრუნვა მთელი ცხოვრების მანძილზე (ფილადელფია, ვოლტერს კლაუერ / ლიპინჩოტ უილიამსი და ვილკინსი, 2008), გვ. 15.

უფლებათა კუთხით), დაცვაში არსებული ჩავარდნების, მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების ანალიზით. უფლებადაცვითი მიდგომის მექანიზმები ხელს უწყობს ქალთა იმ კონკრეტული ჯგუფების ჩართვას, რომელთაც არა აქვთ წვდომა მნიშვნელოვან ჯანდაცვის სერვისებზე.

უფლებადაცვითი მიდგომა დედათა სიკვდილიანობის მიმართ

ადამიანის უფლებათა საბჭომ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს მიმართა თხოვნით, მოემზადებინა მოხსენებების სერია დედათა სიკვდილიანობისა და ავადობის შესახებ. 2010 წლის პირველ ანგარიშში (A / HRC / 14/39), უმაღლესი კომისარი გამოყოფს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შვიდ მნიშვნელოვან პრინციპს: ანტი-დისკრიმინაციულობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეობა, გამჭვირვალობა, გაძლიერება, მდგრადობა და საერთაშორისო თანამშრომლობა. 2011 წელს წარმოდგენილ იქნა სასარგებლო მოქმედებების გეგმა (A/HRC/18/27, რომელშიც უმაღლესმა კომისარმა გამოყო ამ სასარგებლო მოქმედებათა ხუთი საერთო თვისება, რაც შეამცირებს დედათა სიკვდილიანობას და ავადობას ადამიანის უფლებათა ვალდებულებების პარალელურად: ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება ბარიერების მოხსნით ეფექტურ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებთან, დედათა სიკვდილიანობის და ავადობის აღმოსაფხვრელად, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანდაცვაზე წვდომის უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის გასაძლიერებლად, პროფესიული მომსახურების მისაღებად, და მონიტორინგისა და შეფასების გასაუმჯობესებლად. 2012 წელს უმაღლესმა კომისარმა მოამზადა ტექნიკური სახელმძღვანელო ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოსაყენებლად პოლიტიკასა და პროგრამებში აცილებადი დედათა სიკვდილიანობისა და ავადობის (A / HRC / 21/22) შემცირების მიზნით. სახელმძღვანელო უპირველესად განკუთვნილია პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც ცდილობენ შეიმუშაონ დედათა დაცვის პოლიტიკა ადამიანის უფლებათა მოთხოვნების შესაბამისად. იგი მოსდევს დაგეგმვის, ბიუჯეტირების, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პოლიტიკის ციკლს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით აუცილებელი ნაბიჯების დეტალებს თითოეულ ეტაპზე.

C. ქალთა უფლება ცხოვრების ადეკვატური სტანდარტით

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში ნახსენებია უფლება ადეკვატურ საკვებზე, ტანსაცმელსა და საცხოვრებელზე, საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე. ეს არის ადეკვატური სტანდარტის ცხოვრების უფლების (მუხლი 11) ნაწილი პიროვნებისთვის და მისი ოჯახისთვის. ქალთა უფლებები მიწის, ქონების, საკვების, წყლის და სანიტარული პირობების ფლობაზე, აგრეთვე სამუშაო და სოციალური უსაფრთხოება, არსებითად უკავშირდება ცხოვრების სათანადო სტანდარტების მიღწევის უფლებას. ყველა ეს უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით. მათ შორისაა ადამიანის უფლება თანაბრად ისარგებლოს ამ უფლებებით, დისკრიმინაციის გარეშე. ზემოხსენებული უფლებების რეალიზაციისთვის მნიშვნელოვანია ქალთა წვდომა სერვისებზე, განათლებასა და საწარმოო რესურსებზე.

მიწა, საკუთრება, საცხოვრისი

საკუთრების, მიწისა და საცხოვრისის უფლება, აუცილებელია ქალთა თანასწორობისა და კეთილდღეობისათვის. ქალის უფლება ჰქონდეს წვდომა და კონტროლი მიწაზე, საცხოვრებელზე და საკუთრებაზე მისი საცხოვრებელი პირობების განმსაზღვრელი ფაქტორია, განსაკუთრებით, სოფლის პირობებში (ქალისა და მისი შვილების ყოველდღიური არსებობისთვის), ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოებისთვის. მიუხედავად ამ უფლებების მნიშვნელობისა ქალებისთვის და იმ ოჯახებისთვის, სადაც ქალია ოჯახის უფროსი, ქალების საკუთრების ფლობის უფლება მაინც არაპროპორციულია კაცებთან შედარებით.⁴¹ ხშირად ეს იმისი ბრალია, რომ საკუთრება რეგისტრირებულია კაცის სახელზე - მამის, ქმრის ან ძმის; გაყოფის, გაყრის ან დაქვრივების შემთხვევაში, კაცი და მისი ოჯახი ხშირად ინარჩუნებს საკუთრების უფლებას, მაშინ როცა ქალი რჩება უსახლკაროდ ან უწევს საცხოვრისის გაზიარება ნათესავებთან, ამ საკუთრებაზე კონტროლის და უფლების გარეშე.

წვდომა მიწასა და საცხოვრისზე ხორციელდება მიწათსარგებლობის სისტემების

⁴¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის განსახლების ცენტრი, ქალთა უფლებები მიწაზე, საცხოვრებელზე და საკუთრებაზე პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში და რეკონსტრუქციის დროს: გლობალური მიმოხილვა, მიწის მართვის სერია №9 (ნაირობი, 1999), გვ. 12

ფარგლებში. მიწათსარგებლობა ეს არის კანონმდებლობით ან წეს-ჩვეულებებით განსაზღვრული მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობა ხალხს, ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი No. 4-ის თანახმად (1991), რომელიც ეხება ადეკვატური საცხოვრისის უფლებას, მიწათსარგებლობას აქვს სხვადასხვა ფორმა, მათ შორის იჯარა (სახელმწიფო და კერძო), კოოპერატიული საცხოვრისი, მფლობელის მიერ დაკავებული, არაფორმალური დასახლება, მათ შორის მიწის ან საკუთრების დაკავება. მიუხედავად მიწათსარგებლობის ტიპისა, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს გარკვეული გარანტია მიწათსარგებლობაზე, რაც უზრუნველყოფს კანონიერ დაცვას იძულებითი გამოსახლებისგან, შევიწროებისგან და სხვა საფრთხისგან.

დისკრიმინაციული კანონმდებლობა და კონტროლის არარსებობა საკუთრებაზე, მიწასა და საცხოვრებელზე ნიშნავს იმას, რომ ქალები არ მონაწილეობენ საზოგადოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებსაც უძღვებიან კაცები, რომლებიც როგორც წესი, არიან მიწის მესაკუთრეები. სოფლის თემებში მიწის მფლობელობა განსაზღვრავს როგორც სოციალურ სტატუსს, ასევე იმ გზას, რომლითაც კონტროლი ხორციელდება საყოფაცხოვრებო რესურსებსა და შემოსავლებზე. ქალთა დისკრიმინაციული ეკონომიკური პოზიცია ამ კუთხით ქმნის სტრუქტურულ დამოკიდებულებას მამაკაცებზე რესურსების ხელმისაწვდომობისათვის, რაც, თავის მხრივ, იწვევს ქალების დაუცველობასა და ძალადობას.

კულტურულმა და რელიგიურმა პრაქტიკამ ისევე, როგორც ადგილობრივმა წეს-ჩვეულებებმა, შეიძლება გავლენა იქონიოს ქალთა უფლებებზე, რომლებიც დაკავშირებულია მიწის, ქონებისა და საცხოვრებლის ფლობასთან. ეს პრაქტიკა, როგორც წესი, არსებობს სტატუტის სამართლის პარალელურად.⁴² ამ კანონებით შეიძლება მოხდეს ქალთა დისკრიმინაცია მიწის, ქონებისა და საცხოვრებლის კუთხით და ზოგჯერ ეს კანონები ეროვნულ კანონებზე უპირატესიც კი შეიძლება იყოს (ამ პრაქტიკის კოდიფიცირება არასოდეს ხდება, მაგრამ რეალობაში შეიძლება შეცვალოს კანონები, მაგალითად როდესაც ხორციელდება ადგილობრივად ან როდესაც

⁴² ქალები და ადეკვატური საცხოვრისის უფლება (გაეროს პუბლიკაცია, გაყიდვა No. E.11.XIV.4). აგრეთვე იხილეთ გაეროს ქალები და OHCHR (ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი), ქალთა უფლების რეალიზაცია მიწასა და სხვა საწარმოო რესურსებზე (2013).

გამოიყენება როგორც სტატუტის სამართლის ინტერპრეტაცია). ეს განსაკუთრებით ხდება სოფლად, სადაც წეს-ჩვეულებები და პრაქტიკა ჯერ კიდევ ქმნის და გავლენას ახდენს ოჯახის საკითხებზე და განსაზღვრავს ქალის პოზიციას. ხშირად ეს წეს-ჩვეულებები და პრაქტიკა განსაზღვრავს იმას, რომ ქალის წვდომა მიწის, ქონებისა და საცხოვრებელის ფლობაზე დამოკიდებულია კაცზე (ქმარი, მამა ან ძმა). პრაქტიკაში, სტატუტის სამართლის ინტერპრეტაცია, ქალის როლის განსაზღვრასთან მიმართებაში, ნაკარნახევაა ჩვეულებრივი კანონებით ან პრაქტიკით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც წესი, დომინირებს კაცი. ქალები იშვიათად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიწის, ქონებისა და საცხოვრებელის ფლობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა ეხება თუ არა ეს მათ უშუალოდ. ოფიციალური ადმინისტრაციის ფარგლებში არსებული გენდერული ცრურწმენები იწვევს ქალთა გამორიცხვას გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან, რომელიც უკავშირდება საცხოვრებელსა და მიწას.⁴³

ქალებს, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმებს, მაგ. ასაკოვანი ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, აივ ინფექციის მატარებელი ქალები ან ისინი, ვინც განეკუთვნება უმცირესობის ან ეთნიკურ ჯგუფებს, უწევთ შეხება დამატებით დაბრკოლებებთან მიწის და საკუთრების წვდომასთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგიერთ ადგილებში, ქვრივებს, ხშირ შემთხვევაში ასაკოვან ქალებს, ბრალს სდებენ თავიანთი ქმრების მკვლელობაში აივ ინფექციით დაავადების გზით და ნათესავები იყენებენ ამას არგუმენტად, რომ წაართვან მათ საკუთრების უფლება და გაასახლონ. ქალები შემდეგ კარგავენ წვდომას საწარმოო რესურსებზე, რაც მათ ასე სჭირდებათ სამედიცინო საჭიროებების ასანაზღაურებლად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადგენს საკუთრების უფლებას ყველასთვის, (მიუხედავად სქესისა (სქოლიო 17.1 და 2)), ცხოვრების სათანადო სტანდარტის უფლებას, მათ შორის, საცხოვრებელზე საარსებო წყაროს არარსებობის შემთხვევაში (მუხლი 25) და აცხადებს, რომ ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება როგორც ქორწინების პერიოდში, ისე მისი დაშლისას. (მუხლი 16). საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ თავისი არადისკრიმინაციული

⁴³ ქალები და ადეკვატური საცხოვრისის უფლება , თავი II, პუნ. C და F.

დებულების ფარგლებში (მუხლი 26), უზრუნველყოფს კანონის წინაშე თანასწორობას და კრძალავს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. ეს ეხება კანონმდებლობასა და პოლიტიკას საკუთრების, საცხოვრებლისა და მიწის უფლებებთან დაკავშირებით. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ასევე უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებლის უფლებას (მუხლი 11). გარდა ამისა, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონკრეტულად მოითხოვს სახელმწიფოებისგან, განახორციელოს ყველა შესაბამისი ზომა სოფლად მცხოვრებ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ სათანადო საცხოვრებელი პირობების, მათ შორის, საცხოვრებლით (14.2) სარგებლობის უზრუნველყოფა. იგი ასევე ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, კერძოდ კი, უზრუნველყოს მეუღლეების თანაბარი უფლებები საკუთრების, შემენის, მართვის, ადმინისტრაციის, სარგებლობისა და ქონების განკარგვის კუთხით (მუხლი 16.1).⁴⁴

პეკინის სამოქმედო პლატფორმის ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებულია განახორციელოს კანონმდებლობა და ადმინისტრაციული რეფორმა, რათა ქალებს ჰქონდეთ მამაკაცის თანაბარი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში, მათ შორის, საკუთრების უფლების ხელმისაწვდომობა და საკუთრების სხვა ფორმები,

⁴⁴ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის თანახმად და კონვენციის ფარგლებში, ქალებს უნდა მიეცეთ მამაკაცის იდენტური სამართლებრივი უფლებამოსილება, რათა ქალმა შეძლოს ხელშეკრულების გაფორმება, საკუთრების ფლობა, და წვდომა ფინანსურ კრედიტზე ქმრის ან ოჯახის წევრი მამაკაცის გარანტიის ან თანხმობის გარეშე. საკუთრების უფლება, მართვა, სარგებლობა და განკარგვა არის ქალის უფლება, ისარგებლოს ფინანსური დამოუკიდებლობით. ბევრ ქვეყანაში ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რათა ქალმა მოიპოვოს საარსებო საშუალება და უზრუნველყოს ადეკვატური საცხოვრებელი თავისთვის და თავისი შვილებისთვის. რაც შეეხება საოჯახო ქონებას - მიუხედავად იმისა რომ კანონი შეიძლება აძლევდეს ქალს ქონების თანაბრად ფლობის უფლებას ქორწინების ან გაყრის პერიოდში, პრაქტიკაში შეიძლება არსებობდეს დაბრკოლებები, როგორცაა დისკრიმინაციული კანონები ან ტრადიციები, რომლებიც ხელს უშლის ქალთა ამ უფლებების განხორციელებას და სახელმწიფომ უნდა ამაზე იზრუნოს. იგივე ეხება მემკვიდრეობის კანონებსა და პრაქტიკას. კომიტეტი დაჟინებით მოუწოდებს სახელმწიფოებს გააუქმოს სამართლებრივი დებულებები მემკვიდრეობაზე, რომელიც არ ითვალისწინებს ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების თანაბრად ფლობის უფლების პრინციპებს (ზოგადი რეკომენდაცია No. 21 (1994)). იხილეთ აგრეთვე ლეილანი ფარა, “ქალები და საცხოვრისი”, ქალების და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კანონში, კელი დ. ასკინ და დორეან მ. კოენიგი, ტომი 1 (არდსლეი, ნიუ-ორკი, ტრანსნაც. გამომც. 1999), pp. 510–513.

კრედიტი, მემკვიდრეობა, ბუნებრივი რესურსები და შესაბამისი ახალი ტექნოლოგიები". 1996 წელს სტამბოლში გამართული გაეროს კონფერენცია დასახლებულ პუნქტებთან დაკავშირებით, ასევე სტამბოლის დეკლარაცია და ჰაბიტატის გეგმა წარადგენს მოქმედების გეგმას ადამიანის უფლებებთან, მათ შორის, დასახლებულ პუნქტებში ქალთა უფლებებთან დაკავშირებით. ის ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს მიწათსარგებლობის უსაფრთხოების სამართლებრივი დაცვა და თანაბარი ხელმისაწვდომობა მიწაზე, მათ შორის, ქალებისათვის და სიღარიბეში მცხოვრები ადამიანებისთვის. ქალები არათანაბრად განიცდიან იძულებით გამოსახლებას და ამისაგან დაცვა წარმოადგენს უსაფრთხო მიწათსარგებლობის ძირითად ელემენტს და ადეკვატური საცხოვრებლის უფლებას. გამოსახლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებებში და საერთაშორისო კანონმდებლობით დაკისრებული მკაცრი კრიტერიუმებით. სახელმწიფომ უნდა მიიღოს საერთაშორისო კანონთან შესაბამისი გარკვეული ზომები ქალების დასაცავად გამოსახლებისგან, მაგალითად, ქალთათვის მიწასა და საცხოვრებელზე უფლების მინიჭების გზით. სახელმწიფოებმა უნდა განიხილოს ქალთა არათანაბარი გამოსახლების ზემოქმედება ისე, რომ მოხდეს ამ კონკრეტული ზემოქმედების სათანადოდ მართვა.

ქალებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები ყველა სათანადო ინფორმაციაზე, კონსულტაციაზე და მონაწილეობაზე გამოსახლების მთელი პროცესის განმავლობაში. გასახლების შემთხვევაში, გამოსწორება და კომპენსაცია თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ქალებისათვის და სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალები არ დაექვემდებარონ დისკრიმინაციას ან სექსუალურ და გენდერულ ძალადობას. ქალები უნდა იყვნენ კომპენსაციის პაკეტების თანამიმდებნი. ქვრივებსა და მარტოხელა ქალებს ასევე უნდა ჰქონდეთ უფლება საკუთარი კომპენსაციის მიღებაზე.

ძალადობა ქალთა მიმართ და მათი უფლება საცხოვრისზე

კვლევამ აჩვენა რომ არსებობს კავშირი ოჯახურ ძალადობასა და ადეკვატურ საცხოვრისზე ქალთა უფლებას შორის, რაც ხაზგასმით აღინიშნა სპეციალური მომხსენებლების საქმიანობაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ადეკვატური საცხოვრებლის უფლების საკითხებზე. თუ ქალის უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე არ არის სათანადოდ დაცული, ქალები უფრო მეტად მოწყვლადები ხდებიან ძალადობის მიმართ. როგორც აღმოჩნდა, ოჯახური ძალადობა ქალების (და ხშირად მათი შვილების) უსახლკარობის წამყვანი მიზეზია და ბევრი ქალი არჩევს შეურაცხმყოფელ ურთიერთობებში დარჩენას უსახლკარობის თავიდან აცილების მიზნით. ქალები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთრება, ნაკლებად განიცდიან ოჯახურ ძალადობას, რაც მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქალის საკუთრების უფლების დაცვა. მოსაზრება, რომ ქალმა უნდა „დატოვოს“ ადგილი, სადაც მას შეურაცხყოფას აყენებენ, იმის მაგივრად რომ მოიშოროს ქმარი, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს, რისი მხარდაჭერაც მას არა აქვს ხელისუფლების, საზოგადოების ან/და საოჯახო კანონების და რეგულაციების მხრიდან, მნიშვნელოვნად აფერხებს ქალის უფლებას ადეკვატურ საცხოვრისზე და ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების უფლებას. გადატვირთულობა, სიღარიბე და უმუშევრობა უარყოფითად მოქმედებს ზემოთ აღნიშნულ უფლებებზე და უშუალო გავლენას ახდენს ძალადობისა და კონკრეტულად სექსუალური ძალადობის დონეზე ოჯახსა და საზოგადოებაში. გარდა ამისა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა არასაკმარისი დაცვა, თავშესაფრების, იურიდიული დახმარებისა და უფლებებზე წვდომის ნაკლებობა, უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახური ძალადობასა და ქალთა უსახლკარობის დონეზე. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა მართოს ყველა ეს საკითხი როგორც ქალთა უფლება საკუთრებაზე, საცხოვრებელზე, სიცოცხლეზე, პირად უსაფრთხოებაზე, გენდერულ თანასწორობაზე, ძალადობისგან და დისკრიმინაციისგან თავისუფალ ყოფაზე.

**ა.ტ. უნგრეთის წინააღმდეგ (ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი.
საქმე No. 2/2003, მოსაზრებები მიღებულია 2005 წლის 26 იანვარს)**

ა.ტ. უნგრეთის წინააღმდეგ - ოჯახური ძალადობის საქმე. კომიტეტმა დაადგინა, რომ თავშესაფრები ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, მონაწილე სახელმწიფოს დაევალა მიიღოს დაუყოვნებლივი და ეფექტიანი ზომები ა.ტ.-ს ფიზიკური და გონებრივი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მისთვის და მისი შვილებისთვის უსაფრთხო საცხოვრებლის მინიჭებით, სადაც ის მიიღებს სათანადო დახმარებას ბავშვებზე, იურიდიულ დახმარებას, კომპენსაციას ფიზიკურ და მორალურ ზიანსა და თავისი უფლებების დარღვევაზე.

საკვები, წყალი და სანიტარული პირობები

უფლება საკვებზე, წყალსა და სანიტარულ პირობებზე თანაბრად მნიშვნელოვანია ქალთა კეთილდღეობის, ღირსებისა და ადამიანის სხვა უფლებებით სარგებლობისათვის. ადრეულ ასაკში არასათანადო კვება ამცირებს სწავლის პოტენციალს, პროდუქტიულობას და ზრდის რეპროდუქციული ჯანმრთელობის რისკებს. ეს ხელს უშლის გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მცდელობას ქალის ცხოვრების განმავლობაში და გავლენას ახდენს ისეთ საკითხზე, როგორცაა ქალის წვდომა რესურსებზე. ინვესტირება ქალთა კვებაში გააუმჯობესებს ქვეყნის განვითარების მთლიან პოტენციალს იმის გათვალისწინებით, თუ რა როლი აქვს ქალს ოჯახში, საკვების მომზადებასა და ბავშვების მოვლაში.⁴⁵ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობა, მათი ტრადიციული როლი წყლის მოგროვებასა და სანიტარული პირობების მართვაში, ბევრ საზოგადოებაში უარყოფით გავლენას ახდენს მათზე. ასევე აღიარებულია, რომ წყლისა და ჰიგიენის ნაკლებობა არათანაბარ ზიანს აყენებს მათ. ქალებსა და გოგონებს უფრო მეტად სჭირდებათ პრივატულობა ტუალეტისა და აბაზანის მოხმარებისას, განსაკუთრებით კრიტიკული

⁴⁵ ქალები და საკვების უფლება: საერთაშორისო კანონი და სახელმწიფო პრაქტიკა, უფლება საკვების კვლევაზე (რომი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2008), გვ. 8.

დღეების პერიოდში და თუ მათ არ აქვთ ტუალეტსა და აბაზანაზე იოლი წვდომა, ეს ზრდის გაუპატიურებისა და ძალადობის სხვა ფორმების რისკს.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი აღიარებს უფლებას საკვებზე და აცნობიერებს, რომ საჭიროა გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის ფუნდამენტური უფლება არ იყოს მშიერი და არ განიცდიდეს საკვების ნაკლებობას (მუხლი 11). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი თავისი ზოგად კომენტარში №12 (1999) სათანადო საკვების უფლების შესახებ განსაზღვრავს, რომ ამ უფლების თანახმად საკვები უნდა იყოს ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ყველასათვის. კომიტეტის განცხადებით, სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს ისეთი ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა ადამიანის გათავისუფლებას შიმშილისგან და ადეკვატური საკვებით სარგებლობის უფლებას. ეს მოითხოვს სურსათის უვნებლობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას, რაც კონკრეტულად უნდა ითვალისწინებდეს საკვებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის დისკრიმინაციის პრევენციის საჭიროებას, ქალებისთვის ეკონომიკურ რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას", მათ შორისაა მემკვიდრეობის უფლება, მიწის საკუთრებისა და სხვა ქონების ფლობის უფლება, კრედიტი, ბუნებრივი რესურსები და შესაბამისი ტექნოლოგია; ღონისძიებები, რომლებიც დაიცავს თვითდასაქმებულობასა და სამუშაოს, უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებასა და ღირსეულ ცხოვრებას დასაქმებულისა და მათი ოჯახებისთვის".

საკვების უფლების შესახებ სპეციალური მომხსენებლის განცხადებით, სოფლის მეურნეობაში გენდერული ხარვეზის აღმოფხვრა აუცილებელია ათასწლეულის განვითარების მიზნის მისაღწევად.

1. ამ მიზნით სპეციალური მომხსენებელი იძლევა რეკომენდაციას ისეთი ზომების განხორციელებაზე, როგორცაა: "დისკრიმინაციული კანონებისა და კულტურული პრაქტიკის აღმოფხვრა, ქალთა კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა, უფრო მეტი ქალის დასაქმება ცოდნის გავრცელების სერვისების სექტორში, უფრო ფართომასშტაბიანი სასოფლო-სამეურნეო დახმარება, ტიტულის გაცემა ორივე მეუღლეზე და უფრო მრავალფეროვანი ფერმერული პრაქტიკის ხელშეწყობა,

როგორცაა გასაყიდად და კერძო მოხმარებისთვის საჭირო პროდუქციის მოყვანა.⁴⁶

სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ქალები არიან ინტერესთა ჯგუფი და კვების უფლების განხორციელების ძირითადი მონაწილეები. თუმცა, მათ იშვიათად უსმენენ, რადგან ისინი სამართლებრივად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. მიუხედავად იმისა, რომ ქალები მსოფლიოს სოფლის მეურნეობის მუშახელის 80% -ს შეადგენენ, ისინი ფლობენ 1%-ზე ნაკლებ მიწას და სარგებლობენ 1%ზე ნაკლები კრედიტით, რაც კი გაიცემა მსოფლიოში ფერმერებზე.⁴⁷

2010 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, თავისი რეზოლუცია 64/292-ის ფარგლებში ადამიანის უფლებად აღიარა სუფთა წყლისა და სანიტარული პირობების უფლება. ეს უფლება არსებითად უკავშირდება ცხოვრების უფლებას (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მუხლი 11.1) და ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლებას (ibid. 12.1). წყალი პრიორიტეტულია როგორც ღირსეული ცხოვრებისთვის, ასევე ადამიანის სხვა უფლებებით სარგებლობისთვის. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია ითვალისწინებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს ქალთა ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, მათ შორის, წყალმომარაგების კუთხით (მუხლი 14.2). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი ზოგად რეკომენდაციაში №15 (2002) წყლის უფლებასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარგინალიზებულ ფერმერებს, მათ შორის ქალ ფერმერებს, რათა ჰქონდეთ თანაბარი წვდომა წყალზე და წყლის მართვის სისტემებზე. წყალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი და ის უნდა იყოს კარგი ხარისხის და ხელმისაწვდომი როგორც ეკონომიკურად, ისე ფიზიკურად, დისკრიმინაციის გარეშე.

⁴⁶ www.srfood.org/en/gender (წვდომა განხორციელდა 2013 წლის 8 ნოემბერს).

⁴⁷ Ibid. გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ვებ-გვერდზე იხილეთ ასევე გენდერული რესურსები: www.fao.org/gender/gender-home/gender-resources/en/ ((წვდომა განხორციელდა 2013 წლის 8 ნოემბერს).

მონაწილე-სახელმწიფოებს აქვთ უშუალო ვალდებულებები წყლის უფლების, მათ შორის, გარკვეული ძირითადი ვალდებულებების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს მინიმალურ დონეს, რომლის მისაღწევადაც პაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები ყოველთვის უნდა შესრულდეს. წყლისა და წყლის ობიექტების ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველყოფა ანტი-დისკრიმინაციულ საფუძველზე, განსაკუთრებით მარგინალიზებულ და დაუცველ ჯგუფებზე, წარმოადგენს ამ ძირითადი ვალდებულებების შემადგენელ ნაწილს. რაც შეეხება ქალთა წყლის უფლებას, ზოგად კომენტარში №15 (2002) აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ქალები არ გამოირიცხონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებიდან წყლის რესურსებსა და საკუთრებასთან დაკავშირებით და რომ ქალების მიერ წყლის შეგროვების არათანაბარი ტვირთი იყოს შემსუბუქებული.

უსაფრთხო სასმელი წყლისა და სანიტარიის უფლებების შესახებ ადამიანის უფლებათა სპეციალური მომხსენებელი თავის ანგარიშში, რომელიც ეხება წყალთან და სანიტარიასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლების რეალიზაციას, განმარტავს, თუ (A / HRC / 21/42) როგორ შეუძლია სხვადასხვა მახასიათებლების გადაკვეთას დაამძიმოს კონკრეტული ჯგუფების (ქალი სექს მუშაკი, აივ ინფექციის მატარებელი ქალი, ქალი რომელიც მიეკუთვნება კონკრეტულ მარგინალურ ჯგუფს) დისკრიმინაცია. სტიგმა, რომელსაც ეს ქალები აწყდებიან, დიდად აფერხებს მათ წვდომას წყალსა და ჰიგიენაზე. მენსტრუაციასთან დაკავშირებით კვლავ არსებობს სტიგმა და ტაბუ ბევრ ქვეყანაში. ქალებს ხშირად არ გააჩნიათ სათანადო საშუალებები და საჭირო პრივატულობა, რომ გამოიკვალონ ან დაიბანონ მენსტრუაციის დროს. არსებობს ასევე კულტურული ცრურწმენები, რომ ქალი ამ დროს არის „ბინძური“ და „უწმინდური“, რაც იწვევს მათ შეზღუდულ მობილობას ან იზოლაციას, ისევე როგორც დიეტურ შეზღუდვებს და შეზღუდულ წვდომას წყლის რესურსებსა და საკვებზე. ტაბუ და ღრმად ფესვებგადგმული პრაქტიკა მენსტრუაციასთან დაკავშირებით ასევე უარყოფით გავლენას ახდენს გოგონების განათლების უფლებაზე, რადგანაც ამ დროს ისინი შეიძლება არ დადიოდნენ სკოლაში იმის გამო რომ სკოლაში არ არის შესაბამისი საშუალებები ან უბრალოდ ოჯახის ცრურწმენების გამო. დუმილისა და სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მენსტრუაციისა და

ჰიგიენის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათ შორის ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება სკოლებში მენსტრუაციის შესახებ, რომელიც ეხება როგორც გოგოს, ისე ბიჭს. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადეკვატური ჰიგიენის საშუალებების ხელმისაწვდომობა.

ღირსეული სამუშაოსა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სხვა უფლებებთან ერთად, მუშაობისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება მჭიდროდ უკავშირდება უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე და ცხოვრების პირობების უწყვეტ გაუმჯობესებას პიროვნებისა და მისი ოჯახისთვის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, ქალებს უწევთ მუდმივ დაბრკოლებებთან შეხება სამუშაოს ყველა ასპექტში, იქნება ეს ანაზღაურებადი სამუშაო, სამუშაოს სახეობა, განთავისუფლება სამსახურიდან, ბავშვებზე დახმარების ხელმისაწვდომობა, ანაზღაურების დონე, სამუშაო პირობები, ხელმისაწვდომობა უფრო მაღალანაზღაურებად მამრობითი სქესის მიერ დაკავებულ პოზიციებთან, მათი სამუშაო ადგილების დაუცველობა, პენსიების და სარგებლის, ასევე დროის, რესურსების ან მათი უფლებების აღსადგენად საჭირო ინფორმაციის არარსებობა.⁴⁸ ქალები ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში და ისინი მუდმივად აწყდებიან დაბრკოლებებს სოციალური უზრუნველყოფის კუთხით როგორც დედები, არაფორმალური მუშაკები, მიგრანტები, ნახევარ-განაკვეთზე მომუშავე ხალხი და მომვლელები.

მუშაობის ზოგადი უფლება ჩამოყალიბებულია ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში (მუხლი 6). პაქტი კიდევ ერთხელ აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას, ისარგებლოს სამუშაოს სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებით, განსაკუთრებით ეს ეხება უსაფრთხო სამუშაო პირობების (მუხლი 7) უფლებას. იგი ასევე განიხილავს კოლექტიურ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია მუშაობის უფლებასთან, პროფესიული კავშირების შექმნის უფლებასთან და პროფკავშირში გაერთიანების უფლებას (მუხლი 8). როგორც კომიტეტი

⁴⁸ იხილეთ www.ilo.org/public/english/support/lib/resource/subject/gender.htm (წვდომა განხორციელდა 2013 წლის 8 ნოემბერს).

განმარტავს თავის ზოგად კომენტარში No. 18 (2005) პაქტის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამუშაო უნდა იყოს ღირსეული, დაფასებული უნდა იყოს მუშაკის ძირითადი უფლებები უსაფრთხო სამუშაოსა და ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ამიტომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა შეამციროს არაფორმალურად დასაქმებულების რაოდენობა (უმეტესად ქალები), რომლებსაც სახელმწიფო ვერ იცავს. სამუშაო უნდა იყოს ხელმისაწვდომი, არადისკრიმინაციული და მისაღები ინდივიდუალური მუშაკისთვის. და ისევე, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მუშაობის უფლებით სარგებლობა დისკრიმინაციის გარეშე და კონკრეტული, მიზანმიმართული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სრული დასაქმების უფლების რეალიზაციისათვის.

კომიტეტი შემდგომში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს "გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი სისტემის საჭიროებას, უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები და მოპყრობა მამაკაცებისა და ქალებისადმი, თანაბარი ანაზღაურების უფლების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ორსულობამ არ უნდა შექმნას დაბრკოლება დასაქმებაზე და არ უნდა იყოს სამუშაოს დაკარგვის მიზეზი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი კონვენცია, რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობას შრომასა და დასაქმებასთან მიმართებაში, არის კონვენცია No. 111 (1958), რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა უნდა გაატაროს ეროვნული პოლიტიკა

თანაბარი შესაძლებლობების მხარდასაჭერად დასაქმების სფეროში, დისკრიმინაციის აღმოფხვრის გათვალისწინებით, მათ შორის სქესობრივი დისკრიმინაციის. სხვა მნიშვნელოვანი კონვენციებია - კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანასწორი ანაზღაურების შესახებ No. 100 (1951) (რომელშიც კონკრეტულად განიხილება თანასწორი ანაზღაურება თანაბარი მოცულობის სამუშაოზე), კონვენცია „ოჯახური ვალდებულებების მქონე მშრომელების შესახებ“ No. 156 (1981) და დედობის დაცვის კონვენცია No. 183 (2000). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა მრავალი კონვენცია დაკავშირებულია გენდერულ საკითხებთან, მათ შორისაა, დასაქმების ხელშეწყობა, სამუშაო პირობები, აგრეთვე კონკრეტული კატეგორიები, როგორცაა შიდსით დაავადებული პირები, მიგრანტი მუშაკები, ტომის ხალხი და სახლის

მუშაკები.⁴⁹

სოციალური უზრუნველყოფის, მათ შორის სოციალური დაზღვევის უფლება, გათვალისწინებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში (მუხლი 9). კომიტეტის ზოგადი კომენტარი No. 19-ის (2007) მიხედვით, რომელიც ეხება სოციალური უზრუნველყოფის უფლებას, ეს უკანასკნელი არის მეტად მნიშვნელოვანი ადამიანური ღირსების უზრუნველყოფის კუთხით ყველა ადამიანისთვის, როდესაც ისინი აწყდებიან ისეთ გარემოებებს, რომლებიც ართმევს მათ შესაძლებლობას გამოიყენონ პაქტით განსაზღვრული უფლება. სოციალური უზრუნველყოფის უფლება მოიცავს უფლებას, მიიღო და შეინარჩუნო სარგებელი დისკრიმინაციის გარეშე, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაცვა შრომის ანაზღაურების არმილებისგან, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ავადმყოფობა, მშობიარობა, შრომისუუნარობა, უმუშევრობა, ხანდაზმულობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, საწარმოო ტრამვა, მიუწვდომელი ჯანდაცვა და ოჯახის არასაკმარისი მხარდაჭერა, განსაკუთრებით ბავშვებისა და სხვის კმაყოფაზე მყოფი ზრდასრული პირებისთვის.

სოციალური უზრუნველყოფის უფლებით თანაბრად უნდა სარგებლობდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები (საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების

შესახებ, მუხლი 2.2 და 3). თავის ზოგად კომენტარში #16 (2005), რომელიც ეხება მამაკაცთა და ქალთა თანაბარ უფლებებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში, კომიტეტი აღნიშნავს, რომ მე-3 და მე-9 მუხლების განხორციელება მოითხოვს სავალდებულო საპენსიო ასაკის გათანაბრებას მამაკაცებისა და ქალებისთვის, რაც უზრუნველყოფს ქალების მიერ თანაბარი სარგებლის მიღებას კერძო და საჯარო საპენსიო სქემებიდან; საუბარია ასევე ქალებისთვის დეკრეტული შვებულების, მამებისთვის დეკრეტული შვებულების და ორივე მშობელისთვის დეკრეტული შვებულების უზრუნველყოფაზე.

თავის ზოგად კომენტარში No. 19 (2007), რომელიც ეხება სოციალური

⁴⁹ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გენდერული თანასწორობა და ღირსეული სამუშაო: შერჩეული შსო კონვენციები და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას, 2012 წ. მე-3 გამოცემა (ჟენევა, 2012). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.ilo.int/global/standards/information-resources-and-publications/publications/WCMS_088023/lang-en/index.htm.

უზრუნველყოფის უფლებას, კომიტეტი განმარტავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღოს ზომები, რათა აღმოფხვრას ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ქალის მიერ თანაბარი წვლილის შეტანას სოციალური უზრუნველყოფის სქემებში. ქალისა და მამაკაცის სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობის სხვაობა აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სქემის შემუშავების დროს, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს დე-ფაქტო დისკრიმინაცია. არადაგროვებითი სქემის შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ქალები უფრო ხშირად ცხოვრობენ სიღარიბეში, ვიდრე კაცები და ხშირად მართოს უწევთ ბავშვების გაზრდა. დაგროვებითმა საპენსიო სქემამ შეიძლება გაზარდოს უთანასწორობა, რადგანაც ასაკოვანი ქალები მიიღებენ უფრო დაბალ პენსიას და უფრო დაბალ დაგროვებით სარგებელს.⁵⁰ ზოგადი რეკომენდაცია No. 27 (2010), რომელიც ეხება ასაკოვან ქალებსა და მათ უფლებებს, განიხილავს დისკრიმინაციის სხვადასხვა სახეობას, რომელთაგანაც ასაკოვან ქალებს უწევთ შეხება. ქალები ნაკლებად არიან დასაქმებული ფორმალურ სექტორში და, როგორც წესი, მათი ანაზღაურება ნაკლებია კაცებთან შედარებით. კომიტეტის თანახმად, ასეთ გენდერულ დისკრიმინაციას, რომელსაც ქალები მუდმივად განიცდიან მთელი ცხოვრების განმავლობაში, უკვე ასაკში აქვს კუმულაციური ეფექტი, რისი შედეგიცაა არაპროპორციულად დაბალი შემოსავლები და დაბალი პენსიები ან საერთოდ უპენსიობა.

⁵⁰ იხ. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის მოხსენება ასაკოვან ადამიანთა უფლებების შესახებ (E/2012/51), პარ. 51

ანალიზი

„ენა ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია. იგი განისაზღვრება, როგორც ელემენტებისა და წესებისაგან შემდგარი ნიშანთა სისტემა. ენა ადამიანის თვითგამოხატვის საშუალებას წარმოადგენს და ადამიანთა შორის კომუნიკაციის მიზნით გამოიყენება. მეცნიერების დარგს, რომელიც ენას, როგორც ნიშანთა სისტემას იკვლევს, ენათმეცნიერება ეწოდება.“ [მ.თანდაშვილის ლინგვისტური გვერდი].

მკითხველთა დიდმა ნაწილმა ცუდად ან საერთოდ არ იცის უცხო ენები. ასეთ დროს უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობის მნიშვნელოვანი ნაწილი თარგმანია. *„თარგმანი ენობრივი შუამავლის სახეა, რომლის დროსაც სხვა ენაზე იქმნება კომუნიკაციურად ორიგინალის ტოლფასი ტექსტი, რომლის დანიშნულებაც მისი სრულფასოვნად შეცვლა.“* [ნ. გაფრინდაშვილი 2012:88]

თარგმანს ათასწლოვანი ისტორია აქვს. ორენოვან ლექსიკონებს ჩვენს ერამდე სამი ათასი წლის წინ შექმნილ შუმერულ ტექსტებში ვხვდებით, რომლებიც, სავარაუდოდ, მთარგმნელის დასახმარებლად იყო განკუთვნილი. "ისტორიულად ცნობილია, რომ ძველ ბაბილონსა და ასურეთშიც არსებობდნენ მთარგმნელები, რომელთაც დაპყრობილი ხალხისათვის მბრძანებელთა ნება-სურვილის გადაცემა ევალებოდათ. ძველ ეგვიპტეში ჰქონდათ სკოლა, სადაც სპეციალურად ამზადებდნენ თარჯიმნებს, რათა მეზობლებთან ურთიერთობა გაეიოლებინათ. თარჯიმანი ბიბლიაშიც არის მოხსენიებული. იქ მოთხრობილია იოსებისა და მისი ძმების ისტორია, აღწერილია, როგორ გაყიდეს იოსები მონად ეგვიპტეში, სადაც მან მოგვიანებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ფარაონის კარზე. გარკვეული დროის შემდეგ მისი ძმები ეგვიპტეში გაემურონენ. როცა იოსები ნახეს, ვეღარ იცნეს. იოსები თავიდან არ გამოუტყდა ძმებს და მათ თარჯიმნის დახმარებით ესაუბრებოდა. თარჯიმნები და თარგმანი სხვა უძველეს წყაროებშიც მოიხსენიება. ასე რომ, მთარგმნელობით საქმიანობას მდიდარი ისტორია აქვს, რომლის შესწავლაც ნათელს ჰფენს სხვადასხვა ხალხის ენის, ლიტერატურისა და კულტურის განვითარების მნიშვნელოვან მხარეებს." [ნ. გაფრინდაშვილი 2012:88]

„თარგმანი ადამიანური მოღვაწეობის რთული და მრავალმხრივი ფორმაა. ჩვეულებრივ, საუბრობენ ხოლმე „ერთი ენიდან მეორე ენაზე“ თარგმნაზე. სინამდვილეში თარგმნის პროცესში მხოლოდ ერთი ენის მეორეთი შეცვლა როდი ხდება.

თარგმანში აისახება განსხვავებული კულტურები, ხასიათები, სხვადასხვაგვარი აზროვნება, ტრადიციები და განწყობილებები. მკვლევარები წარმატებით მიმართავენ ახალ ანალიტიკურ მეთოდებს, აქტიურად იკვლევენ თარგმანის კულტუროლოგიურ, კომუნიკაციურ, სოციოლინგვისტურ და სხვა ასპექტებს. შესაბამისად, თარგმანით ინტერესდებიან კულტუროლოგები, ეთნოგრაფები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები.“ [ნ.გაფრინდაშვილი 2012:89]

ფრანგი ჰუმანისტი, პოეტი და მთარგმნელი ეტენ დოლე თვლიდა, რომ მთარგმნელი უნდა იცავდეს შემდეგ ხუთ პრინციპს:

1. „მას სრულყოფილად უნდა ესმოდეს სათარგმნი ტექსტის შინაარსი და ავტორის განზრახვა;
2. მან სრულყოფილად უნდა იცოდეს ენა, რომლიდანაც თარგმნის ასევე ენა, რომელზეც თარგმნის;
3. ის უნდა გაეცეს სიტყვის სიტყვით თარგმნის ტენდენციას, რადგანაც ეს დაამახინჯებს ორიგინალის შინაარსს;
4. თარგმანში მან უნდა გამოიყენოს მეტყველებაში საყოველთაოდ ხმარებული ფორმები;
5. სწორად შერჩეული სიტყვის საშუალებით მან უნდა გადმოსცეს საერთო განწყობა, რომელსაც ქმნის ორიგინალი.“ [ნ. გაფრინდაშვილი]

ბარხუდაროვი ტექსტის არსებობისთვის აუცილებელ სამ მომენტს გამოყოფს.ესენია:

1. "საგანი (თემა) შეტყობინებისა;
2. ურთიერთობის სიტუაცია, სადაც ხორციელდება ენობრივი კომუნიკაცია;
3. სამეტყველო აქტის მონაწილენი, ე.ი „გამგზავნი“ (მოლაპარაკე ან დამწერი, რომელსაც ზოგიერთი ავტორი „ადრესატს“ უწოდებს და „მიმღები“ (მსმენელი ან მკითხველი, ანუ „ადრესატი“).“ [დ. ფანჯიკიძე 1995:11]

განასხვავებენ თარგმანზე მუშაობის სამ ფაზას:

- 1) სათარგმნი მასალის შერჩევა
- 2) დედნის შესწავლა
- 3) თარგმნის პროცესი (დ. ფანჯიკიძე 2005:27)

თარგმნის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურაა შექმნილი უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე. და მაინც, ინტერესი თარგმანის ფენომენის მიმართ კი არ ნელდება, არამედ უფრო ძლიერდება, რადგან მრავალი საკითხი დღესაც საორჭოფია.

„ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც თარგმანი წმინდა პრაგმატული საქმიანობაა, რადგანაც იგი სრულდება იმ მიზნით, რომ ნაწარმოები მივიდეს იმ მკითხველამდე, ვინც არ ფლობს დედნის ენას.“ [გ.წიბახაშვილი 2000:10-11]. მოგვიანებით მკითხველი უკვე ეცნობა თარგმანს არა მხოლოდ შინაარსის გაგებისთვის, არამედ აფასებს კრიტიკულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

„მთარგმნელი შუაკაცია ავტორსა და უცხოენოვან მთხრობელს შორის და ამ შუაკაცის ნიჭსა და ერუდიციაზეა დამოკიდებული, როგორ წარდგება უცხო მკითხველის წინაშე მწერალი, მისი ენა, სტილი, თხრობის მანერა, მხატვრულ სახეთა ძერწვის ხელოვნება, აზრთა და ემოციათა სიღრმე და სისტემა. ერთი რამ კი სრულიად აშკარაა: უცხო ენათა ცოდნის მასობრიობამ თარგმნისადმი ინტერესი გააძლიერა და მას, ამ ინტერესს, ახალი ნიუანსები შესძინა. ეს მოწმობს, რომ დღეს ადამიანებს აინტერესებთ არამარტო ნაწარმოების შინაარსი, არამედ მთლიანად მხატვრული ქმნილება, ენათა ეკვივალენტობის საზღვრები და შესაძლებლობანი.“ [წიბახაშვილი 2000:11]

„თარგმანი რთული და წინააღმდეგობრივი ფსიქოლოგიური ფენომენია. ამავე დროს, უაღრესად ინდივიდუალური და სუბიექტური ფაქტორებით განპირობებული. ამას ერთხმად აღიარებენ თარგმნის თეორეტიკოსებიც და პრაქტიკოსებიც. მაგალითად, თავის ნაშრომში „თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ დალი ფანჯიკიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თარგმანი არ არის მონოლითური ნაწარმოები. იგი ამბივალენტურია თავის ბუნებით. თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა. ამასთან იგი გვევლინება როგორც ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი და ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერჯის სხვადასხვა ენის ბაზაზე

გამომჟღავნების შედეგი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისებრიობადაა ქცეული“: [წიბახაშვილი 2000:11-12]

თარგმანის ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსი ვ.ნ კომისაროვი, გამოყოფს ოთხ ძირითად მიმართულებას თანამედროვე თარგმანის თეორიაში.

1. "ნაშრომების ერთ წყებაში თარგმანი ზოგადად განიხილება, როგორც ენათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება. თარგმანის ამ ასპექტის შესწავლა მიზნად ისახავს თარგმანის ცნების განსაზღვრას, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამოვლენას, მათი უერთიერთზემოქმედების კვლევას და ამ ფონზე განიხილავს თარგმანის თეორიის ცენტრალურ პრობლემას – ეკვივალენტობის პრობლემას;
2. თარგმანი განიხილება, როგორც მეტყველების თავისებური სახეობა, განხორციელებული მთარგმნელ-ბილინგვის მიერ. ამ ფსიქოლოგიური ასპექტის შესწავლის მიზანია მთარგმნელის სააზროვნო ოპერაციების გაანალიზება, როგორ ხდება დედნის შინაარსის გააზრება და თარგმანის ვარიანტების შერჩევა;
3. თარგმნა მოიაზრება, როგორც გადასვლა ერთ ენაზე შექმნილი ტექსტიდან მეორე ენაზე შესაქმნელ ეკვივალენტურ ტექსტზე. ამ შემთხვევაში თარგმნა განიხილება, როგორც საწყისი „ტექსტის“ ტრანსფორმაციები, ანუ ორ სტრუქტურას (ტექსტს) შორის მიმართებათა აღწერის ხერხები;
4. თარგმანის პროცესი განიხილება, როგორც განსაკუთრებული (დინამიკური) სახეობა ორი ენის სამეტყველო და ენობრივი ერთეულების შეპირისპირებისა. თარგმნის პროცესში ეკვივალენტურობა დგინდება არამარტო ორ სხვადასხვაენოვან ტექსტს შორის, არამედ ამ ტექსტების ელემენტებს შორისაც, თვით ცალკეულ ენობრივ ერთეულებამდეც კი. ამასთან, ორი ენის ეკვივალენტური ერთეულები ერთმანეთს შეეფარდებიან არა როგორც მხოლოდ მათი სისტემების ერთეულები, არამედ ისინი არსებობენ ეკვივალენტური სამეტყველო გამონათქვამების შემადგენლობაში. ამის მიხედვით, „თარგმნა გვევლინება, როგორც სხვადასხვა ენაში ისეთი

ერთეულების გამოვლენის ხერხი, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ ერთნაირი კომუნიკაციური ფუნქცია“. [დ. ფანჯიკიძე 1995: 7]

საინტერესოა ი. ი. რეცკერის მოსაზრებაც, რომელიც შეეხება თარგმანში ფორმისა და შინაარსის ერთობას. კერძოდ, იგი წერს: „*მთარგმნელის ამოცანაა სხვა ენის საშუალებით მთლიანობაში და ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და ამავე დროს შეინარჩუნოს მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებანი. თარგმანის „მთლიანობაში“ მოიაზრება ფორმისა და შინაარსის ერთიანობა სხვა ენობრივ საფუძველზე“.* [დ. ფანჯიკიძე 1995:29]

რეცკერი აღიარებს დედნის აზრების, გრძნობების, სინამდვილის აღქმის სწორად გადმოსაცემად ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ლიტმცოდნეობის საშველად მოხმობის აუცილებლობას, მაგრამ მთარგმნელის მთავარ საყრდენად მიაჩნია ტექსტი, მისი ლინგვისტური კვლევის საფუძველად კი ფუნქციური შესატყვისობები. (დ. ფანჯიკიძე 1995:30)

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო ჩამოყალიბებული თარგმანის შეფასების კრიტერიუმები, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ეკვივალენტურობას.

"*ჯონ კ. კეტფორდი თარგმანის თეორიას განიხილავს, როგორც კომპარატიული ლინგვისტიკის ერთ-ერთ განშტოებას, ხოლო ცნება „თარგმანი“ მისთვის არის ერთ ენაზე (ანუ წყარო-ენაზე) მოცემული ტექსტობრივი მასალის შეცვლა მეორე ენაზე (ანუ თარგმანის ენაზე). აქედან გამომდინარე, თარგმანის პრაქტიკის ცენტრალური პრობლემაა თარგმნითი ეკვივალენტების ძიება, ხოლო თარგმანის თეორია თარგმნითი ეკვივალენტობის ბუნების აღწერას უნდა ემსახურებოდეს.“* [დ. ფანჯიკიძე 1995:37]

იუჯინ ა. ნაიდა სტატიაში „თარგმანის მეცნიერების საკითხები“ მიმოიხილავს თარგმანის ტიპებს, რომელთა არჩევანი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე. ესენია:

- 1. "შეტყობინების ხასიათი;*
- 2. ავტორის განზრახვა და აქედან გამომდინარე, მთარგმნელის განზრახვა, როგორც ავტორის ნდობით აღჭურვილი პირისა;*
- 3. აუდიტორიის ტიპი (აქ იგულისხმება თავისუფალი თარგმანი, პწკარედი, პერიფრაზი, სიტყვასიტყვითი თარგმანი და სხვ.)."* [დ. ფანჯიკიძე 1995:37]

იუჯინ ნაიდას შემოაქვს ტერმინები: ფორმალური და დინამიკური

ეკვივალენტურობა. ფორმალური ეკვივალენტურობის დაცვისას ყურადღება კონცენტრირდება თვით შეტყობინებაზე. შეტყობინებაში იგი ათავსებს ფორმისა და შინაარსის პლანს, ანუ ის მიიჩნევს, რომ პოეზია უნდა ითარგმნოს პოეზიით, წინადადება - წინადადებით, ცნება- ცნებით და ა.შ. ფორმალური ეკვივალენტობის დაცვისას მთარგმნელი ცდილობს ფორმისა და შინაარსის რაც შეიძლება ზუსტად, სიტყვა-სიტყვით აღდგენას. [დ. ფანჯიკიძე 1995:37]

"დინამიკური ეკვივალენტურობის დაცვისას აუცილებელია თარგმანის ენაზე მოწოდებული ინფორმაციის არა დამთხვევა დედნის ენაზე მოწოდებულ ინფორმაციაზე, არამედ აქ უნდა შეიქმნას დინამიკური კავშირი შეტყობინებასა და თარგმანის ენაზე მიმღებს შორის. ამასთან სასურველია ეს კავშირი იყოს დაახლოებით ისეთივე, როგორც მყარდებოდა შეტყობინებასა და მიმღებს შორის დედნის ენაზე." [დ. ფანჯიკიძე 1955:37]

ამ პრინციპით შესრულებულ თარგმანს ახასიათებს გამოხატვის ხერხების ბუნებრიობა.

ენათშორისი კომუნიკაციის განხორციელებისას მთარგმნელმა შეიძლება სხვადასხვა მიზანი დაისახოს და ეცადოს მიაღწიოს შედეგს. ძირითადად, ეს შედეგები 4 ჯგუფად იყოფა.

I. "მთარგმნელის ამოცანა შეიძლება იყოს, რომ თარგმანის რეციფიენტმა გადაცემული ინფორმაცია ადეკვატურად აღიქვას;

II. მთარგმნელი შეიძლება ისწრაფოდეს გარკვეული კომუნიკაციური ეფექტის მიღწევისკენ, რომ შეუქმნას რეცეპტორს სასურველი ემოციური განწყობა გადაცემული ინფორმაციის მიმართ და გამოიწვიოს მასში შესაბამისი ასოციაციები;

III. მთარგმნელმა შესაძლოა მიზნად დაისახოს რეციფიენტში რაღაც კონკრეტული ქმედებების გაღვიძება, გამოიწვიოს მასში გარკვეული პრაქტიკული რეაქცია;

IV. მთარგმნელმა შეიძლება თავისი თარგმანი გამოიყენოს რაღაც

“ექსტრამთარგმნელობითი“ მიზნის მისაღწევად, გარკვეული იდეოლოგიური, პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ორიგინალის ადეკვატურ გადმოცემასთან.” [ნ.გაფრინდაშვილი]

არსებობს თარგმანის ორი ძირითადი ფუნქციური სახეობა: მხატვრული თარგმანი და ინფორმაციული თარგმანი. მხატვრული ლიტერატურა და მეცნიერული ლიტერატურა ეს ორი, სხვადასხვა სფეროა და შესაბამისად, მათ სათარგმნად სხვადასხვა ხერხი გამოიყენება.

სამეცნიერო თარგმანის თავისებურებებს წარმოადგენს აზრის სიზუსტე, ლაკონურობა, ლოგიკურობა და ობიექტურობა, ერთი და იგივე სიტყვების ხშირი გამოყენება. ამ თემატიკის დოკუმენტების ძირითადი ფუნქცია ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაა, მხატვრული თარგმანის ძირითადი ფუნქცია კი ორიგინალის მხატვრულ-ესთეტიკური ღირსების წარმოჩენა.

ნებისმიერი დარგი, მით უფრო სამართალი, ემნის საკომუნიკაციო ჩარჩოს, რაც უკვე გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს, როგორც თვით დარგობრივ კომუნიკაციაში, ასევე სამართლებრივი ტექსტის თარგმნისას. საჭირო ხდება ამოსავალი ტექსტის არა უბრალოდ მეორე ენაზე გადატანა, არამედ განსხვავებული ცნებითი სისტემების შეჯერება, გამიჯვნა, და ზოგჯერ ინტერპრეტაციაც. ეს კი თავისთავად გულისხმობს შესაბამისი დარგის ცნებითი სისტემების ამსახველი ტერმინოლოგიის, ტექსტის სახეობის, ადრესატთა წრის გათვალისწინებას, რათა თარგმნილი ტექსტი არ გასცდეს თვით დარგის მიერ განსაზღვრულ საკომუნიკაციო ფარგლებს, რადგან მოგვიანებით სამართლებრივი ტექსტის გამოყენების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თარგმნილი ტექსტის სიახლოვე ორიგინალის ტექსტთან. (ნ.კაპანაძე 2009:77)

სამართალი იქმნება კულტურულ გაერთიანებებში ადამიანთა თანაცხოვრების მოსაწესრიგებლად და იგი მათ ქცევის წესებს უდგენს. ეს წესები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იჭრება და, ამდენად, სამართალი წარმოადგენს ისეთ სფეროს, რომელთანაც არა მხოლოდ სპეციალისტები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც

მჭიდრო კავშირში არიან. სწორედ ამიტომ, სამართლის ტექსტის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს ადრესატთა მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება წარმოადგენს განსხვავებით სხვა დარგობრივი ტექსტებისგან. (ნ.კაპანაძე 2009:77)

"იურიდიული ტექსტი გამოირჩევა გარკვეულობით, ლოგიკურობით, სიზუსტით, შეკვეცილობით, აღწერის უპირობო ხასიათით, ტერმინოლოგიური და ნორმატიული სამეტყველო კლიშეების გამოყენებით; გამოიყენება მარტივი წინადადებები, ნომინალიზაცია, ენობრივი საშუალებების მაქსიმალური ეკონომიკის პრინციპით აბსტრაქტული მნიშვნელობის არსებითი სახელები. ზმნის პირის ფორმებიდან არ გამოიყენება II პირი, იშვიათად I პირის მხოლოდითი რიცხვი. არ გამოიყენება შორისდებული, ბრძანებითი კილო, ჭარბობს პასივი, თხრობითი წინადადებები, არ იყენებენ ძახილის და ელიფსურ წინადადებებს, ხშირად არის სუბსტანტივიზირებული ინფინიტივი, რადგან უპირატესობა ენიჭება პროცესს და არა მოქმედების შემსრულებელს; არის მიზეზ-შედეგობრივი წყვილი კავშირები, ლექსიკა ემოციურად ნეიტრალურია. ადგილი უნდა ჰქონდეს აზრის ამომწურავ, სრულ, ზუსტ, თანმიმდევრულ, ლოგიკურ და ობიექტურ გადმოცემას." [რ.ჯობავა 2013:254]

სამართალმცოდნეობამ წარმოქმნა ყოველ ენაში, კულტურაში, ქვეყანაში საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია და ფრაზეოლოგია. „როგორ უნდა ითარგმნოს იურიდიული ტექსტი ერთი ენიდან მეორე ენაზე, მაშინ როდესაც ერთი და იგივე კონცეფციები არ არსებობს ან როცა ერთ ენაში არსებული ცნება არ შეესაბამება მეორე ენაში არსებულ ცნებას. ზოგადად უნდა ითქვას, რომ თარგმანის ფენომენი ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი; რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა. მართალია არსებობს ორ ენას შორის განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვაგვარი სემანტიკური ტევადობა, სიტყვის განსხვავებული კომბინაციური ცვლილებანი, სიტყვათშეხამების თავისებური კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასემიოტური საფუძველი, რაც თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოქმნის. გარდა ამისა, მთარგმნელს დედნის ენის ცოდნის მიღმა ეხმარება რეალური სიტუაციის, ანუ, იმ გარეუბრები სინამდვილის გაგების უნარი, რომელიც ამა თუ იმ ტექსტშია მოცემული.“ [რ.ჯობავა 2013:254]

"არსებობს ზოგადი მოსაზრება, რომ მთარგმნელები, რომლებიც მოღვაწეობენ სამართალმცოდნეობაში ვალდებული არიან თარგმნონ პირდაპირ. ბჭობა, რომელიც მიმდინარეობს პირდაპირ და თავისუფალ თარგმანს შორის, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. ამ ორმა მიდგომამ განაცალკევა ლინგვისტები და მთარგმნელები, რამდენადაც თავად პრობლემისადმი დამოკიდებულებამ გამოიწვია ორი სფეროს გაყოფა. დღეს, თარგმანმცოდნეობამ თითქოსდა გადაწყვიტა პრობლემა და თარგმანში გამოიკვეთა ისეთი ცნებები, როგორც არის: სიტყვასიტყვითი თარგმანი. ის ჩაანაცვლა სხვა ცნებებმა, მაგ: ორიგინალსა და თარგმანს შორის მნიშვნელობის ეკვივალენტობა." [რ.ჯობავა 2013:25]

როდესაც საქმე იურიდიულ თარგმანს ეხება, მთარგმნელები აწყდებიან საკუთრივ იურიდიული კულტურისა და ენის კონცეფციებს. ბუნებრივია, ისმის კითხვა - როგორ შეძლებს მთარგმნელი თარგმანის შესრულებას?

"აქ საკითხი ისმის ეკვივალენტობასა და შესატყვისობას შორის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეკვივალენტი ზოგადი თარგმანის ხერხია. ის მაინც არ გამორიცხავს იმ შესატყვისებს, რომლებიც იმ ელემენტების არსებობას ადასტურებს, რომლებიც ყველა შემთხვევაში შეესატყვისება ტექსტის მიღმა თუ ტექსტის გარეთ, ხოლო შესატყვისები ენობრივ ელემენტებს, სიტყვებს, სინტაგმებს, სინტაქსურ ფორმებსა თუ იდიომებს შორის მყარდება. იმისათვის, რომ თარგმანი წარმატებული იყოს მთარგმნელი უნდა ეცადოს, რომ დამყარდეს ეკვივალენტური კავშირი ორიგინალსა და თარგმანს შორის. კვლევები ამტკიცებს, რომ ეკვივალენტური თარგმანი ზოგადად სანდოა, რა ტიპის სიტყვებსაც არ უნდა ეხებოდეს საკითხი." (რ.ჯობავა 2013:255)

იურიდიული ტექსტის თარგმნისას, ძირითადად დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

1. *„თარგმანმა უნდა გადმოსცეს ეს ინფორმაცია, რაც მოცემულია ორიგინალში, მას ე.წ დენოტაციური ეკვივალენტი ეწოდება;*
2. *თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს სტილი: ენის რეგისტრი, სოციოლექტი, გამონათქვამთა გეოგრაფიული გავრცელება, ანუ, ე.წ კონოტაციური ეკვივალენტი;*

3. *თარგმანში ფუნქციურად ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული იურიდიული და სამართლებრივი ტერმინები.*“ [რ.ჯობავა 2013:256]

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იურიდიულ ტექსტებში, ნოტარიულ აქტებში, კონტრაქტებსა და ხელშეკრულებებში, სიტყვები არა მხოლოდ საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ხდება აზრის გაგება, არამედ მათ აქვთ საკუთარი წონა, უცვლელი მნიშვნელობა. სწორედ ამ სიტყვების მნიშვნელობაა თარგმნილი და არა რეფერენტი, რომელზეც ისინი მიანიშნებს. (რ.ჯობავა 2013:256)

აღსანიშნავია, რომ თარგმნა სამართალში გულისხმობს იმ სამართლებრივი შინაარსების მიზანმიმართულ ფორმულირებას, რომლებიც წყარო ტექსტიდან არის შერჩეული და ინტერპრეტირებული, რათა გავრცელდეს სხვა ენაზე და სხვა სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო სამართლებრივი დებულებების ფონზე. შესაბამისად, აუცილებელია:

1. *„დარგობრივი ცოდნა და დარგობრივი აზროვნება. მთარგმნელი უნდა იცნობდეს შესაბამის სამართლებრივ სისტემას ზოგადად მაინც, სპეციალიზაცია სამართლის გარკვეულ დარგში კიდევ უფრო მეტად დაეხმარება მას სასურველი შედეგის მიღწევაში. მაგრამ გარდა წმინდა დარგობრივი ცოდნისა, ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს იურიდიული აზროვნების წესი. ასე რომ, ამ საქმეში სამართლის თეორიის გარდა, საზღვარგარეთის სამართლებრივი სისტემების, საერთაშორისო სამართლისა და შედარებითი სამართლის ზოგადი ცოდნა აუცილებელიც ხდება.*
2. *მთარგმნელობითი კომპეტენცია, რომელიც ტრანსლაციის სათანადო მეთოდების ცოდნას გულისხმობს. დარგობრივ- ენობრივი კომპეტენცია ასევე მოიცავს ტერმინოლოგიის, ფრაზეოლოგიის და ტექსტის სახეობების შედარებას, რადგან, მაგალითად, გერმანული სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებებისგან არა მხოლოდ დარგობრივი მიმართებით, არამედ ენობრივი მახასიათებლების გამოყენების თვალსაზრისითაც.*
3. *ტექნოლოგიური ცოდნა, რომელსაც მთარგმნელი უნდა ფლობდეს. როგორც მრავალენოვანი სამართლებრივი კომუნიკაციისა ექსპერტი, მთარგმნელი*

კისრულობს პასუხისმგებლობას არა მხოლოდ მიზნობრივ ტექსტზე, არამედ მთელი საკომუნიკაციო აქტის ფუნქციონირებაზე. "[ნ.კაპანაძე 2009:79]

ყოველ იურიდიულ თარგმანში შეიძლება აღმოჩნდეს შემდეგი სახის ტერმინები:

1. ისინი, რომელთაც აქვთ სემანტიკური ეკვივალენტი;
2. ისინი, რომელთაც მეორე ენაში არ აქვთ სემანტიკური ეკვივალენტი, მაგრამ შეიძლება მოინახოს ფუნქციური ეკვივალენტი;
3. უთარგმნი სიტყვები.

პირველ კატეგორიაში მთარგმნელი დაშორებულია თარგმნის პრობლემატიკასთან, რამდენადაც ის შეეხება უშუალოდ სპეციფიურ ტერმინოლოგიას, ანუ ცნებით სქემას. (რ.ჯობავა 2013:257)

მეორე კატეგორიაში დგება ეკვივალენტობის საკითხი. "მოპოვებული ეკვივალენტი არის ცნებითი ეკვივალენტი და აღმნიშვნელის დონეზე არის კანონიკური სახელდება პირობით სინონიმებს შორის, რომელთაც შეუძლიათ მისი სახელდება. ზოგადად, ერთ სისტემაში მოცემულ ცნებას უნდა შეესაბამოს მეორე სისტემაში არსებული ეკვივალენტი - ამ შემთხვევაში, საქმე ეხება იდეალურ ეკვივალენტს. პრობლემები იქმნება ნაწილობრივი ეკვივალენტობის ან ეკვივალენტობის არარსებობის პირობებში. ლინგვისტური თვალსაზრისით, ნაწილობრივი ეკვივალენტობა არის მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ცნების ან სახელდების პრობლემას." [რ.ჯობავა 2013:257]

მესამე პრობლემა - ლექსიკური ვაკუუმი სათარგმნ სიტყვებში წყვილი ელემენტია, რომლებსაც „უთარგმნელ სიტყვებს“ უწოდებენ. "დავას იწვევს ერთი ენიდან მეორე ენაში გადასვლისას პირდაპირი შესატყვისის არქონა, რაც თითქმის მთელი ლექსიკის თავისებურებაა." [რ.ჯობავა 2013:257]

იურიდიული თარგმანი იყოფა შემდეგ სახეობებად:

- კანონებისა, კოდექსებისა და ნორმატიული აქტების თარგმანი;
- კონტრაქტების თარგმანი;
- შეთანხმებებისა და მემორანდუმების თარგმანი;
- მინდობილობების თარგმანი;

იურიდიული ნომენკლატურა შედგება ექსკლუზიურად იურიდიული და ორმხრივი მიკუთვნების ტერმინებისგან, ისინი შეიძლება ასე დაიყოს:

1. "ექსკლუზიურად იურიდიული ტერმინები, რომელთაც მხოლოდ სამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ და არ გამოიყენება სალაპარაკო ენაში;
2. იურიდიული ტერმინები, რომლებიც შეიჭრნენ ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში;
3. საკუთრივ სალაპარაკო ენის ტერმინები, რომლებიც შეიჭრნენ იურისპრუდენციაში და რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა მიიღეს." [რ.ჯობავა 2013:257]

იურიდიული ტექსტის თარგმნისას უცხოური რეალობის გადატანის ზოგიერთი ხერხი გამოიყენება, ერთ-ერთია ადაპტაცია, რაც იურიდიულ სისტემებში არსებული ტრანსკოდირებისათვის ძირითადი დაბრკოლებაა. მთარგმნელი მის გადალახვას კონტექსტისა და თარგმნის საბოლოო მიზნის გათვალისწინებით ახდენს. სიტყვა-სიტყვით თუ ერთი მნიშვნელობა აქვს, არ ნიშნავს რომ ის ზუსტად იმავენაირად უნდა ითარგმნოს.

სწორედ იურიდიულ სფეროს განეკუთვნება ჩემ მიერ ნათარგმნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაცია სახელწოდებით „Women’s rights are Human Rights“ – „ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“. წიგნი 2014 წელს გამოიცა და შედგება 5 თავისა და ქვეთავებისგან. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და გაეროს ერთ-ერთი ღირებულება.

გაერო დიდი ხანია ჩართულია ქალთა უფლებების დაცვის საქმეში და ბოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ამ კუთხით. წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ქალთა უფლებების შესავალს, იწყებს რა ადამიანის საერთაშორისო უფლებების ძირითადი დებულებებით და აგრძელებს განსაკუთრებით აქტუალურ კონცეფციებზე მსჯელობით ქალთა უფლებების სრულად გაგებისთვის. სამაგისტრო ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა, ქალთა უფლებებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა და მისი ქართველი მკითხველისათვის გაცნობა. ამასთანავე, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და მთარგმნელობითი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ვფიქრობ, სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი საინტერესოა არა მხოლოდ იურისტებისთვის, არამედ ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლებისათვის,

განსაკუთრებით კი ქალებისთვის.

თარგმანზე მუშაობისას წავაწყდი ისეთ პრობლემებს, როგორცაა აბრევიატურები, სპეციალური ტერმინოლოგია, პოლისემია და სხვ.

სამართლის ენა ერთ-ერთი ყველაზე პოლისემიურია, იქიდან გამომდინარე, რომ იურიდიულ ტერმინთა უმრავლესობას გააჩნია მრავალი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში მთარგმნელს აკისრია ვალდებულება, მოიძიოს კონტექსტის შესაბამისი ზუსტი მნიშვნელობა. ორიგინალ ტექსტში მეც წავაწყდი მსგავს პრობლემას.

I. Justice -ის მნიშვნელობებია:

- სამართალი
- სამართლიანობა
- მართლმსაჯულება
- იუსტიცია

- ✓ *“The outcome document also states that gender equality and the effective participation of women are important for effective action on all aspects of sustainable development” and calls for the repeal of discriminatory laws and for ensuring women’s equal access to justice.”*[The United Nations 2014:16]

„შემაჯამებელ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „გენდერული თანასწორობა და ქალთა ეფექტური მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ყველა ასპექტის წარმატებული განხორციელებისათვის“, დოკუმენტი მოუწოდებს დისკრიმინაციული კანონების გაუქმებისა და ქალების თანაბარი წვდომისაკენ სამართლიანობაზე.“

- ✓ *“For instance, the special session on Darfur, Sudan, led to a report of the High-level Mission on the situation of human rights there in which specific concerns were raised about rape and sexual violence, and the lack of access to justice for these crimes.”*
[The United Nations 2014:19]

„მაგალითად, სპეციალური სესია მიემდგვნა დარფურში (სუდანი) ადამიანის უფლებების საკითხს, სადაც კონკრეტული შემთხვევები გამოითქვა სექსუალური ძალადობის და ამ დანაშაულისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის არარსებობის შესახებ“.

- ✓ *“Many commissions of inquiry involve an expert on sexual and gender-based violence, and their reports include findings on gender-based violence and recommendations on gender aspects of accountability and transitional justice”.* [The United Nations 2014:20]

„გამოძიების კომისიებმა ჩართეს სექსუალური და გენდერული ძალადობის ექსპერტები; მათი ანგარიშები მოიცავს დასკვნებს გენდერული ძალადობის შესახებ და რეკომენდაციებს ანგარიშვალდებულებებისა და გარდამავალი სამართლის გენდერული ასპექტების შესახებ“.

სიტყვა “justice” სამივე მაგალითში შემხვდა სხვადასხვა მნიშვნელობით: სამართლიანობა, მართლმსაჯულება, სამართალი. შესაბამისად, თარგმნის პროცესში ვიხელმძღვანელებ კონტექსტით.

II. Policy - ის მნიშვნელობებია:

- პოლიტიკა
 - პოლისი
 - ქცევის წესები
 - ტაქტიკა
 - სტრატეგია
- ✓ *“Throughout its history, the Commission has played a key role in promoting women’s rights, actively contributing to landmark international legal and policy instruments, such as the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, the Declaration on the Elimination of Violence against Women and the Beijing Declaration and Platform for Action”.* [The United Nations 2014:22]

„ქალთა უფლებების ხელშეწყობის თვალსაზრისით, კომისიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და აქტიურად შეუწყო ხელი ისეთ საერთაშორისო სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებას, როგორებიცაა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაცია, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა“.

- ✓ *“Discrimination can occur through de jure or direct discriminatory provisions, such as when a law or policy restricts, prefers or distinguishes between certain groups, for*

instance, prohibiting women from driving, owning land or inheriting property.” [The United Nations 2014:30]

„დისკრიმინაცია შეიძლება წარმოიშვას პირდაპირი ან დე-იურე დისკრიმინაციული ქმედებებით, მაგალითად, როდესაც კანონი ან პოლიტიკა ზღუდავს, ანიჭებს უპირატესობას ან გამოყოფს გარკვეულ ჯგუფებს, მაგალითად უკრძალავს ქალებს მანქანის მართვას, მიწის საკუთრების ან მემკვიდრეობითი ქონების მიღების უფლებას.“

✓ *“Article 7 guarantees the right of women to vote in all elections and public referendums and to be eligible for election to all publicly elected bodies, the right to participate in the formulation of government policy and its implementation, to hold public office and perform all public functions at all levels of government, and the right to participate in NGOs or associations concerned with the public and political life of the country.”* [The United Nations 2014:43]

„მუხლი 7 უზრუნველყოფს ქალთა უფლებას მონაწილეობა მიიღონ და ხმა მისცენ არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმებში, იყარონ კენჭი, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს პოლიტიკის ფორმირებასა და მის განხორციელებაში, დაიკავონ მაღალი თანამდებობები საჯარო სექტორში და შეასრულონ საჯარო ფუნქციები სახელმწიფო დონეზე, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობაც უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას“.

მაგალითებიდან გამომდინარე, პოლისემიური სიტყვა “policy” კონკრეტულ შემთხვევებში - პოლიტიკაა.

III. Framework -ის მნიშვნელობებია:

- კარკასი
- ჩონჩხი
- კონსტრუქცია, აგებულება
- სტრუქტურა

✓ *“Consequently, women’s experiences were until relatively recently not adequately addressed by the human rights framework.”* [The United Nations 2014:25]

“შესაბამისად, ბოლო დრომდე ქალთა პრობლემების გამუქება ადეკვატურად არ ხდებოდა ადამიანის უფლებათა ფარგლებში”.

- ✓ *“The work of activists, human rights mechanisms and States has been critical in ensuring that the human rights framework has grown and adjusted to encapsulate the gender-specific dimensions of human rights violations in order to better protect women”.* [The United Nations 2014:25]

“აქტივისტების საქმიანობამ, ადამიანის უფლებათა მექანიზმებმა და სახელმწიფოების ჩართულობამ უზრუნველყო რომ ადამიანის უფლებათა სტრუქტურა განვითარებულიყო და ორიენტირებული გამხდარიყო გენდერული ძალადობის საკითხებზე, ქალთა უკეთ დაცვის მიზნით.”

IV. Jurisprudence -ის მნიშვნელობებია:

- იურისპრუდენცია
- სასამართლო პრაქტიკა
- სამართალმცოდნეობა
- ✓ *„Treaty body jurisprudence on abortion”* [The United Nations 2014:56]

აქ: „სახელმწიფოებო ორგანოს დებულება აბორტთან დაკავშირებით“.

- ✓ *“See Leilani Farha, “Committee on the Elimination of Discrimination against Women”, in Social Rights Jurisprudence: Emerging Trends in International and Comparative Law, Malcolm Langford”.* [The United Nations 2014:31]

„იხილეთ ლეილანი ფარა, “ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი”, სოციალურ უფლებათა იურისპრუდენცია: ახალი ტენდენციები საერთაშორისო და შედარებით სამართალში, მალკოლმ ლანგფორდი“.

მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტერმინთა ერთობლიობას - ტერმინოლოგიას უწოდებენ. ტერმინოლოგიის შეთვისება რთული საქმეა, რადგამ არა მარტო სიტყვები უნდა დავიმახსოვროთ, არამედ უნდა გვესმოდეს მისი დამოკიდებულება საგნისადმი, ობიექტისადმი, ე.ი ავხსნათ მოცემული ობიექტის არსი. ტერმინოლოგია ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. შესაბამისად, ტერმინებს სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები სხვადასხვა კუთხით სწავლობენ. „ტერმინი ზუსტად გადმოსცემს აზრს, პროცესს და საგნის აღმნიშვნელ სახელს. ტერმინი სიტყვაა, მაგრამ

ყოველი სიტყვა არ შეიძლება ტერმინი იყოს.“ [ი. ქვაჩახია, ზ.გარსევანიძე 1986:19]

მინდა მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი, რომელსაც თარგმნის დროს წავაწყდი:

I. Ratio -ის [ლათ.] - მნიშვნელობებია :

- პროპორცია
- თანაფარდობა
- გადაცემის რიცხვი
- ✓ *„Millennium Development Goal 5 aims to reduce the maternal mortality ratio by three quarters, between 1990 and 2015“.* [გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 2014:15]

„ათასწლეულის განვითარების მიზანი 5 მიმართულია დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებაზე სამი მეოთხედით, 1990-დან 2015 წლამდე პერიოდში“.

II. Quota -ის [ლათ] მნიშვნელობებია:

- დაწესებული, დაშვებული ნორმა
- კვოტა
- ✓ *“Reviews of the progress achieved on the Goals show that women are slowly gaining political power, mainly thanks to quotas and special measures”.* [The United Nations 2014:45]

“მიღწეული მიზნების პროგრესი აჩვენებს, რომ ქალები ნელ-ნელა იძენენ პოლიტიკურ ძალას, ძირითადად კვოტებისა და სპეციალური ღონისძიებების წყალობით. თუმცა, რეგიონული განსხვავებები რჩება”.

III. Habitat -ის [ლათ] - მნიშვნელობებია:

- გავრცელების არე
- ბუნებრივი საარსებო გარემო
- რისამე წარმოქმნის ადგილი
- ✓ *„The 1996 United Nations Conference on Human Settlements (Habitat II) in Istanbul, Turkey, and its Istanbul Declaration and Habitat Agenda provide a plan of action on rights, including the rights of women in human settlements development“.* [The United Nations 2014:65]

„1996 წელს სტამბოლში გამართული გაეროს კონფერენცია დასახლებულ

პუნქტებთან დაკავშირებით, ასევე სტამბოლის დეკლარაცია და ჰაბიტატის გეგმა წარადგენს მოქმედების გეგმას ადამიანის უფლებებთან, მათ შორის დასახლებულ პუნქტებში ქალთა უფლებებთან დაკავშირებით“.

აღსანიშნავია აბრევიატურის საკითხიც. ის განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია. აბრევიატურა სიტყვათა პირობითი შემოკლებაა წერით და ზეპირმეტყველებაში, შემოკლება წარმოებს სხვადასხვა სახით:

1. ცალკეულ სიტყვათა თავმარცვლების ან პირველი ასოების შეერთებით;
2. ინიციალებით - აღნიშვნა პირველი ასოთი. იხმარება ჩვეულებრივ, სახელისა და გვარის აღსანიშნავად;
3. სიტყვის დაწერილობის დაუმთავრებლად შეწყვეტით;
4. გრაფიკული აბრევიატურით;
5. კომპოზიტებით - ორი-სამი სიტყვის შემოკლებით. (ა.ჭილაია 1971:12)

აბრევიატურამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ყველა ენაში.

ორიგინალ ტექსტშიც შემხვდა აბრევიატურის მაგალითები:

1. *“The universal periodic review (UPR), a procedure established at the creation of the Council, also presents important opportunities for assessing States’ compliance with their international obligations related to the human rights of women.”* [The United Nations 2014:20]

“საყოველთაო პერიოდული მიმოხილვა, საბჭოს ჩამოყალიბებისას შექმნილი პროცედურა, ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, შეფასდეს სახელმწიფოების მიერ ქალთა უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება“.

2. *HRC* - შეიძლება მრავალნაირი განმარტება ქონდეს, მაგრამ თემატიკიდან გამომდინარე იზიფრება როგორც Human Rights Council - ადამიანის უფლებათა საბჭო.
3. *“Article 7 guarantees the right of women to vote in all elections and public referendums and to be eligible for election to all publicly elected bodies, the right to participate in the formulation of government policy and its implementation, to hold public office and perform all public functions at all levels of government, and the*

right to participate in non-governmental organizations (NGOs) or associations concerned with the public and political life of the country. [The United Nations 2014:43]

„მუხლი 7 უზრუნველყოფს ქალთა უფლებას მონაწილეობა მიიღონ და ხმა მისცენ არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმებში, იყარონ კენჭი, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს პოლიტიკის ფორმირებასა და მის განხორციელებაში, დაიკავონ მაღალი თანამდებობები საჯარო სექტორში და შეასრულონ საჯარო ფუნქციები სახელმწიფო დონეზე, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციებში.“

1. *“Regarding access to medicines, WHO has included modern methods of contraception, including emergency contraception, in its Model List of Essential Medicines“.* [The United Nations 2014:57]

WHO – World Health Organization

“რაც შეეხება წვდომას მედიკამენტებზე, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ შეიყვანა კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის გადაუდებელი კონტრაცეფცია, აუცილებელი მედიკამენტების სამაგალითო ჩამონათვაში“.

2. *“In A.S. v. Hungary, 37 a doctor in a public hospital performed a forced sterilization procedure on a patient without providing adequate information to gain the patient’s consent“.* [The United Nations 2014:58]

“ა.ს. უნგრეთის წინააღმდეგ 37 - ექიმმა, საჯარო საავადმყოფოში ჩაუტარა იძულებითი სტერილიზაციის პროცედურა პაციენტს, ისე რომ არ მიაწოდა მას ადეკვატური ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით მისი თანხმობის მისაღებად“.

3. *“In A.T. v. Hungary, a case on domestic violence, the Committee ruled that shelter homes should always be available to provide effective protection to victims of domestic violence.“* [The United Nations 2014:67]

“ა.ტ. უნგრეთის წინააღმდეგ - ოჯახური ძალადობის საქმე; კომიტეტმა დაადგინა, რომ თავშესაფრები ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად“.

4. *“The main ILO convention relevant to gender equality with respect to work is the Discrimination (Employment and Occupation) Convention No. 111 (1958), which stipulates that States are to declare and pursue a national policy to promote equality of opportunity and treatment in respect of employment and occupation, with a view to eliminating discrimination, which would include discrimination based on sex”.* [The United Nations 2014:71]

ILO - The International Labour Organization

“შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი კონვენცია, რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობას შრომასა და დასაქმებასთან მიმართებაში, არის კონვენცია No. 111 (1958), რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა უნდა გაატაროს ეროვნული პოლიტიკა თანაბარი შესაძლებლობების მხარდასაჭერად დასაქმების სფეროში, დისკრიმინაციის აღმოფხვრის გათვალისწინებით, მათ შორის სქესობრივი დისკრიმინაციის”.

5. *“According to the Inter-Parliamentary Union (IPU), women represent on average 21.4 % of all parliamentarians in 187 countries as of 2013.”*

6. [The United Nations 2014:45]

“საპარლამენტაშორისო კავშირის მიხედვით, ქალები საშუალოდ წარმოადგენენ მსოფლიოს 187 ქვეყნის პარლამენტარების 21.4 %-ს 2013 წლის მონაცემებით“.

ხშირ შემთხვევაში, მომიწია რთული წინადადების რამდენიმე მარტივ წინადადებად დაშლა. მაგ:

- *“Achieving equality between women and men requires a comprehensive understanding of the ways in which women experience discrimination and are denied equality so as to develop appropriate strategies to eliminate such discrimination.”* [The United Nations 2014:1]

“ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევა მოითხოვს იმ გზების სწორად და სრულყოფილად გაანალიზებას, რომელთა ფარგლებშიც ქალები განიცდიან დისკრიმინაციას და მათ უარს ეუბნებიან თანასწორობაზე. სწორედ ამის საფუძველზე, უნდა შეიქმნას შესაბამისი სტრატეგიები ამგვარი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად“.

- “Importantly, the outcome document, entitled “The future we want”,⁹ also reaffirms the commitments of States to “women’s equal rights, access and opportunities for participation and leadership in the economy, society and political decision-making” and includes explicit references to accelerating the implementation of commitments in the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, the Beijing Platform for Action and the Millennium Declaration“. [The United Nations 2014:15-16]
- “აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ შემაჯამებელი დოკუმენტი სახელწოდებით „მომავალი, რომელიც ჩვენ გვინდა“, ადასტურებს სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომლებიც ეხება “ქალთა თანასწორობას, მათ წვდომასა და შესაძლებლობებს მონაწილეობა მიიღონ და წამყვან პოზიციებზე იყვნენ ეკონომიკაში, საზოგადოებასა და პოლიტიკაში“. დოკუმენტში ასევე მოყვანილია პირდაპირი მითითებები პეკინის კონვენციითა და ათასწლეულის დეკლარაციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დასაჩქარებლად”.
- “The Committee, in its general recommendation No.19 (1992), comments on articles 2 (f), 5 and 10 (c) that attitudes and practices according to which women are subordinate to men uphold the subjugation of women in society, and thus undermine women’s human rights, gender equality and non-discrimination, mentioning the practices of family violence and abuse, forced marriage, dowry deaths, acid attacks and female circumcision.”
[The United Nations 2014:28]

“კომიტეტმა, თავის ზოგად რეკომენდაციაში №19 (1992), კომენტარი გააკეთა მე - 2, მე -5 და მე -10 (გ) მუხლებზე და ისაუბრა იმ დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც ქალები კაცების დაქვემდებარებაში იმყოფებიან, რითაც ილახება ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა. რეკომენდაციაში ასევე ნახსენებია ოჯახური ძალადობის პრაქტიკა, იძულებითი ქორწინება, მზითვის თემასთან დაკავშირებული პრობლემები, მყავის გადასხმა და ქალების წინადაცვეთის პრაქტიკა”.

ეს იყო ძირითადი სირთულეები, რომლებზეც მსურდა ყურადღების გამახვილება. თარგმნა საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა დამეხმარა პრაქტიკული გამოცდილება და ორი წლის განმავლობაში მიღებული ცოდნა.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პუბლიკაციის („ქალთა უფლებები ადამიანის უფლებებია“) თარგმანსა და თარგმნის თეორიულ ანალიზს. წიგნი 2014 წელს გამოიცა და შედგება 5 თავისა და ქვეთავებისაგან. ჩემი ნაშრომი პირველი 5 თავის თარგმანია (C -ქვეთავის ჩათვლით).

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ნაწილი წარმოგვიდგენს თარგმანს, როგორც უცხო კულტურის ფენომენის ახალ ენაში გადმოცემას. რასაკვირველია, ყოველი პარაგრაფის თარგმნისას ახალი გამოცდის წინაშე დავდექი, ვინაიდან ნებისმიერი დარგი, მით უფრო სამართალი, ქმნის საკომუნიკაციო ჩარჩოს, რაც უკვე გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს. საჭირო ხდება ამოსავალი ტექსტის არა მხოლოდ მეორე ენაზე გადატანა, არამედ განსხვავებული ცნებითი სისტემების შეჯერება, გამიჯვნა, ხანდახან ინტერპრეტაციაც კი.

წავაწყდი ისეთ პრობლემებს, როგორცაა პოლისემია. მოგეხსენებათ სამართლის ენა ერთ-ერთი ყველაზე პოლისემიურია. იქიდან გამომდინარე, რომ იურიდიულ ტერმინთა უმრავლესობას გააჩნია მრავალი მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, მომიწია კონტექსტის შესაბამისი მნიშვნელობების ძიება. სირთულეს წარმოადგენდა ასევე ტერმინოლოგია, აბრევიატურები, გრამატიკული სტრუქტურა და სხვ. ეს პრობლემები ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, რადგან ენა ცოცხალი ორგანიზმია და მუდმივად განიცდის ცვლილებებს.

მოყვანილი მაგალითებისა და ტექსტის სრულყოფილად გაგებაში დამეხმარა ლექსიკონები (ორენოვანი და ერთენოვანი) და თარგმნის თეორიები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაფრინდაშვილი ნ., „მედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“, თბილისი, „მერიდიანი“ 2012
2. კაპანაძე ნ., - „იურიდიული ტერმინოლოგია და მისი თარგმნის სპეციფიკა“, სამეცნიერო ჟურნალი „Scripta Manent“, #2, 2009
3. ფანჯიკიძე დ., “ თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“, თბილისი, „განათლება“, 1995.
4. ფანჯიკიძე დ., „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005
5. ქვაჩახია ი., გარსევანიძე ზ., „ტექნიკური თარგმანი სკოლაში“, თბილისი, „განათლება“ 1986
6. წიბახაშვილი გ., „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა 2000.
7. ჭაბაშვილი მ., „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, თბილისი, „განათლება“ 1973
8. ჭილაია ა., „ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1971
9. ჯობავა რ., „იურიდიული ტექსტის თარგმანის თავისებურებანი“, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, #2 2013
10. The United Nations, “Women’s Rights are Human Rights”, The UN publication, Geneva 2014

ელექტრონული რესურსები

1. დიგიტალური ქართველოლოგია - <http://tandaschwili.com>
2. დიდი ინგლისურ- ქართული ონლაინ ლექსიკონი - www.dictionary.ge
3. ქართულ - ინგლისური და ინგლისურ- ქართული ონლაინ ლექსიკონი - www.translate.ge
4. ქართულ-ინგლისური იურიდიული ლექსიკონი - <http://library.court.ge/gil/enggeo.php>
5. Cambridge Dictionary - <https://dictionary.cambridge.org/>

6. Macmillan Dictionary - <https://www.macmillandictionary.com/>
7. Merriam Webster Dictionary - <https://www.merriam-webster.com/>
8. The Free Dictionary by Farlex - <https://www.thefreedictionary.com/>
9. UN Women საქართველო - <http://georgia.unwomen.org/ka>

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities

MA Programme **Translation theory and Practice**

Baramidze Mariami

Women's Rights are Human Rights

Translation and translational analysis of chapters I, II, III, IV and V (including subchapter C)

The thesis submitted for gaining the academic degree of MA in Philology

Thesis supervisor: Irina Gvelesiani

Doctor of Philology, TSU Associate Professor

Tbilisi

2019

NOTE

The designations employed and the presentation of the material in this publication do not imply the expression of any opinion whatsoever on the part of the Secretariat of the United Nations concerning the legal status of any country, territory, city or area, or of its authorities, or concerning the delimitation of its frontiers or boundaries.

Symbols of United Nations documents are composed of capital letters combined with figures. Mention of such a figure indicates a reference to a United Nations document.

HR/PUB/14/2

UNITED NATIONS PUBLICATION
SALES NO. E.14.XIV.5
ISBN 978-92-1-154206-6
E-ISBN 978-92-1-056789-3

© 2014 UNITED NATIONS
ALL WORLDWIDE RIGHTS RESERVED

CONTENTS

INTRODUCTION.....	1
I. PROTECTION OF THE HUMAN RIGHTS OF WOMEN UNDER INTERNATIONAL LAW.....	3
A. International human rights instruments	4
B. Regional instruments.....	7
II. GLOBAL COMMITMENTS.....	11
A. Vienna Declaration and Programme of Action	12
